

ინჭ. გ. კაკაბეძე.

ოსამრიწველოს განვითარების
სავითაო ჩვენთვ.



I

ტფილი.

სახლმ მურნეობის უმაღლეს საბჭოს სტამშია.
1921 წ.



ଶ୍ରୀ କଣ୍ଠିମୁ ପତ୍ରିଳୁ

କନ୍ଦର୍ମାଳାଙ୍ଗୁ

ବିନ୍ଦୁ. ୩. କାନ୍ତାରୀଳିଙ୍ଗ.

ԱԼԵՔՍԱՆԴՐԱԿԱՐՈՎՆԵԱ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ

10064



三



0303060

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სრუჩება.

1921 6

მინარესი:

წინასიტყვაობა	I—IV გვ.
შინაშრეწელობის განვითარების საკითხი ჩვენში (შესა- ვალი)	I—8 "
აბრეშუმის წარმოება	9—24 "
ბამბის წარმოება	25—67 "
დამატებითი შენიშვნები	68 "



მკითხველი საზოგადოების საუზრადლებოდ.

მთელი ეს შრომა დაწერილია და აწყობილი საბჭო-
თა წესწყობილების დამყარებამდე, მხოლოდ უკანასკნელი
ფორმა, აწყობილი წინედ, დაიბეჭდა გადატრიალების
შემდეგ.

ავტორი.

30 მარტი 1921 წ.

ტფილისი.



შინასითურა ბა.

სიძვირე საოცარ ნახტომებს აკეთებს, ცხოვრება აუტანელი ზდება... ენით აუწერელ გაჭირვებამ წელში მოკაკვა და საცოდავად ააკვნესა თანამედროვე საზოგადოება, რომელმაც არ იცის, თუ როდის მოელება ბოლო ამ ჟამად გამეფებულ საშინელ ვაკხანალიას. პირიქით, ის დარწმუნებულია, რომ ხვალ კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქნება, ვინაიდან არსაიდან მოელის ხსნას და შველას... შექმნილ მძიმე მდგომარეობის გამო მოქალაქე უკმაყოფილო დღევანდელი მომენტით, ვიღაცას ემდურის, ვიღაცას ამ-ტყუნებს, ხანდისხან იმუქრება კიდეც...

აშეარაა, რომ შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის გაგრძელება: საჭიროა გამოვნახოთ ის გზა, ის გეზი, რომელიც შეანელებს ეკონომიურ მდგომარეობის სიმწვავეს და სახელმწიფოს უფსკრულში გადაჩეხვისაგან გადაარჩენს. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ის მიზეზები, რომელ-თაც შეაქვთ საშინელი არევ-დარევა ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში და ჭატასტროფისათვის ნიადაგს ამზადებენ.

მთავარი მიზეზი თანამედროვე საზარელ სინამდვილისა იმაში მდგრად-რეობს, რომ თვით ჩვენ ცოტა საქონელს ვქმნით და უცხო ქვეყნებიდან მისი დიდიალი რაოდენობის შემოტანა ვინდება. ჩვენ ადგილობრივ რომ ვახერხებდეთ საჭირო საქონლის დამზადებას და სხვა ქვეყნებში საყიდელი არაფერი გვქონდეს ან გვქონდეს შესაძენი მისი მცირე რაოდენობა, განა დღევანდელი მდგომარეობის მოწმენი შევიქნებოდით?! რასაკირველია, არა! მაგრამ უბე-დურება სწორედ იმაშია, რომ თითქმის კველაფერი უცხოეთში საყიდელი გვაქვს და შედარებით ამასთან გასაყიდი ცოტა, და ისიც მდარე ღირსების და მცირე ღირებულების. ამნაირად, ჩვენ ვემზგავსებით იშ ოჯახს, იმ ადამიანს, რომელიც მეტსა სჭამს, ვიდრე იწევს, მეტს ხარჯავს, ვიდრე შოულობს, უფრო ფართოდ და ხელგაშლილად ცხოვრობს, ვიდრე მისი ავ-ლადიდება ამის საშუალებას იძლევა...

ჩვენ არათუ წარმოების ახალი დარგები ვერ შევქმნით, ძველებსაც წესი აუგეთ. ჭიათურაში წარმოება თითქმის საგასტით მიღუნებულია და უცხოეთში გაგვაქვს ის შავი-ქვა, რომელიც წინედ იყო დამზადებული. ჩვენი მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორც აბრეშუმის და თამბაქოს წარმოებაა, დაქვეითების გზაზე დამდგრარი და დღითი-დღე ეცემა... და ჩა გასაკირია, თუ ასეთ პირობებში ეცემა ჩვენი ფულის კურსი, რაც კიდევ უფრო აუარესებს მდგომარეობას, ვინაიდან კლებულობს ჩვენი ფულის შემსყიდველი ძალა და ღირებულება, და უცხოელებს ამას-თანავე საშუალება ეძლევათ იაფად შეიძინონ ჩვენი საქონელი, გაზიდონ ჩვენი ქვეყნის ავლადიდება, შეამცირონ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე...

მაგრამ კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ, თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, მდგომარეობა მომავალში ვაცილებით უარესი შეიქნება, რაღაც ამდეხანს ჩვენ ვფლანგავდით იმ უამრავ სიმდიდრეებს; რომელიც დაგროვილი და მომარავებული იყო წინა წლების ვანმავლობაში და რომლითაც აფსებული იყო ჩვენი ქვეყნის საწყობები და კუნკულები.

ადგილი წარმოსადგენია, რომ თუ ეხლაც, როდესაც ჯერ კიდევ სავ-
სებით არ გაგვინიავებია ეს მემკვიდრეობით მიღებული განძეულობა, ისე-
თი მდგომარეობაა შექმნილი, რომ სუნთქვა გვეხუთება, რა იქნება მაშინ,
როდესაც ესეც ხელიდან გამოგვეცლება!.

არა, მდგომარეობა ისეთია, რომ მეტი დაყოფნება შეუძლებელია!
საჭიროა სასწაულო ზომები, მეტად გონივრული ლონისძიებანი, თუ არ
გვინდა აბობოკებულ ზღვაში ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალი ტალღების გი-
ურ ცეკვას ჩავაბაროთ...

მდგომარეობის გამოსაკეთებლად საჭიროა რაც შეიძლება დიდალი
ნედლი მასალის მოპოვება და ამისათვის თანამედროვე მეთოდების გამო-
ყენება, გაუმჯობესებულ იარაღების მოხმარება, და შემდეგ—მიღებული
ნედლი მასალიდან რაც შეიძლება ბევრი საჭირო საქონლის დამზადება და
უცხოეთის ბაზრიდან ჩვენი ეკონომიური დამოკიდებულების შესუსტება.

მწვავე ეკონომიური მდგომარეობის შესამსუბუქებლად ქართველმა
ხალხმა დაწინაურებულ ქვეყნებთან შედარებით თავისი ჩამორჩენილობა
და აგრეთვე ის, რომ მას თავისი სახელმწიფო ორგანიზაციების განმტკიცება
უხდება ამ მძიმე დროს,—უნდა დაჩრდილოს და აინაზღაუროს განსაკუთ-
რებული შრომის მოყვარეობით, შრომის ნაყოფიერებით და მუყაითობით.
განსაკუთრებული მომენტი განსაკუთრებულ ენერგიას მოითხოვს!..

დანგრეული ბელგია, შელახული საფრანგეთი უკვე აღსდგა ამ მოკლე
ხნის განვითარებაში და ეს სასწაული მოხდა ყველაფრის შემძლე შრომის
მეოხებით.

კიდევ, რასაკვირველია, ბევრ სხვა ზომებს, ლონისძიებებს და ნაბი-
ჯებს შეუძლია ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გამოკეთება, მაგრამ ამათ-
ში უშიშრებოვანესი არის ნედლი მასალის უცხოეთში გაზიდვის უარის-
ყოფა, ყოველ შემთხვევაში მისი მინიმუმამდე დაყვანა.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ნედლი მასალის საზღვარ-გა-
რედ გატანის და ამ მასალისაგან დამზადებულ საქონლის უცხოეთიდან
შემოტანის სისტემა ძირიან-ფესვიანად შემცდარი და მიუღებელი არის.
უნდა ვეცადოთ საქართველოში რაც შეიძლება ბევრი მანქანები და ტე-
ნიკური მოწყობილობანი შემოვიტანოთ და ავამოძრაოთ, ჩვენი ქვეყნის ნედ-
ლი მასალა აქვე გადავამუშაოთ და საჭირო საქონელი ბაზარზე დამ-
ზადებული სახით გამოუშვათ. მაშინ შემცირდება ჩვენი ქვეყნის საჭიროე-
ბისათვის საქონლის იმპორტი, შესუსტება სხვა ქვეყნებიდან მისი დამოკი-
დებულება, გაუმჯობესდება სავაჭრო ბალანსი და გაჯანსაღდება როგორც
ვალიუტის, ისე საერთოდ ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობა; ამასთან
ერთად განმტკიცდება ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობაც და ჩვენი რეს-
პუბლიკა მოსალოდნელ კატასტროფისაგან უზრუნველყოფილი გახდება...

რასაკვირველია, სხვა-და-სხვა წარმოებათა შექმნა-განვითარება ადვი-
ლი საქმე არ არის, მოითხოვს დიდ დროს და ენერგიას, თითქმის შეუძლე-
ბელია ერთბაშად მათი ფართო მასშტაბით წამოწყება და მტკიცე ნიაღაგ-
ზე დამყარება, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის გაჯანსაღდება აქედან რომ უნდა
დაიწყოს, ეს, ვფიქრობ, არავისთვის საღავო არ იქნება.

მიუხედავად ამ საქმის სიძნელისა საქართველოს დამოკიდებლო-
ბის დღიდან რომ ამ გზას დავდგომლით, დარწმუნებული შეიძლება ვი-

ყოთ, რომ იმ მატულით, აბრეშუმით და ბამბით, რომელიც ჩვენში მოდის, შევძლებდით საკუთარი თავის უზრუნველყოფას. ფართლეულობის ხალხის-თვის მიწოდებით კი, განსაკუთრებით სოფლად, რამდენად გამოვაკეთებდით ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტად უნდა ჩაითვალოს...

ადამიანს გული გიკვდება, რომ ამ მხრივ ჩვენში სრულიად არაფერი გაკეთებულა, და ეს შით უმეტეს, როდესაც საფიქრო მრეწველობასთან ერთად სხვა მრავალგვარი შესაძლებლობანიც მოგვეპოვება, ბევრ სხვა დარგებშიც ჩვენს წინ საუცხოვო პერსპექტივები იშლება...

ჩვენ არ ვიცით, როდის დაწყნარდება აბობოჭრებული ცხოვრება, როდის ჩადგება ის წესიერ კალაპოტში. სხვა რომ არა იყოს რა, ამიტომაც სხვისი თვალებში ყურებას და მოწყალების იმედით ცხოვრებას თავი უნდა დავანებოთ, გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი და შევქმნათ სახელმწიფოს არსებობის მტკიცე და ურყევი საფუძვლები.

ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის, ქართველი ერის უკეთეს მომავლისათვის სხვა გზა არ არსებობს და მთელი ჩვენი ენერგია სწორედ აქეთ უნდა მივმართოთ...

მაგრამ უბედურება სწორედ იმაშია, რომ ეხლაც, ამ კატასტროფის წინ, ჩვენ ვერ შეგვიგნია ეკონომიური მეცნიერების საანბანო ჰერარდიტებანი და დებულებანი, ვერ გაგვითვალისწინებია. ჩვენი ქვეყნის უდიდესი და მასთან უმარტივესი საჭიროებანი და ხეალ ისე, როგორც დღეს, და დღეს ისე, როგორც გუშინ, განვაგრძობთ ცხოვრების სინამდვილის მიერ არა ერთხელ დაგმობილ გზით სიარულს.

ვერ იქნა ჩვენი გამოფხიზლება: ჭკუა ვერ გვასწავლა საშინელ უფროსის წინაშე დგომამ, გზა ვერ გვაჩვენა ერთ ადგილზე რამდენჯერმე გადაშრუნებულ ურემდა!.. ვაკეთებთ ხშირად იმას, რაც არ უნდა კეთდებოდეს და ვაკეთებთ არა ისე, რანაირადაც სახელმწიფოს რეალური ინტერესები მოითხოვს.

დაკვირვებული ადამიანი ჩვენში საუცხოვო შეობას გაივლის და ზედმიწევნით შეისწავლის იმას, თუ როგორი ეკონომიური პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება ქვეყნის დალუპვის თავიდან ასაცილებლად.

ერთხელ არჩეულ გზას არ უხვევთ, და მე არ ვფიქრობ ეს ჯიუტრაბით მოგვდომდეს, შეგრამ ის კი აშეარა, რომ საკითხს ლრწმუნდ არ უკვირდებით და ამიტომ ვერ ვამჩნევთ მის გამანადგურებელ შედეგებს...

ამ მცირე შრომის მიზანია უმთავრესად ზემოაღნიშნულ და შეთანა დაკავშირებულ საკითხებს დასმა და ოდნავ მაინც გაშექება. შეიძლება მცირე სამსახური მაინც გაუწიოს იმათ, ვინც შეწუხებულია დღევანდელი საშინელი მდგომარეობით, ფიქრობს და ცდილობს მისი გამოსწორებისათვის და გაჯანსაღებისათვის ხელის შეწყობას, რამენაბიჯების გადაღვენს, დაშმარების აღმოჩენას. ეს მით უფრო საჭიროდ მამაჩნია დღეს, რადგან ეკონომიურ დარგში მობილიზაციის მოხდენა, ეროვნული ძალების ზედმიწევნით ამოძრავება და მთელი შესაძლებლობის ამოწუხავა, — აუცილებელ საჭიროების და ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს წარმოადგენს.

აქ აღძრულ საკითხების დამუშავების აზრი ინჯ. ირ ბურჯანაძემ მომცა, რომლის წინატაღებით და საჭაროებულოს ტეხნიკურ საბოგადოების

დავალებით მიმდინარე წლის თებერვალში ზემრალნიშნულ სათაურით შოხ-
სენება წავიკითხე ერობის ტეხნიკურ ძალთა ყრილობაზე. ვინაიდან მოხსე-
ნებამ ყრილობაზე საქმაო ინტერესი გამოიწვია და იქ წამოყენებული სა-
კითხები საგულისხმიეროდ იქნა აღიარებული, მე გადავწყვიტე ამ მოხსე-
ნების გადამუშავება, შევსება და გამოქვეყნება; და ამ სახით ივნისიდან კი-
დეც დავიწყე მისი ბეჭდვა ქალაქთა კავშირის ორგანოში (ამ უამად „ჩვენი
ქალაქი“).

ამ შრომაში მე გავარჩევ ჩვენში შინამრეწველობის განვითარების სა-
ფულების გარდა აბრეშუმის, მატყლის, ბამბის, ხე-ტყის, ხილის, ლვი-
ნის, რძის, თაფლის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და სხვა მრავალგვარ
წარმოებებს, რომელთა განვითარებისათვის და რაციონალურად დაყენები-
სათვის ჩვენში საუცხოვო ნიადაგია შემზადებული. და ვინაიდან მთელი
მასალის გადამუშავება და თვიურ უურნალში დაბეჭდვა საქმაოდ დიდ დროს
მოითხოვს, მხოლოდ თვითონეული წარმოება მთელი შრომის თითქმის დამ-
თავრებულ ნაწილს წარმოადგენს,— მე გადავწყვიტე ამ სათაურით რამდე-
ნიმე ცალკე წიგნაკის გამოშევება.

ვკალნიერდები ამ შრომის გამოქვეყნებას გათამამებული იმ შეხვედ-
რით, რომელიც ხვდა წილად საზოგადოებაში და პრესაში 1918 წლის მი-
წურულში გამოსულ ჩემ წიგნს სათაურით — „მრეწველობის განვითარების
საკითხი ჩვენში.“ ყოველ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ მცირე წვლილსაც
საერთო საქმეში საქმაო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ზღვაც წვეთებიდან
არის შემდგარი...


ბოდიშს ვიხდი იმ შეცდომებისთვის, რომელნიც წიგნში ჩემდა უნებ-
ლიეთ არის ხოლმე შეპარული.

წინდაწინ მადლობას უცხადებ იმ პირთ, ვინც წამოყენებულ საკით-
ხებზე რაიმე ცნობას ან მასალას მომაწვდის; მადლობელი ვიქნები აგრეთვე
საყურადღებო შენიშვნებისთვის. მასალების და შენიშვნების გამოგზავნა
შეიძლება შემდეგი მისამართით: ტბილისი. დიდმთავრის ქ., № 70.

ინჟ. ვ. კაკაბაძე.

ტბილისი. 24 ნოემბერი 1920 წ.

პოლიტეხნიკური სასწავლებელი:



შინამრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში.

ქართველი ერი თითქმის ას ოცი წლის განმავლობაში საკუთარ ინიციატივის; თავისუფალ განვითარების და ეროვნულ საქმიანობის უფლებას მოკლებული იყო, მაგრანასკნელ დრომდე მას აუარებელი ხელას შემშლელი პირობები ეროვნებოდა წინ; ის უმთავრესად გარეშე ძალების, გარეშე „მზრუნველობის“ შემყურები იყო და მისი „განვითარება“ სწორედ ამ უცხო ელემენტების კარნაჟით, სურვილით და გავლენით ხდებოდა...

მხოლოდ ამ ორი წლის წინად ქართველმა ერთმა საშინელ ომის და რევოლუციის ქარტეხილში თავისუფლება გამოსტედა, და დღეს ჩვენ უკვე გვაქვს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება; დღეს უკვე ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი ავი და კარგი; დღეს უკვე ვერავის გადავაბრალებთ ჩვენი ცხოვრების სივაგლახეს და სიდუხჭირეს...

სიმოწენით უნდა აღნიშნოთ, რომ იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომლებშიაც ქართველ ერს სახელმწიფო გრძელი მოუხდა და დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, მან დიდალი სამუშაოს გაკეთება შესძლო. ჩერნი ხალხი ბეჯითათ და სახელოვნად იქაფავს გზას და მოუკიდებელ არსებობისათვის და თავისუფალ განვითარებისათვის. მაგრამ შინაურ სამშენებლო მუშაობის, საერთაშორისო კითარების, დაუსრულებელ „ფრონტების“ და სხვა მიზნების გამო თითქმის მივიწყებული, ყრველ შემთხვევაში სათანადო ყურადღებას მოკლებული შეიქმნა ეკონომიკური საკითხები, რომელიც არსებობა და სახელმწიფოს ცხოვრების და მისი პოლიტიკის წყაროს და საფუძველს წარმოადგენს.

დღეს უცელასათვის უკვე ნათელია, რომ ქვეყნის წარმატებისათვის და უზრუნველ ყოფისათვის საჭირო ეკონომიტრი ცხოვრების სიმტკიცე. ის ქვეყანა, რომელიც არაფერსა ჰქმნის, სხვებს არაფერს აწვდის, პირიქით სხვებს შეჰქონიერებს და მხოლოდ უცხო ქვეყნიდან საჭირო საჭირო შემოტანაზე ფიქრობს, ვერასოდეს ვერ დადგება მწიბდრო ეკონომიტრ საფუძველზე. რამდენად მეტი ღირებულება იქმნება ამა თუ იმ ქვეყანაში, იმდენად ის უზრუნველყოფილია, ღონიერია ეკონომიტრად და, მაშასადამე, პოლიტიკურად.

საერთაშორისო ომია ძირიან-ფესვანად შეარყია ეკონომიტრი საფუძველი, დასცა და წელში გასტეხსა მრეწველობა, არევ-დარკვა. შეიტანა აღებ-მიცემობაში და ფინანსიურ ცხოვრებაში და ხალხთა მატერიალური გაღატაქება გამოიწვია. თანამედროვე მქიმე მდვომარეობის გამოსელა შესაძლებელია მხოლოდ საწარმოო ძალთა განვითარებით, ინტენსიური შრომით და ბეჯითი საქმიანობით, წარმოებათა შექმნა-განვითარებით და ღირებულობათა წარმოშობით. ეს არის უმთავრესი, ეს არის სახელმწიფოს სიძლიერის გამომხატველი და არა ამა თუ იმ ქვეყანაში შემთხვევით დაგროვილი იქრო-ვერცხლის რაოდენობა; ყოველივე ეს სულ მალე იმ სახელ-

მწიფოსაკენ გასცურავს. სადაც მტკიცეა ეკონომიური ცხოვრება, გამეფებულია შრომა და განვითარებული მრეწველობა. ადამ სმიტის სიტყვით — „ქვეყნიერების სიმდიდრე სულ შრომით არის მოგროვილი და არა ოქროვერცხლით, თვით ოქროვერცხლიც შრომით არის მოპოებული“.

საერთაშორისო ომმა ჩვენს წინაშე მრავალი საკითხი წამოაყენა, ბევრი საჭიროებანი გამოარკვია, და საჭიროა ცხოვრების მიერ გადაჭრით დაშტულ საკითხებს სათანადო პასუხი გაფრცეთ. ამ ხუთი-ექვსი წლის ნგრევის შემდეგ ცხოვრება წელ-წელა თავის კალაპოტში ჩადგება; დაიწყება გაცხოვებული მუშაობა წანგრევების აღსაღებებით, „დამშეულთათვის“ საჭირო საქონლის მისაწვდენად, — საჭიროა მომზადებული შეგხვდეთ განახლებულ ერთა მომავალ საქმიანობას; დიდი ისეთი გვამართებს, რომ ჩვენც ჩავებათ ამ საერთო საქმიანობაში; სათანადო ადგილი დავიჭიროთ და კულტურულ კაცობრიობის დაწინაურების და მისი ეკონომიურ წარმატების საქმეში თავისი წვლილი შევიტანოთ. ისეთი ღროში ვცხოვრობთ; რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის განმტკიცება, ჩვენი მომავალი, ჩვენი კეთილდღეობა ჩვენს საქმიანობაზე და უნარზეა დამოკიდებული; დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სიყოჩალეს გამოვიჩენთ, რამდენათ ძლიერი და მჭიდრო „პოზიციების“ დაჭერას მოვახერხებთ სწორედ ეხლა, ვინაიდან შემდეგში, მშვიდობიან ცხოვრების პირობებში, გაცილებით უფრო ძნელი იქნება სხვებთა მიერ დაჭერილ „პოზიციებზე“ გამავრება.

საქართველომ უნდა შეიძუშაოს საკუთარი ჯანსაღი ეკონომიური პოლიტიკა, შექმნას რიგიანი ეკონომიური და ფინანსური კანონმდებლობა, წარმოშვას, და განავითაროს სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც მოლოდ მაშინ იქნება ცხოველი და ძლიერი, როდესაც დამყარდება ერთგვარი შეტოლება წარმოებისა და მოხმარების, ექსპორტის და იმპორტის შორის. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი ეკონომიური გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობებს სათანადო მოწყობას და მის წესიერ კალაპოტში ჩაყენებას. ამ გეგმით შესაძლებელი უნდა გახდეს იმ აუარებელი სიმდიდრის მიზანშეწონილად გამოყენება, რომლითაც ასე უხვად დაჯილდოვებულია ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ეკონომიური ინტერესები მოითხოვს შევქმნათ ისეთი პირობები, რათა არ დაგვეირდეს გარეთ იშის ძებნა, რაც თვით უხვად მოგვეპოვება და რისიც გადამუშავება ჩვენთვის. არავითარ სინელეს არ წარმოადგენს.

არ უნდა დავიგინწყოთ, რომ გადასაკეთაებელი მასალის კორგად, სარგებლიანად და ეკონომიურად მოხმარება არის ერთი უმთავრესი პრინციპი მრეწველობისა. ნედლი მასალის გადამუშავება ადგილობრივ უნდა მოხდეს, ვინაიდან, რამდენად ძვირფას საქონელს გამოიუშვებს ჩვენი ქვეყანა. მსოფლიო ბაზარზე, იმდენად ხალხი მეტ სარგებლობას ნახავს, იმდენად უფრო უზრუნველყოფილი იქნება; ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ნედლი მასალის სახლვარ-გარედ გაზიდვას და იქნებან. მისგან დამზადებულ საქონლის ერთი-ათად და ასად აწეულ ფასებით უქანვე. დაბრუნებას, არ შეუძლია ხელი შეუწყოს ხალხის კეთილდღეობას. ამავე მიზნით საჭიროა ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება და მრეწველობის წარმოშობა მოხდეს არა გარეშე ეროვნულ ძალებისა და ეროვნულ ქაბიტალისა, ყოველ შემთხვევაში ქართველი ერის ცოცხალი ძალების მსურვალე მონაწილეობით.

დაუყონებლივ, საჭიროა საწარმოო ძალების მომძრავება და ყყვაება;

ყოველი ცოცხალი ძალა გამოყენებული უნდა იქნეს; არ უნდა არსებობდეს უსარვებლო კაპიტალი, მთელი შემოქმედებითი ძალა საჭიროს დაგროვების ნიადაგზე უნდა მუშაობდეს, ეროვნულ სიმღიდოებს. უნდა ჰქმნიდეს...

სახელმწიფოს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, თავის მიზნების განხორციელება მხოლოდ მოქალაქეთა ეკონომიკური მოლონიერებით შეუძლია; სახელმწიფო თვალსაზრისით ამიტომ არის საჭირო ზრუნვა-ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებისათვის. რამდენად ყურადსალებია ეს გარემოება იქედან სჩანს, რომ გერმანია და შეერთებული შტატები, რომელიც ქმნიდენ მრეწველობის ისეთ დარგებსაც კი, რომელთა ადგილად განვითარების საშუალებას არ იძლეოდენ. ამ ქვეყნების ბუნებრივი პირობები და რესერვი, რომელიც ჰქლავდა და ახშობდა ეკონომიკურ ცხოვრების განვითარებას ყოველივე შესაძლებლობას, — დიამეტრალურად. საწინააღმდეგო შედეგებს იძლევიან.

ყოველივე ზემოხაოვებიდან აშკარაა, თუ რა გზას უნდა დავადგეო ეკონომიკური ცხოვრების განსამტკიცებლად: ეროვნული სიმღიდოები საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ, რიგიანად მოვიხმაროთ და მის დამუშავებას ერის ცოცხალი ძალები მოვანდომოთ; უნდა შევემნათ სასურველი ნიადაგი წარმოებათა ასაღობისებლად და განსავითარებლად და შეუფარდოთ ისინი ბაზრის მოთხოვნილებებს და პირობებს; უნდა შევიმუშაოთ გონივრული ეკონომიკური ვეგმა და საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობაში მაქსიმალური მონაწილეობა მივიღოთ; საწარმოვო ძალები უნდა განვავითაროთ და ავაყვაროთ, შრომის ნაყოფიერება ავსწიოთ და მოვაწყოთ ნედლი მასალის ადგილობრივ გადამუშავება.

მხოლოდ ებლა დასკვათ საკითხი, რა სახით შეიძლება ნედლი მასალის გადამუშავება და რომელი გზა უნდა ავირჩიოთ ჩვენ ამ საქმეში.

ნედლი. მასალა შეიძლება ან საჩრდვარ-გარედ იყოს გაზიდული ან ადგილობრივ გადამუშავებული. როგორც ზევით აღნიშნეთ მისი გამოყენების პირველ გზას ჩვენ, რასაკვირველია, მხარს ვერ დაუჭირთ. რაც შეეხება ნედლი მასალის ადგილობრივ გადამუშავებას, ეს შეიძლება ან საქარხნოსამრეწველო ან შინამრეწველობის საშუალებით. სამწუხაროდ უნდა იღვნიშნოთ, რომ საქარხნო მრეწველობა ჩვენში თითქმის არ არსებობს; ძველი რუსეთის მთავრობა არ აქცევდა სათანადო ყურადღებას მის შექმნას და განვითარებას, აგრეთვე ხალხის გაწრთვებას და სერიოზულ და ბეჯით სამუშაოსთვის სათანადო მომზადებას. საქარხნო მრეწველობა სწორედ ისე, როგორც ყოველი სერიოზული საქმე, შესაფერ ნიადაგის შემუშავებას, და ხელოვნებულ და საქმაოდ მომზადებულ მუშებს და ხელმძღვანელებს. მოითხოვს, აგრეთვე თანამდებობით შემუშავებულ ერთგვარ ტრადიციას.

შინამრეწველობა კი ჩვენში მრავალშრივია და ამასთანავე საქმადე განვითარებული; მისი სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად მხოლოდ ხელის შეწყობაა საჭირო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დარგში ხალხი შესაფერისად არის გაწვრთნილი და მომზადებული; მას სავსებით შეთვისებული აქვს მისიკელემენტები, გაცნობილი — მისი ხასიათი, ავი და კარგი; ამ დარგში ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული აქვს განსაკუთრებული ტრადიცია.

გარდა ამისა საქარხნო მრეწველობა რთულ მოწყობილებებს საჭიროებს და დიდ თანხასაც მოითხოვს მაშინ, როდესაც შინამრეწველობისათვის უბრალო ხელსაწყოები და სულ მცირე თანხაა საჭირო. ამნაირად,

შინამრეწველობის განვითარება გაცილებით უფრო ადეილ და ამ უამაღ-
მოსახერსებელ საქმეს წარმოადგენს, ვიდრე საქართვის მრეწველობის წარ-
შოშობა და მისი სათანადო პირობებში ჩაყენება.

ამით, რასაკირელია, იმის თქმა არ მინდა თითქოს არ უნდა ვიხ-
მაროთ არავითარი ლონისძიებანი საქართვის მრეწველობის შესაქმნელად.
პირიქით, მე ვთიქმობ, რომ ეს აუცილებლად საჭიროა. და ჩვენ კიდევ
შეძლება გვაქვს, ცოტა თუ მაინც მოვინდომეთ, ზოგიერთ წარმოებას ად-
გილად მივცეთ საქართვის მრეწველობის ხასიათი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის
სამრეწველო უამრავ დარგებიდან ორიოდეს გამოყოფა, რასაკირელია, ამ
დიდ საკითხს, საესებით ვერ გადაწყვეტს და დანარჩენ დარგების განვითა-
რება შინამრეწველობის წესით მოგვიხდება. ამას სხვა დადებითი მხარეებ-
თან ერთად დიდი სამსახური, გაწევა შეუძლია. სასურველ დონეზე და
ფართო მასშტაბით დაყენებული შინამრეწველობა გაწვრთნის ხალხს, სე-
რიოსულ და დაკირებულ მუშაობას მიაჩვევს, საქმის სიყვარულს შთაუნერ-
ვავს, საორგანიზაციო ნიჭს, პრაქტიკულ უნარს და ენერგიას, შემოქმედე-
ბითი ძალას. ზა ინიციატივას განუვითარებს. ამნაირად, ის თანადათან
ნიადაგს მოუმსადებს საქართვის წარმოების შექმნა-განვითარებას,

კიდევ. შინამრეწველობა ნედლი მასალის რაციონალურად გადამუშა-
ვების საშუალებას მოგვცემს. მის ზოგიერთ დარგებს, როგორც ქვევით და-
ვინახავთ, თავის ხასიათის და ბუნების მიხედვით მუდამ შეეძლებათ არსე-
ბობა და მათ ყოველთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა ექნებათ.

შინამრეწველობის დანარჩენ მხარეების შესახებ ქვევით გვექნება ლა-
პარაკი; მხოლოდ ის კი შეგვიძლია ეხლავე გადაჭრით ვთქვათ, რომ რა
მხრითაც არ უნდა მოუდგეთ საკითხს მის განვითარებას ჩვენთვის საქმაოდ
დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ საჭირო მას მხარი დაუჭიროთ და
სათანადო ყურადღებით მოვეჭრათ.

ჩვენ შინამრეწველობაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჯერ არ გამოგვირ-
კვევია, თუ რა იგულისხმება ამ სახელით. ეს კი მეტად საჭიროა, ვინაიდან
ის იწვევს დიდ უთანხმოებას მკვლევარობა შორის და მას სხვა-და-სხვა ქვეყ-
ნებში ერთი და იგივე მნიშვნელობით არ ხმარობს. ჩვენი ქვეყნის შინა-
მრეწველობა სწორედ ისე, როგორც რესერვის, შეიძლება დაახლოვებით
შემდეგნაირად იქნეს განმარტებული: „შინამრეწველობა არის ისეთი წერი-
ლი საოჯახო ორგანიზაცია გაყიდვის მიზნით საქონლის დამზადებისა, რო-
მელიც შეადგენს სასოფლო მეურნეობის უმთავრესად დამატებითი და მე-
ურნეთათვის დამხმარე სარეწავს“ (პროფ. ი. იაროვკი) ¹⁾.

საქართვის მრეწველობა შინამრეწველობისაგან შით განსხვავდება, რომ
პირველში წარმოების მასიური ხასიათი აქვს და კიდევ მით, რომ ის მუ-
შას საესებით სწყვეტი მიწის მუშაობას და სხვა გარეშე საქმიანობას; ში-
ნამრეწველობა კი არსებობს და ვითარდება სოფლის მეურნეობასთან ერ-
თად. შინამრეწველობის წარმოების ხასიათი აქვს, მაგრამ აქ-
„წერილი წარმოება“ — არ შეიძლება ვიხმაროთ იმ მნიშვნელობით, როგო-
რითაც ამას სასასელოსნო წარმოებისათვის ჩამოარჩენ; ამ უკანასკნელიდან
შინამრეწველობა განსხვავდება უმთავრესად პროდუქტების გასაღების ხა-
სიათით: შინამრეწველი ამზადებს საქონლს უმეტესად უცნობ მყიდველისა-
თვის ²⁾, ასე ვსოდეთ — ბაზრისათვის, ხშირად ასაღებს საქონლს ბითუმად

¹⁾ თხილისიოდეთა. ცლიარს, ციონგავთ և ეფრონთ, ტ. 33.

²⁾ შინამრეწველი ხანდისხან საქონლს თავის ოჯახის მოთხოვნილების დასაქმაყო-
ფილებლადაც ჰქმნის, მაგრამ ამით შინამრეწველობის საერთო ხასიათი არ იცვლება.

შემყიდველზე მაშინ, როდესაც ხელოსანი მომსმინებელთან პირდაპირ დამოკიდებულებაშია და, მაშასადამე, განსაზღვრულ შემკვეთელისთვის მუშაობს.

შინაურ წარმოქმნაში შინამრეწველობასთან ის საერთო აქტებს, რომ არიენ შემთხვევაში მუშაობა მწარმოებელთა სახლში სწარმოებს. ამ მხრივ შინამრეწველობას საერთო აქტებს აგრეთვე გვრეფწოდებულ საოჯახო წარმოებასთან, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საქონლის დაშალებაში მოხაწილეობას ილუბენ მხოლოდ შინაურნი, ოჯახის წევრნი. განსხვავებას მათ შორის მხოლოდ ის შეადგენს, რომ საოჯახო წარმოება მიზნად ისახავს შინაურ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილებას მაშინ; როდესაც შინამრეწველობა-საქონლის გასაღებას გარეშე მომხმარებელზე.

შინამრეწველობა ნოქავს განსაუკრძალებით იმ ზედმეტ დროს, რომელიც ასე თუ ისე სოფლის ოჯახის წევრებისთვის მაინც დაკარგული იქნებოდა. ჩვენ ვიცით. რომ ხეხა-ოესვისაგან და საერთოდ სამეურნეო მუშაობისაგან ქართველი შეურნე საშუალოდ ხუთი თვე თითქმის სრულიად თავისუფალია; დანარჩენ დროს განსაყლობაშიც. მას მუშაობა თანასწორი ინტენსივობით არ უხდება და ხშირად საქმაოდ ბევრი თავისუფალი დრო აჩება. ეს ერთი.

მეორე ის გახლავთ, რომ ქართველ მეურნეს საქმარისი ადგილი არა აქვს და ამნაირად დიდი სურვილიც რომ ჰქონდეს, მას არ შეუძლია მოელი დრო სასოფლო მეურნეობას მოხსმაროს. ვფრია, ინტერესს მოკლებული არ იქნება შემდეგი ცნობები ^(*):

	მცხოვრებთა საერთო ოცნე- ხე.	სოფლის მცხოვ- რებობის რიცხვი (ქალაქების გა- მოქლებით).	საერთო სივ- ნებში.	დათესილ ადგი- ლების სივრცე დესეტინებში.
თბილისის გუბ.	1.473.308	1.045.638	3.740.004	409.189
ქუთაისის „	1.034.468	946.388	1.930.742	249.244
სოხუმის ოლქ.	209.671	147.697	603.310	112.800
ზაქათალის „	92.608	88.103	364.817	35.743
ბათუმის „	122.811	95.794	638.480	12.410

აქედან შეგვიძლია შემდეგი საყურადღებო ცხრილი შევიმუშაოთ:

	დათესილი ადგი-თითოულ მცხოვ- რები შედარებით ტებზე ჭათებილი მცხოვრებზე და- მთველ სივრცესთ. ადგილი დესეტი-თესილი ადგილი პროცენტ. (%)	დათესილი ადგი- ლებში.
თბილისის გუბ.	10,94	0,28
ქუთაისის „	13,43	0,24
სოხუმის ოლქში „	18,69	0,53
ზაქათალის „	9,79	0,38
ბათუმის „ „ „ „	1,94 ^(*))	0,10 ^(*))
		0,13 ^(*))

ამას შეგვიძლია დავუჩრთოთ უკანასკნელი ცნობებიც 1919 წლის შესახებ, რომელიც ამ უაშად ძიწათ-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ განცემულებაში მოიპოვება ^(*):

^(*) ამ ცხრილის შემუშავების დროს ესარგებლობდი „კას. მასიმ“. 1917 წ. ცნობებით.

^(*) დათესილი ადგილების ასეთი მცირე რაოდენობა ბათუმის ოლქში რმის გავლენით იისნება. თუ ავიღეთ იმის წინა წლების ანგარიში, მაშინ უფრო ნამდვილ სურათს მიღიღდეთ. მაგალ, 1912 წ. დათესილი იყო 28.502 დეს. („კას. კას.“ 1914 წ.) და თითოულ მცხოვრებზე მოდირება—0,30 დეს.

	სახნა-სათესი ადგილები დესეტინებში.	საობი ადგი- ლები დესეტი- ნებში.	ბალები დესეტი- ნებში.	სულ ვარგისი ადგილი დესე- ტინებში.
თბილისის გუბ.	381.434, ₁₂	69.469, ₂₀	19.578, ₄₆	744.578, ₅₅
ქუთაისის	201.800, ₈₄	6.584, ₈₉	18.925, ₈₆	417.317, ₁₂
სოხუმის ოლქ.	67.971, ₁₂	1.472, ₀₁	6.052, ₇₈	109.261, ₈₈
საერთოდ რეს-				
პუბლიკაში	651.206, ₉₆	77.526, ₉₂	44.557, ₄	1.271.157, ₄

ამ ციფრების დაწერილებით განხილვას რომ არ შეუდგეთ, ის მაინც აშკარაა, რომ ქართველებაც საჭმაო აკრილ-მასმული არ აქვს და ოოგორუ აქედან, ისე სასოფლო შეურნეობის მუშაობის სასიათიდან ის გამომდინარეობს, რომ მას ბევრი თავისუფალი დრო რჩება აუცილებლად საჭიროა ეს დრო მიზანშეწონილად იყოს გამოყენებული ოოგორუ კერძოთ მისი, ისე სახელმწიფოს ინტერესებისათვის. დამტკიცებულია რომ, როდესაც ადამიანს არაფერი ან ცოტა საქმე აქვს, ცუდ ყოფა-ცხოვრებას ეწევა, ეჩვევა სისარმაცეს, ლოთობას და ცშირად ავაზაკობასაც. ამ პირობებში შინაგანშევეღლობისაკენ მოქალაქეთა წახალისება, მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა, — სახელმწიფოს პირდაპირ მოვალეობას შეადგენს.

ამ ციფრებიდან კიდევ ის გამომდინარეობს, რომ საქართველოს საკუთარი ქონახულით თავის გამოკვება არ შეუძლია არა თუ ისეთ მწირე წელებში, როგორიც იყო 1919 წ., არამედ კარგ მოსავლიან წელშიაც. მართლაც, 1919 წელში თბილისის გუბერნიაში მოვიდა სულ მხოლოდ 7.154.863 ფუთი მარცვლეული, ქუთაისის გუბერნიაში — 5.620.185 ფუთი; აფხაზეთში, სადაც შედარებით გვარიანი მოსავალი იყო — 2.451.728 ფუთი¹⁾. აშკარაა როდესაც თითოული დესეტინა ხშირად მხოლოდ 15—20 ფუთ მოსავალს იძლეოდა, დეფიციტი დიდი უნდა ყოილიფო და ამ დეფიციტის სიმწვავეს წელს ყველაზი კარგად გერმნობთ.

მაგრამ კარგ მოსავლიანი წელიც რომ ავილოთ და დაახლოვებით გაშვეიანებული მოსავლის და გასავლის ჯამი, მაინც შემდეგ სურათს მივიღებთ: თბილისის და ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში დათესილ ადგილების რაოდენობა უდრის დაახლოვებით 770.000 დესეტინას; თითოულ დესეტინაზე საშუალოდ რომ 50 ფუთი მოსავალი ვიანგარიშორ, მივიღებთ $50 \times 770.000 =$ მთელი მოსავლის ჯამს — 38.500.000 ფუთს. ამ ტერიტორიაზე სულ 2.800.000 სული მცხოვრებია; ვინაიდან ჩვენი ხალხი პურს ბევრს სჭამს, სულ მცირე სულზე უნდა ვიანგარიშორ დღეში 2 გირ. ანუ წელიწადში არა ნაკლები 18 ფუთისა. მაშინ ხალხის გამოსაკვებად საჭირო იქნება 18 ფ. $\times 2.800.000 = 50.400.000$ ფუთი მარცვლეულობა. საოცელეთ ამ რაოდენობისთვის საჭიროა სულ 3.500.000 ფუთი. (ცხენების გამოსაკვებად საჭიროა თითოულზე 9 ფუთი — 9 ფ. $\times 93.000 = 837.000$ ფ., ლორებისათვის²⁾), — სულ მცირე 3 ფ. — 3 ფ. $\times 358.000 = 1.074.000$ ფუთი;

¹⁾ სტატისტიკურ განყოფილებაში ბათუმის და ზაქათალის ოჯების შესახებ 1919 წლის ცნობები არ მოჰყვება, ეინაიდან ისინი რამდენიმე ზანია საქართველოს სხეულს ხელოვნურად მოგდევავილი არიან.

²⁾ 1919 წლის მოსავლის შესახებ ცნობები ავილე ურნალიდან „ერობა და ქალაქი“ №№ 1—2, 3, „ურიანა 1919 წელი“, მ. ლიადინ.

³⁾ ცხენების და ლორების რიცხვი აღმატული მაქვს მიწ.-მოქმ. სამჩნისტროს სტატისტიკურ განყოფილებიდან.

ამას ქათმები და სხვა ფრინველები რომ მიუმატოთ, მარცვლეულობის ხარჯი ცხოველებზე და ფრინველებზე გამოვა სულ მცირე 3.000.000 ფუთი. ძთელი ხარჯი, მაშასადამე იქნება: 50.400.000 ფ. + 3.500.000 ფ. + 3.000.000 = 56.900.000 ფ. ამნაირად, კარგ მოსავლიან წელშიც კი მარტო თბილისის და ქუთაის, გუბ. და სოხუმ. ოლქში დაგვაკლდება სულ მცირე — 56.900.000 ფუთი — 38.500.000 ფ. = 18.400.000 ფ. შაცხლეულობა. ამას თუ ბათუმის და ზაქათალის ოლქებიც მიუმატეთ, დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებანი სხვა მხრივადაც მტკიცდება. ამიერ-კავკასიის რკინისგზის ანგარიშიდან ც. სჩანს, რომ მის საზღვრებში, განსაკუთრებით საქართველოს სხვა-და-სხვა პუნქტებში, გადაზიდული იყო 1911 წელს — 23.537.852 ფუთი, 1912 წ. — 20.024.819 ფ., 1913 წ. 22.520.994 ფ. და სხვ.

ამნაირად, საქართველოს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს დღევანდელ პირობებში უცხოეოიდან თავის საზღვრებში პურის შემოტანა უხდება. თუ კი ეს ასეა, შეგვიძლია აქედან ისეთი დასკვნა გავატეთოთ, რომ ქართველ სალს ესაჭიროება შემოსავლის ისეთი წყარო, რომელიც როგორც პუნქტის შეძნის, ისე სხვა ათასგვარ მოთხოვნილებათა დაკავშირდების საშუალებას მისცემს. საქართველო-სამრეწველო დაოგების განუვითარებლობის გამო, ასეთ წყაროდ მხოლოდ შინა მოწველობა უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ზემონათქვამიდან აშენადა, რომ მეტად საჭიროა ჩეენში შინამრეწველობის განვითარება. მაგრამ საჭმარისი არ არის საჭიროების გამორკვევა; არ შეიძლება ახგარიში არ გაუშიოთ იმას, თუ ადგილობრივი პირობები რამდენად ხელს უწყობენ მის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩეენ განსაკუთრებულ და იშვიათ პირობებში ვიმოფებით.

რაც შეეხება ნედლ მასალას, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ჩეენი ქვეყნის ცოცხალ ძალებს საესტრით ეყოფა ადგილობრივი ნედლი მასალა დასამუშავებლათ და არავითარ დაბრკულებას ამ მხრივ ადგილი არ ექნება. ეს იმდენად ნათელია, რომ ჩეენის ფიქრით დიდხანს ამაზე შეჩერება საჭიროა არ არის. საჭმარისია მხოლოდ. აღნიშნოთ, რომ საქართველოს შინამრეწველობის მრავალგვარ დარგთა განვითარების შესაძლებლობა აქვს, ვინაიდან მას მოეპოება ბევრინაირი ნედლი მასალა, როგორც, მაგალითად, აბრეშუმი, მატყული, ბამბა, მარწეული, ხე-ტყე, თიხა, ხილი და სხვა-და-სხვა.

შინამრეწველობის განვითარებას ჩეენში ხელს უწყობს მიმოსვლის საშუალებათა მდგომარეობაც. სამწუხაროდ საქართველო ჯერ-ჯერობით მოკლებულია რიგიან გზებს და მათი საჭირო რაოდენობას. ჩეენ ვიცით ბევრი ისეთი ბუნებრივი სიძლიდრით უხვად დაჯილდოვებული ადგილები, საღაცურმებითაც კი შეუძლებელია მისალა-მისელა; რასაკირველია, ასეთი უგზონობის გამო ნედლი მასალის გამოზიდვა საქმარე მნელ საქმეს წარმოადგენს და ეს კი ხელს უწყობს მათი ადგილობრივ გადამუშავებას.

შინამრეწველობის განვითარებას საქართველოს ბევრ რაიონებში ხელს უწყობს აგრეთვე სანგრძლივი და სუსტიანი ზამორები, რომელნათ სშირიად შეზობელ სოფელთა შორისაც კი ურთიერთობას სწყვეტს, ხალხს სახლში აძრევებას, აუარებელ თავისუფალ დროს აძლევს და მასთან ერთად ოჯახის გარეშე მუშაობის საშუალებას უსპობს.

შინამრეწველობის განვითარების ხელის შემწყობია ის გარემოებაც, რომ ქალს ჩეენში იჯახის გარეშე სამუშაოს თითქმის არასოდეს არ აკისრებებ; შრომა ისეა განაწილებული, რომ კაცი უმოავრესიდ, გადამდა საშუალოს აკეთებს, ქალი კი იჯახის უვლის; მაგრამ საოჯახო საქმეებთან ერთად ის შინამრეწველობასაც ეწევა.

მრავალ სხვა პირებთა გარდა შინამრეწველობის განვითარებაზე გავლენა აქვს კიდევ ადგილობრივ მცხოვრებთა სიმარჯვეს, მოსერსებულობას და ოსტატობას. კავკასიის შინაწარმოებათა ერთი პირველი მკვლევართა-განი ო. მარკვარაფი აქაურ შალების დამზადების აღწერის დროს სხვათა შორის ამბობს: „ყოველივე ეს კეთდება უმანქანოთ, მხოლოდ ადამიანის ძალით, მისი ხელმარჯვეობით და თვალსედვის. სისწორით. საზოგადოთ ადგილობრივ ტესნიკაში აღსანიშნავია შემდეგი მთავარი მხარეები: მომურა შევეს უაშრავი პირადი: სიძალე, სიმარჯვე მოხერხებულობა და მოქნილობა ხელის ფეხის და მთელი ტანის მოძრაობაში, ავტომატიური შრომის გარეშეობა, რომლითაც ხასიათდება უფრო წინწასულ და რთულ იარაღებზე მუშაობა, აგრეთვე მოსწრებულობა და ყოველმხრივი ცოდნა. წარმოებებში საჭირო უამრავ მასალებისა და მათი გამოსადევრობისა“...”).

ყველაფერი ხელს გვიწყობს. შინამრეწველობის განსაკითარებლად; საჭიროა მხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფო დახმარება. ფართო მასშტაბით საქმის მოწყობა, და მაშინ ხალხსაც სამუშაოს მიესცემთ და ნედლ მასალასაც მიზანშეწონილად გამოვიყენებთ.

მნაირად, ჩვენში შინამრეწველობის უმთავრეს საფუძვლებად მერძლება ჩაითვალოს:

- 1) ნედლი მასალის საოცარი სიუხვე;
- 2) საქარხნო მრეწველობის თითქმის სრული განუვითარებლობა;
- 3) სახანაც-სათესი და სავარგისი ადგილების სიმცირე;
- 4) სასოფლო სამეურნეო მუშაობის ხასიათი;
- 5) ზოგიერთ რაიონებში, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ხანგრძლივი და სუსტიანი ზამთრები;
- 6) ქვეყნის კლიმატიური მდგომარეობა (ხელს უწყობი, მაგალ., მესაქონლეობის, მელვინეობის, მეზილეობის, მეურნეობის და მათზე დამყარებულ წარმოებათა განვითარებას);
- 7) რიგიან მიმოსვლის საშუალებათა უქონლობა;
- 8) ქალის სოციალური მდგომარეობა;
- 9) მაღალი ლირსება, სილამაზე და თავისებურობა ბევრ შინამრეწველობის ნაწარმოებთა, რომლისათვის საქარხნო წარმოებას მეტოქეობის გაწევა. არ ძალუქს ლირსების და ხშირად ფასების მხრივადაც;
- 10) ძალა, სიმარჯვე, მოხერხებულობა და მოქნილობა ჩვენი ხალხისა. ჩვენში არსებობს ბევრი სხვა-და-სხვა სახის შინაწარმოება. ამათგან ზოგიერთს მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და მათი ნაწარმოებნი იშვიათად შორდება იმ რაიონს, სადაც მზადდება; ზოგი ნაწარმოებნი ახლო-მახლო მაზრებში იყიდება და ზოგიც უცხო ქვეყნებში იგზავნება.

გავარჩიოთ შინამრეწველობის ის წარმოებანი, რომლისაც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების გამტკიცების საქმეში შეუძლიათ დიდი როლი ითამაშონ, გამოვარკვიოთ მათი მნიშვნელობა და ულენიშნოთ, ის ლონისძიებანი რომლითაც შეუძლიათ მათი-სათანადო განვითარება. და სასურველ დონეზე დამყარება.

⁹⁾ О. Маркграфъ „Очеркъ кустарн. пром. С. К“.

აბრეშუმის წარმოება.

მეაბრეშუმეობა ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ თვალსაჩინო დარგად უნდა ჩაითვალოს. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას ჩვენს ეკონომიკაში იქედან სხანს, რომ ქველ პირობებშიაც კი, როდესაც მისი განვითარებისათვის არ არსებობდა სათანადო ხელის შემწყობი პირობები, მარტო ნედლი პარკი მოდიოდა 2.500.000 მანეთის ღირებულებისა მშვიდობიანი ღროის კურსით. ადვირლი წარმოსადგენია, რომ ამ ნედლი მასალის რაციონალურად გამოყენება, საგრძნობლად ასწევს მისგან დამზადებულ საქონლის ღირებულებას; და მშვიდობიანი ღროის ათეული მილიონები კი ჩვენი პატარა ქვეყნის სამეურნეო ბიუჯეტში ხალხის ნივთიერ მოლონიერების და ქვეყნის ეკონომიურ წარმატების უტყუარი თავდებია. თუ ასეთი პერსპექტივები იშლება ჩვენს წინ ძველი პირობების არსებობის დროს, რა უნდა იქნეს, თუ ეს წარმოება ჩვენ განვავითარეთ ისე, როგორც ამის შესაძლებლობა გვაქვს?!.

ყოველ შემთხვევაში, მეაბრეშუმეობა უნდა გახდეს ჩვენში დიდი ყურადღების, და მზრუნველობის საგნად. და მას ამნაირადვე ეპყრობიან ყველგან, სადაც მისი განვითარებისათვის ცოტად თუ ბევრად ხელსაყრელი პირობები არსებობს.

მეაბრეშუმეობის აყვნად ითვლება ჩინეთი, სადაც პირველი აბრეშუმის მიღებას სთვლიან იმ დედოფლის, საქმედ, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე 2697 წლით აღრე ცხოვრობდა. აბრეშუმის წარმოება კავკასიაში გაჩნდა შორეულ წარსულში, მხოლოდ როდის დანამდვილებით, ამის შესახებ ლიტერატურაში საესებით გარკვეული ცნობები არ მოიპოვება. ზოგიერთ ადგილებში დარჩენილ გადმოცემებით აბრეშუმის ჭია შემოტანილი უნდა იყოს ინდოეთიდან ვახტანგ გორგოსლანის მიერ და ამნაირად გამოდის, თითქოს აბრეშუმის საქმეს ჩვენში საფუძველი ჩაეყარა მეხუთე საუკუნეში. ბ. ვ. ივანოვის აზრით მეაბრეშუმეობა ამიერ-კავკასიაში არსებობს ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ 1,300 წლისა¹⁰⁾.

ჩვენში მეაბრეშუმეობა პირველ ხანებში სუსტად იყო განვითარებული. შემდეგშიაც მის სათანადო განვითარებას აუარებელი დამაბრკლებელი მიზეზები ელობებოდა წინ და მათ შორის—მეაბრეშუმეებზე დაწესებული საქმაოდ დიდი გადასახადები. მაშინ არც უცხო ქვეყნები გვაქცევდნენ რაიმე ჟურადღებას ამ მხრივ. მხოლოდ, როდესაც გასულ საუკუნეს მე-50—60 წლებში საფრანგეთში და იტალიაში აბრეშუმის ჭიის ავათმყოფობა ფართოდ გავრცელდა, მათ ძალაუნებურად აბრეშუმის ძებნა ჩინეთში, იაპონიაში, სპარსეთში და ამიერ-კავკასიაში დაიწყეს. უცხოეთის ბაზარზე აბრეშუმის მოთხოვნილების ზრდამ, ერთის მხრით, და უცხო მწარმოებელთა ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებულ ყურადღებამ, მეორეს მხრით, გამოიწვია ჩვენში ამ საქმის საოცარი განვითარება.

მეაბრეშუმეობის ბრწყინვალე ხანად ჩვენში შეიძლება ჩაითვალოს 1856—1863 წლები, რომლის შემდეგ ავათმყოფობათა გაჩნის გამო წარმოება აქაც საშინლად დაეცა, როგორც ნედლი. მასალის რაოდენობით,

¹⁰⁾ Извѣстія Кавказ. Шелководств. станціи за 1916 г. „Очеркъ исторіи Кавказскаго шелководства“.

ისე ლირსების მხრივ. ასეთი დაქვეითებული მდგომარეობა გაგრძელდა 1882 წლამდის, როდესაც მოსკოვში მოწყობილ გამოფენაზე გამოირკვა მეტად უმწეო მდგომარეობა კავკასიის მეაბრეშუმეობისა და ამასთან ერთად გადაწყდა მის მოსაგვარებლად საჭირო ღონისძიებათა მიღება. 1887 წელს ნ. შავროვს მიენდო თბილისში კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მოწყობა; ამ სადგურმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში.

ასეთია ამ საქმის მოკლე ისტორია.

ეხლა გავიცნოთ, თუ რა მდგომარეობაში იყო ეს წარმოება ნორმა-ლურ პირობებში, ე. ი. ომის დაწყებამდე.

სტატისტიკურ განყოფილების ცნობებით კავკასიაში მოწეული იყო ნედლი პარკი:

1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.
360.000 ფ.	320.000 ფ.	320.000 ფ.	278.000 ფ.	318.000 ფ.

და ამაში საქართველოს წილად ერთ მესამედზე მეტი მოდიოდა. მართლაც, ნ. შავროვის აზრით მოდის:

თბილისის გუბ. და ზაქათალის ოლქში 15.000 ფუთი.
ქუთაისის გუბ. 110.000
სოხუმის ოლქში 10.000 " 11)

სულ საქართველოში 135.000 ფუთი.

1909 წლიდან შემდეგი ცნობები მოიპოვება.

	მოსავალი 1909 წ. ფუთობ.	მოსავალი 1910 წ. ფუთობ.	მოსავალი 1911 წ. ფუთობ.	მოსავალი 1912 წ. ფუთობ.	მოსავალი 1913 წ. ფუთობ.	საშუალო მოსავალი ფუთობ.
ქუთაის. გუბ., სოხუმ. და ბათუმ. ოლქ.	120.000	119.000	123.000	120.000	82.000	112.800
თბილის. გუბ. და ზაქათ. ოლქ.	15.000	19.000	18.000	18.000	16.000	17.500
მთელ საქართველოში	135.000	138.000	141.000	138.000	98.000	130.300

როგორც ცხრილიდან სჩანს საშუალო მოსავალზე დიდი გავლენა იქონია 1913 წლის მოუსავლობამ; საესებით ხელსაყრელი პირობები არც 1914 წელში ყოფილა და ბ. ის. ქუთათელაძის ცნობებით:

	დაკენილი იყო აბრეშუმი კოლოფ.	მოწეული იყო აბრეშუმი პარკი ფუთობ.
დასავლეთ საქართველოში	70.000	106.000
კახეთში, ქართლში და ზაქალ: ოლქში	18.000	20.000
მთელ საქართველოში	88.000	126.000

¹¹⁾ Н. Н. Шавровъ. „Основы прав. викормки шелков. червей.“

ომის შემდეგ აბრეშუმის წარმოებამ საშინლად იქლო სხვა-და-სხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო. წელსაც მთავრობამ შეიძინა ფრანგ მე-თესლებისაგან მხოლოდ 50.000 ექს-მისხლიანი კოლოფი; ადგილობრივ მეთესლების დამზადებული აქვთ ბალდადის ჯიშის 4.000 ხუთ-მისხლიანი კოლოფი; მაშასადამე სულ საქართველოში დარიგებულია 320.000 მისხალი თესლი; მოსავალი მისხალზე საშუალოდ 10 გირვანქა რომ ვიანგარიშოთ; ეს მოგვცემს სულ ბეჭრს 80.000 ფუთ ნედლ პარკს. მაგრამ რასაკირველია, ამ საკითხის განხილვის დროს ჩვენ უკანასკნელ წლების ციფრებს ვერ დავეყრდნობით, ვინაიდან ისინი შედეგის საერთოდ დღევანდელ გარ-თულებულ და აწეშილ მდგრმარეობისა, ერთის მხრით, და ჩვენი ამ საქ-მისადმი უყურადლებობის, მეორეს მხრით.

ისე კი ნორმალურ პირობებიდან თუ გამოიყენოთ და ის მდგომარე-ობა შევიღეთ მხედველობაში, რომელიც ჩვენში შშვიდობიანობის დროს არსებობდა იმავე მეაბრეშუმეთა რიცხვის, იმავე ბეჭლის-ხის რაოდენო-ბის, იმავ ცოდნის და მოვლის წესების დატოვებით,—შეგვიძლია დაბეჯი-თებით ვთქვათ, რომ ქართველ ერს, თუ მან ამ საქმისადმი საშინელი გულ-ცივობა არ გამოიჩინა, სულ აღვილად შეუძლია მოიწიოს 130.000 ფუთზე მეტი ნედლი პარკი.

მაგრამ შეიძლება თუ არა ამით დავქმაყოფილდეთ, მის გაუმჯობეს-ბაზე და განვითარებაზე არ ვიფიქროთ, ერთ წერტილზე გავიყინოთ და ათასი ფუთი ხან მეტი ხან ნაკლები მოვიყვანოთ, როგორც ეს ზემომყვა-ნილ ცხრილიდან სჩანს?!

ეს ყოვლად დაუშვებელი გახლავთ. გულგრილობას შეუძლია საშინ-ლად დააქვეითოს ეს ფაქტი წარმოება და ეს მეტად მნიშვნელოვანი და-რგი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა მიწასთან გაასწოროს. იმის გასათვა-ლისწინებლად, თუ რა მოგველის უყურადლებობით და სათანადო მოპყრო-ბით რა პერსპექტივები შეიძლება ჩვენს წინ გადაიშალოს და, მაშასადამე, რამოდენიმედ იმის გამოსარკვევად, თუ რა ლონისძიებანი არის საჭირო ამ დარგში,—მოვიყვან ზოგიერთ ცნობებს ჩინეთის და იაპონიის მეაბრეშუ-მეობიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში საუკეთესო ბეჭლის-ხის ჯიშია მო-შენებული, ჩინურ აბრეშუმის ჭიას თავის ბუნებით ბადალი არა ჰყავს და მეაბრეშუმეთა რიცხვი იქ ერთობ დიდია,—ოდესალაც მთელ ევროპისა ერ-თად-ერთი მიმწოდებელი აბრეშუმისა, ის იძულებული გახდა პირველობა ამ დარგში იაპონიისთვის დაეთმო. ამის მთავარ მიზეზებად შეიძლება ჩია-თვალოს: დაქვეითებული ტეხნიკა, უცოდინარობა აბრეშუმის წარმოების თანამედროვე მეთოდებისა, სამეცნიერო გამოკვლევათა უქონლობა, წარ-მოებაში გაუმჯობესებათა შეტანის უარის - ყოფა, მეაბრეშუმეთა უვიკობა, საღი თესლის მისაწვდენად მთავრობის და საზოგადო დაწესებულებების უყურადლებობა, აგრონომიულ უურნალების და სათანადო ლატერატურის, სტატიისტიკური ცნობების, მთავრობის საკანტროლო დაწესებულებების და სააბრეშუმო სადგურების უქონლობა და სხვა-და-სხვა. ამას შედეგად მოყვა ის, რომ ჩინეთში 75%, აბრეშუმის ჭიის ცახზე ასელამდის იხოცება, მის-ხალ თესლზე მხოლოდ 2,5—4 გირვანქა პარკი მოდის და ჩინეთის პარკი ერთ დენიეს ¹²⁾ იწონის მაშინ, როდესაც საშუალო ლირსების ევროპიული პარკის წონა სამ დენიეზე მკირე არ არის.

რასაკვირველია, ყოველივე ამას შხოლოდ წარმოების დაცემა უნდა მოჰყოლოდა.

მართლაც გაზიდული იყო ჩინეთიდან პიკულებში¹³⁾.

	1912 წ.	1914 წ.
თეთრი. „ნედლი ძაფი“ სხვა-და-სხვა ხარისხის . . .	107.867	70.090
ყვითელი „ ” ” ” ” . . .	21.894	17.409
გარეული („ტუსსა“) „ ” ” ” . . .	36.061	21.072
ნაჭერულა	103.635	81.304
აბრეშუმის ქსოვილები და სხვა ¹⁴⁾	16.424	13.571

რაც შეეხება იაპონიას, მან აბრეშუმის წარმოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, და სულ რაღაც 20—25 წლის განმავლობაში შესძლო მეაბრეშუმეობის საოცარი განვითარება. ამ წარმოების განვითარების მიზნით იაპონიამ გაგზავნა ევროპაში ახალგაზრდები მეაბრეშუმეობის და ნედლი მასალის გადამუშავების საქმეში ყოველგვარ გაუმჯობესებათა შესასწავლად. მთავრობა კერძო ინიციატივას ყოველგვარ დამარებას უწევს და მწარმოებელთა წასახალისებლად პრემიებს ნიშნავს. მისი მეცადიენობით მოპოებულ იქნა ბაზრები და მოწესრიგებული ექსპორტის საქმე ევროპაში და შეერთებულ შტატებში. იაპონიის ელჩებს დავალებული აქვთ ტოკიოში სასწავლოდ ცნობები მიაწოდონ სააბრეშუმო მრეწველობაში. მომხდარ ყოველივე ცვლილებების და მოვლენების შესახებ. მეაბრეშუმეობის შესასწავლად, ხალხში სათანადო ცოდნის გასავრცელებლად და საპროცეგნილო იხარჯება აუარებელი ფული. ტოკიოში არსებული სააბრეშუმო იმსტაციურტი 1908 წელს დასარულა 2.002 მსმენელმა, კიოტოს ინსტიტუტი—688; სულ, მაშასადამე, 2.690 მსმენელმა. ამ ორი მთავარ ინსტიტუტის გარდა არსებობს 13 უფრო პატარა, და კიდევ დაბალი ტიპის სკოლები—4 პროვინციის ქალაქებისთვის და 13—სოფლებისათვის.

თესლის კანტროლზე და სხვა ასეთ საჭირო მხარეებზე ლაპარაკიცხომ ჭედმეტია.

ასეთი განსაკუთრებული ყურადღების გამო იაპონიამ სააბრეშუმო-მსოფლიო ბაზარზე პირველი ადგილი დაიჭირა. ით, როგორ გამოიხატა აბრეშუმის წარმოების ზრდა იაპონიაში:

დამზადებული იყო 1872 წ. . .	721.000 კილო „ნედლი ძაფი“,
” 1880 ” . . .	1.145.000 ” ” ”
” 1890 ” . . .	2.018.000 ” ” ”
” 1900 ” . . .	4.125.000 ” ” ”
” 1909 ” . . .	8.372.000 ” ” ”
” 1912 ” . . .	10.867.000 ” ” ”

ამდენად დიდი მნიშვნელობა სჭირდება საქმისადმი ხელის შეწყობას, ცხოვრების ალოს აღებას, სამრაწველო უნარს და საქმიანობას!..

ეხლა თუ თვალი ევროპას გადავალეთ, აბრეშუმის წარმოებისადმი აქაც განსაკუთრებულ ყურადღებას შევამჩნევთ. საფრანგეთში 1892 წლი-

¹²⁾ 1 დენი 1,27 გრამის წონას უდრის.

¹³⁾ პიკული—60,453 კილოგრ.=145,7 გირ.

¹⁴⁾ Г. Сюанебერგ. „Современ. сост. шелководства въ Китаѣ“.

დან პრემიები დაინიშნა. როგორც ნედლი პარკის მოყვანისათვის, ისე მისი გადამუშავების სხვა-და-სხვა საფეხურებისათვის. ამ პრემიებზე საფრანგეთი ხარჯავს ყოველწლივ 9.300.000 ფრანქს და ეს თანხა თანდათანობით იზრდება. 1892 წლიდან 1910 წლამდე პრემიების სახით პარკის მოსაყვანად დაიხარჯა 60 მილიონი, ძაფის ამოსალებად — 78 მილიონი, დანარჩენზე — 11 მილიონი; სულ 19 წლის განმავლობაში — 149.000.000 ფრანქი.

რაც შეეხება იტალიას, თუმცადა ის პარკის დიდალ რაოდენობას იწევს, სახელდობრ 50—60 მილიონ კილოს, მაგრამ, ვინაიდან თავის სამრეწველო მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად, მას სხვა ქვეყნებიდანც უხდება 5 მილიონ კილომდე გამნმარი პარკის შემოტანა, — ცდილობს მაქა სიმაღლურად თვით განვითაროს ეს წარმოება და უცხოეთის შისალისაგან. თავი საესტბით გაინთავისუფლოს.

1912 წელს 6 ივნის იტალიამ კანონი შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს მეაბრეშუმეობის და სააბრეშუმო მრეწველობის განვითარებისათვის ფართო ხელის შეწყობას. ბჟოლის-ხის ახალ სივრცეთა მოსაშენებლად საზოგადოებათა და კერძო პირთა დახმარების მიზნით გადადებულია 250.000 ფრანქი; მეაბრეშუმეობის შესასწავლად და საპროპაგანდოთ — 100.000 ფრ.; მეაბრეშუმეობის კურსებზე მოსიარულე გლეხებისათვის პრემიებია დანიშნული. ამავე კანონით ჩევეულებრივ წესებიდან გამორჩევლის საზით ნებადართულია შემნახველ კასებიდან მეაბრეშუმეთათვის ავანსების მიცემა. ნება ეძლევა მიღებული ნორმები დახმარებისა აბრეშუმის მწარმოებელთათვის გაადიდოს იტალიის ბანქს 10 მილიონი ფრანქით, ნეობალიტანის — 5 მილიონით და სიცილიის ბანქს — 2 მილიონით.

ყოველივე ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რასაც 1912 წლის 6 ივნისის კანონი შეიცავს და ამას თუ დაუმატეთ ის, რომ მანამდისაც იტალიას ჰქონდა მოწყობილი მრავალი საცდელი სადგური, სასწავლებელი, სამაგალითო სათესლე, უამრავი საწყობი და სხვა, — მაშინ აღვილი წარმოსადგენი იქნება, თუ ამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს იტალიის მთავრობა მეაბრეშუმეობას და მისი მრეწველობის შექმნას და განვითარებას.

რუსეთში ბოლო დროს თუმცადა თითქოს შეიგნეს ამ დარგის განვითარების უდიდესი მნიშვნელობა, მაგრამ აქაც, როგორც საზოგადო ყველაფერში, საქმე სასურველ ნიადაგზე ვერ დააყენეს. საქმარისია აღვიშნოთ, რომ, მიუხედავად საფეიქრო მრეწველობის საქმაო ფართო განვითარებისა, რუსეთის ტერიტორიაზე მოწეულ პარკის რაოდენობის ნახევარი, და ხშირად მეტიც, საზღვარ-გარეთ მიდიოდა ნედლი. მასალის სახით, მაგალითად, კავკასიის მთელი მოსავლიდან, რომელიც 1911 წელს 110.000 ფუთ გამხმარ პარკს შეადგენდა, უცხოეთში გაზიდულ იყო 32.000 ფუთი, თურქესტანიდან — 74.500; ამნაირად, ამ ორ განაპირო აღვილის მთელი მოსავლიდან — 230.000 ფუთიდან — სახელმწიფო საზღვრებში გატარდა უცხოეთის მრეწველობის საჭიროებისათვის 106.500 ფუთი გამხმარი პარკი მაშინ, როდესაც მის საზღვრებშივე შემოზიდა უცხოეთიდან ეგრედ წოდებული „ნედლი აბრეშუმის ძაფი“ 93.064 და სხვა აბრეშუმის ძაფები — 83.407 ფუთი.

გაშასადამე, რუსეთს თავის საზღვრებიდან გაპჰონდა ისეთი ნედლი მასალა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გადამუშავებული სახით უკანვე ურუნდებოდა, ამას, რასაკვირველია, არ შეეძლო მრეწველობის დაწინაურება.

და რუსეთის მომხმარებელის მდგომარეობის უზრუნველყოფა: დანარჩენ ხარჯებს და ფასების უმჭველ წამატებას რომ თავი დავანებოთ, ის მაინც ხომ აშეარაა, რომ მას რუსეთიდან გაზიდულ პარკზე და სხვა ქვეყნებიდან შემოზიდულ აბრეშუმის ძაფზე ორმაგი ფრასტის გადახდა უხდებოდა. ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელიც ცოტად თუ ბევრად გონივრულ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებს, ასეთი მოვლენა საშინელ ულოლიკობად და შეუწყნარებელ აბსურდად არის ალიარებული...

ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ შეგვიძლია თვით საქართველოს დაუბრუნდეთ, გავითვალისწინოთ მისი საჭიროებანი და გამოვარკვიოთ ამ მნიშვნელოვანი დარგის სათანადო განვითარებისათვის საჭირო ლონისძიებანი. როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, დღევანდელ პირობების დატოვებით საქართველოს შეუძლია მოგვცეს სულ მცირე 130.000 ფუთი ნედლი პარკი. 3 ფუთი ნედლი პარკი კი გამშრალ პარკის 1 ფუთს იძლევა; მაშასადამე, საქართველოს თანამედროვე მოსავალი 43,300 ფუთ გამშრალ პარკს უდრის. პარკიდან აბრეშუმის გამოსავალი, დამოკიდებულია თესლის ჯიშზე, მის ავ-კარგიანობაზე, საკები მასალის ლირსებაზე, მოვლაზე და სხვ., მაგრამ საშუალოდ მიღებულია ანგარიში ნედლი პარკიდან ძაფის გამოსავალი $\frac{1}{10}$. მაშინ სამი ფუთი ნედლი ანუ ერთი ფუთი გამშმარი პარკი მოგვცემს 12 გირვანქა აბრეშუმის ძაფს. ქუთაისის გუბერნიაში ბალდადის ჯიშის პარკი ასეთ გამოსავალს იძლევა კიდეც. მაგრამ ანგარიშში რომ არ გადავაჭარბოთ, საჭიროა ავილოთ ის ცნობები გამოსავლის შესახებ. რომელიც შემუშავებული აქვს კავკასიის სააბრეშუმო სადგურს.

ძაფის საშუალო გამოსავალი ერთი გირვანქა ბალდადის ჯიშის თეთრ გამშრალ პარკიდან ¹⁵⁾:

1910 წ.	1911 წ.	1912 წ.	1913 წ.	1914 წ.	1915 წ.
24 მისხალი	$22\frac{3}{4}$ მისხ.	$23\frac{3}{4}$ მისხ.	$24\frac{2}{3}$ მისხ.	23 მისხ.	$25\frac{1}{2}$ მისხ.

ორთაშუა რიცხვით მოდის ერთ გირვანქა გამშრალ პარკზე 24 მისხალი ძაფი ანუ ერთ ფუთ გამშრალ პარკზე—10 გირვანქა ძაფი. ჩვენი კარგ გამოსავლიან პარკისათვის ასეთი შემცირებული ანგარიშით მივიღებთ 10 გირ. $\times 43.300 = 10.825$ ფუთ ძაფს.

ძაფიდან ქსოვილის გამოსავალი დამოკიდებულია პირველის სისუფ-თავეზე და სიმსხოზე: რამდენად სუფთა და წვრილია ძაფი, იმდენად მეტ ქსოვილს მივიღებთ; ყოველ შემთხვევაში ერთ გირვანქა ძაფზე შეიძლება ვიანგარიშოთ 15 ან ფუთზე 600 არშინი ქსოვილი. მაშინ ღლევანდელ მთელ ჩენ მოსავლიდან მივიღებთ 600 არშ. $\times 10.825 = 6.495.000$ ანუ დაახლოვებით 6.500.000 არშინ აბრეშუმის ქსოვილს.

დღევანდელ ფასობაზე ეს მილიარდებს შეადგენს; მაგრამ შშვიდობიანი დროის ანგარიშიდან რომ გამოვიდეთ, ამასთანავე ძეირფასი აბრეშუმებულობა არ დავამზადოთ და თითოეული არშინის ფასი საშუალოდ 1 მან. 50 კაბ. მივიღოთ, მაშინაც ღირებულება იმ აბრეშუმის ქსოვილისა,

¹⁵⁾ Извѣстія Кавкааской шелководств. ст. за 1917 г. и.с. ქუთათელაძის სტ. „Состояніе шелководства на Кавказѣ въ 1915 году“.

რომელიც ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ, დაახლოვებით 10 მილიონ მანეტს მიაღწეოს. ზედმეტად მიმაჩნია იმაზე ლაპარაკი, თუ რაოდენი განსხვავება ექნება ქართველი ერის მოლონიერების საქმეში 2.500.000 მანეტის მაგიერ, რომელსაც ნედლი პარკი გვაძლევს, 10 მილიონი მანეტის ღირებულების შექმნას.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია ის დებულება, რომ ნედლი მასალის უცხოეთში გაზიდვა ვერ ქმნის ხალხის კეთილდღეობას. და ყველა დაწინაურებული ქვეყნები სწორედ იმას ცდილობენ, რომ გადამუშაონ არა მარტო თავისი, არამედ სხვა „დაძაბუნებულ“ ქვეყნებიდან შემოტანილი ნედლი მასალა. მხოლოდ ამნაირად საქმის მოგვარება იწვევს დიდალ ღირებულებათა შექმნას, სახელმწიფოს სიძლიერეს და მისი ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებას.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ ერთად-ერთ სწორ და ქვეყნის ინტერესებისადმი შეგუებულ გზას ამ უამად გვერდს უხვევთ. ჩვენში უმრავლესობა დღეს ასე მსჯელობს: „ჩვენი მოთხოვნილების საგნები უცხოეთიდან უნდა მივიღოთ, ვინაიდგან ადგილობრივ მრეწველობის გაჩალება, ნედლი მასალის აქვე გადამუშავება ერთისა და ორი დღის საქმე არ არის. ხალხს კი დღესვე ესაჭიროება ჩატა-დახურვა, წამალი, სამეურნეო იარაღები და სხვა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი სიმდიდრის შექმნაზე, რომელსაც უცხოეთში დიდი გასავალი აქვს და სამაგიეროთ იქიდან მივიღოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი. სწორედ ერთი ასეთი საგანია აბრეშუმის პარკი. მაზე დღეს დიდი მოთხოვნილებაა. მისი უპირატესობა, როგორც გასატანი საქონლის კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ის მალე მზადდება და, მაშა-სადამე, უცხოეთში მალე გაიტანება და ოქროთ იქცევა. ჩასაც მეტს და-ვამუშავებთ ჩვენ ასეთს სიმდიდრეს, მით მეტ სამაგიერო საქონელს მივიღებთ უცხოეთიდან, მით უფრო გამოსწორდება ჩვენი ეკონომიური მდგო-მარეობა, გაუმჯობესდება ჩვენი ფულის კურსი. ჩვენი ხსნა დღეს სწორედ ასეთ აზრიან და მიზანშეწონილ შრომასა და სამეურნეო მოლვაწეობაშია“¹⁶⁾.

რასაკირველია, შრომის და სამეურნეო მოლვაწეობის წინააღმდეგ არაფერი გვეთქმის, მხოლოდ ის გზა, რომელიც აქ არის ნაჩვენები „აზ-რიანად“ და „მიზანშეწონილად“ არ შეიძლება ჩაითვალოს.

ჩვენში არსებობს რამდენიმე ძაფის ქარხანა¹⁷⁾; არსებობს აგრეთვე სართავი განყოფილებანი; მოიპოვება საქსოვი დაზგებიც... ვიცით, რომ აბრეშუმიდან ჩვენში ქსოვენ საუკეთესო ხარისხის დარაიას, ბალდადებს, ეგრედ წოდებულ გაროზებს, ცხვირსახოცებს, „შართებს“ და სხვ. თბილისის შინამრეწველობის მუზეუმში მოთავსებულ ნიმუშების დათვალიერების დროს ვრწმუნდებით, რომ აბრეშუმებულობის დაწზადებას ჩვენში მცი-დრო ნიადაგი აქვს. აქვე, შინამრეწველობის კომიტეტში, მხატვარ ბ. სტრაუმესაგან ვტყობილობთ, რომ შინამრეწველი დიდ ოსტატობას და

¹⁶⁾ „საქართველო“, № 73, 1920 წელი.

¹⁷⁾ ყველაზე დიდი ქარხანა სამტრედაში არის, რომელიც დაარსებულია ილინის. და კომპ. მიერ; 1914 წელს ის მოსკოველი ფირმის ბუკინის ხელში გადავიდა. 1919 წ. ამ ქარხნის ასამუშავებლად ამხანაგობა შესდგა, რომელმაც უსალსრობის გამო საქმე სასურ-ველად ვერ ააწყო. ხონის ქარხანა დაარსებულია განსც. მ. სანაძის მიერ 1897 წ.; მისი ამოძრავების შესახებ მოლაპარაკება აქვს გამართული მემკვიდრეებთან ბ. დ. თოფურიძეს მა უამად კი ქარხანა უმოქმედოდ არის. გაჩირგებულია ავრეთვე ქარხანა თბილგეთში.

გულმოდგინეობას იჩინენ, მხოლოდ აკლიათ სათანადო ცოდნა; მაგალითად, ქსოვილებზე მხატვრობის აღმეცდვას მხოლოდ შავ ფონზე ახდენენ. „და როდესაც გაიგეს, რომ სურათების აღმეცდვა თეთრ ფონზედაც“ შეიძლება, მათი სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... რჩევა-დარიგებას, საინსტრუქტორო დახმარებას, სათანადო ხელის შეწყობას შეუძლია ამ საქმეში დიდი გაუმჯობესება შეიტანოს, საქონლის ღირსება და ღირებულება საგრძნობლად ასწიოს და მთელი წარმოება საოცრად დააწინაუროს“...

დიახ, პარკის გადამუშავებას ჩვენში და მისგან საქონლის დამზადებას ნიადაგი საკმაოდ მომზადებული აქვს. რომ სავსებით ამაში დავრწმუნდეთ მოვიყვან კიდევ ერთ ცნობას.

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას საფეიქროც ჰქონდა. „ამ თავის-თავაც ერთობ როულ და მძიმე საქმისათვის ხელი მოკიდებინა ამხანაგობას იმ გარემოებამ, რომ ჩვენში აბრეშუმის და შალის ქსოვის და ღებვის საქმე საშინაო, საოჯახო საქმედ არის გადაქცეული ძველ დროიდანვე. საქმაო იყო, ამ ამხანაგობის საფეიქროს ოსტატს (მოსკოვიდან) სულ ნახევარი წლის განმავლობაში დაეკვირვებია სოფლელი ქალიშვილები ქარხნის წმინდა აბრეშუმის მოხმარებისათვის; რომ ამათ მერმე უოსტატოდ განეგრძოთ მუშაობა“¹⁸⁾.

მე ამ ორიოდე თვის წინ ამ საფეიქროდან გამოსულ ქალიშვილების მიერ თავიანთ ოჯახებში დამზადებული აბრეშუმის ნაწარმოებნი დავათვალიერე და, უნდა გამოვტყო, განცვითერებული დაურჩი მათი ღირსებით. თავის დროზე ამხანაგობის საფეიქრო ნაწარმოებმა დაიმსახურა 1900 წლის პარიზის გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი და კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე 1901 წელს—პატარა ოქროს მედალი.

და ასეთ ხელსაყრელ პირობებში, როდესაც ნედლი მასალაც ბლომად გვაქვს, ქარხნებიც, მომზადებული ხალხიც, როდესაც მცირე ხელის შეწყობით შეიძლება საუცხოვოდ მოწყობის საქმე, ამ მასალის მხოლოდ საზღვარ-გარედ გატანაზე ზრუნვა და თავის მართლება იშით, რომ ადგილობრივ მისი გადამუშავება რჩი დღის საქმე არ არის,—ეს, მეტი რომ არა ვთქვათ, მიუტოვებელ შეცდომად, და უდიდეს დანაშაულად უნდა ჩავვეთვალოს.

მე არ გამბობ თითქოს მოსახურებელი იყოს ერთ დღეს, ერთ თვეს ჩვენი მოწყობილობათა საშუალებით მთელი სააბრეშუმო ნედლი მასალის გადამუშავების საქმის მოწესრიგება, მაგრამ არ გამოყენება არსებულ პირობებისა და შესაძლებლობისა; დაუდევრობა და უზრუნველობა ახალ მანქანათა და მოწყობილობათა შემოტანის და ჩვენში თან-და-თან საფეიქრო მრეწველობის გაჩალების საქმეში,—სწორედ რომ შეუწყინარებელია.

¹⁸⁾ „მექენე, ანგარიში ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობისა 1900 წლისათვის შედარებით წინა წლების ანგარიშებთან“.

ამანირად; ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაჭიროთ შინამრეწველურ-
ას საშუალებებით აბრეშუმის დაშაცებას, რომელიც საქართველო-საფეიქრო
წარმოებას ნიადაგს მოუმზადებს, უცხო ქვეყნებისაგან ჩვენს დამოკიდებუ-
ლებას შეასუსტებს და ამ საერთაშორისო საშინელ კრიზისის დროს ჩვენი
ხალხის გაჭირვებულ სუნთქვას რამოდენიმედ მაინც შეამსუბუქებს. • მაგრამ
ამ დარგის შექმნა-განვითარებას სათანადო ყურადღება უნდა მივაჭიროთ
კიდევ იმიტომ, რომ შინამრეწველური წესით აბრეშუმის ქსოვას თავისი-
თავადაც ყოველთვის მნიშვნელობა და ოირებულება ექნება. შეიძლება და-
ბეჯითებით ითქვას, რომ შინამრეწველური საფეიქრო წარმოება საქართ-
ველოში, რომელსაც ჯერ სრულიად პრაფერი გაუკეთებია საქართველო-საფეი-
ქრო მრეწველობის. შესაქმნელად, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში სავა-
ნობი სამსახურის გაწევას შესძლებს და ამასთანავე არ გაქრება საქართველო
მრეწველობის უმწვერევალეს განვითარების დროსაც.

და რომ ეს ასეა, შემდეგიღანაც სჩანს: ლიონში და მის მიტამოებში საქართვის აბრეშუმის საქსოვი მრეწველობა იმდენად განვითარებულია, რომ დამზადებული საქონლის ლირსებით და რაოდენობით ის მთელ დედამიწის სურვეზე სააბრეშუმი მრეწველობის მეცედ შეიძლება იქნეს აღიარებული. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ საქართვის მრეწველობამ ოდნავადაც ვერ ჩაპკლა აბრეშუმის ნაქსოვის შინამრეწველური დამზადება და მხოლოდ შინამრწარმოებელთა მიერ. დამზადებულ ნაქსოვთა ტიპები შეამცირა; ტიპებში კი მიაღწია ისეთ საუცხოვო შედეგებს, რომელნიც მიუწოდელია საქართვის მრეწველობისათვის. ამ საკითხის განხილვის დროს ბ. ვ. ივანევი ამბობს: „საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საქართვის წარმოების ხავერდის ერთი არშინი ლირს სამიღარ ჩვა მანეთამდე მაშინ, როდესაც შინამწარმოებელთა მიერ დამზადებულ ხავერდის ფასი 12. მანეთს აღწევს“^{19).} ხავერდის გარდა შინამრეწველური საშუალებით მზადდება ბეკრი სხვა ტიპი, რომელიც უმტკრეს შემთხვევაში საქართვის ნაწარმოებში მეტს იყალბს.

ამით მე სრულიად არ მინდა იმის თქმა, რომ ჩვენი კავკასიის შინა-
მწარმოებლებმაც ხავერდის და სხვა ძეირებას ნაქსოვების კეთებას შეუდ-
გნენ, რომლისთვისაც ისინი სრულიად მომზადებულნი არ არიან არც ცო-
დნით, არც მატერიალური უზრუნველყოფით და არც სახოვადო მდგომა-
რეობით, — მე მინდა შხოლოდ აღნიშნო, რომ არსებობენ ნაქსოვის ზოგი-
ერთი ტიპები, რომელთა წარმოებაში შინამრეწველებს შეუძლიათ არ ჰქო-
ნდეთ ქარხნის შიში; და ჩვენ თუ ჩაუკირდით აქაურ შინამრეწველეურ ქსო-
ვას, შევაძმჩნევთ, რომ მის ნაწარმოებთა შორის არის ბევრი ისეთი, რომ-
ლისთვისაც ქარხნებს ჯერ ხელიც არ მოჟყიდნია:

ამათ ეკუთვნიან „ჯეჯიმი“, დარსია, საბნები „ჩარშო“ და „კავლა-
ვის“²⁰⁾

უნდა აღინიშნოს, ამასთანავე, რომ ამ დარგის განვითარებისათვეს
ნიადაგი ჩეინში საკმიალ მომწადებლივია,

¹¹⁴⁾ ფასკები, რასაკეირველია, მშვიდობიანობის ყრიოდან არის აღებული იმპერიათ.

²⁰⁾ Труды первого съезда деятелей по кустарной промышленности Кавказа въ с. Тифлисъ. В. П. Ивановъ, „Кустарное шелкоткацкое производство Кавказа, его недостатки и возможный въ немъ усовершенствованій“

მიუხედავად იმისა, რომ შინამრეწველობისათვის დაწუნებული პატი მიღის და უბრალო ჩარხებზე წმინდა ძაფის ამოღება ძნელ საქმეს წარმოადგენს, ჩეენში მაინც იმდენ ლსტატობას და გულმოდგანებას იჩენენ, რომ „ხარსხით და ნახატობით აღგრლობითი ნაწარმოები ძნელი გამოსარჩევია ფარიკის ნაწარმოებითან. ეროვარი ხელის შეწყიბით აბრეშუმის შინაწარმოება შეგვიძლია ისე განვავიაროთ. რომ მიკუეთ შეს უართო ხასიათი იმ დროს, როდესაც საქმაო რიცხვი გამოცდილ მუშებისა გვყავს და ნედლი მასალა მოვკეპოება. რესუბლიკაში ოსებული ძაფის ქარხნები გაჩერებულია: გაჩერებულია ისეთი საქმე, რომელსაც შეუძლია მიღიონობით მოვკეს მოვება. სამტოედის ქარხნის საუკეთესო ნაწილი — ძაფის სართვი განკოფილება. რადგანაც პატრონმა ვერ მოიხმარა ადგილობრივ, ნუ-ხაში გადიტანა. მარტი სამტოედის და ხონის ქარხნებში, ძაფის ამოღებას რომ მოვკიდოთ ხელი და სართვი ნაწილი მოვაწყოთ, შეგვიძლია რამდენიმე ათასი ფუთი გადავამუშაოთ ძაფიად. საქმარისია კარგი ხელმძღვანელობით დაიდგას რამდენიმე საქსოვი მანქანა. სამი რამ მაინც გვექენება და-მოუკიდებლივ: დარსია და საერთოდ აბრეშუმეულობა, აბრეშუმის საკეთო ძაფი და წინდები:

ჩემის აზრით ეს უფრო მაღლა ასწევს ჩეენს ეკონომიკურ და კულტურულ ღირებულებას, ვიდრე პარკის გაყიდვიდან მიღებული სტერლინგების და ფრანკების ვალიუტა, რომელიც ისევ ამ საქონელთა საყიდლად გვესა-ჭიროება. ეკონიმიკურ ულოლიკად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩეენ ევებ-ნებით ხალხს: მოვკეცით მატყლი, პარკი, — ამის გავიტან და მანუფაქტუ-რას ჩამოვიტან! ნუ გვვინია, უცხოეთიდან ტყუილად მოგვივიდეს რი-მე; პროქიოთ ისეთ ფასებს აღებრნ ყველაფერს, რომ თუ შესაძლებელია მისი აღგილობრივ შექმნა, უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციას გაუწევს ჩეენი შინაწარმოებაც კი.

ჩეენ გაჩიდვის პოლიტიკა უნდა უარყოთ და შინამრეწველობას. „შეუ-წყოთ ხელი“, სამართლიანდ ამბობს ბ. ს. ჩომახიძე.²¹⁾

საქმის ინტერესები მოგთხოვს, რომ ჩეენ არ დავემაყოფილდეთ იმ მან-ქანების და ჩარხების ამოძრავებით, რომელიც ამ უამაღ საქართველოს ტე-რიტორიაზე მოიპოვება: აუცილებლად უნდა შევიძინოთ უცხოეთში გაუმ-ჯობესებული იარაღები და მწარმეობლების მივაწოდოთ შელავათიან პირო-ბებში. ამ საქმეში მთვარი, როლი მთავრობამ და ეროვამ უნდა იკისროს; იმათვე უნდა მრაწყონ. ამ, იმრაღების საწყობები და მათი შემკერებელი სახელმწიფო, საზაც შესაძლებელი უნდა იქნეს მანქანთა გაფუჭებულ ნა-წილების გამოცვლა და რემონტი.

სააბრეშუმო მრეწველობის ნაშრავის შემზღვებასთან, ხალხის საკმარ ტეხნიკურ ციდნასთან და უნარიანობასთან, მთავრობის და მუნიციპალი-ტეტების მაერთო ასეთი ნაბიჯებიც იქნა გადადგმული. მაშინ დამეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩეენში მოწეული ნედლი მასალა, გაცილებით უფრო რაციონალურად იქნება გამოყენებული; ვიდრე ესლა პრის, საზო-გადოებაც მეტ სარგებლობას ნახვს. და, მეტს გარეშეა, სახელმწიფო უკო-ნიმიურად უფრო მოლონიერდება.

²¹⁾ იბ. „საქართველო საქმე“, № 780, 1920 წ.

მაგრამ ნედლი მასალის ადგილობრივ გადამუშავების საჭიროების გარდა უნდა აღინიშნოს კიდევ ბევრი საყურადღებო მხარეები აბრეშუმის წარმოებისა, რომელთაც მისი განეკთარებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვთ. შეუდგეთ მოთი მოკლე განხილვას.

მოვხესენებათ, რომ არსებობს აბრეშუმის ჭიის სხვა-და-სხვა ავალ-მყოფბანი, რომელთა თავიდან აშჩრება საღი და საიმედო თესლის შეძენით შეიძლება. ვინაიდან თესლის სისალეს მეაბრეშუმეობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ასეოთ თესლის დამზადებას და გავრცელებას ზალხში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

სხვა-და-სხვა ქვეყნებმა თანდათანობით შეიმუშავეს ზომები თესლის დამზადების და ვაჭრობის წესიერად წარმოების შესახებ.

ვენეციაში, მაგალითად, აბრეშუმის თესლის დამზადება და ვაჭრობა შეადგენს სახელმწიფოს მონაბოლიას; ომარენტში თესლის დამზადების უფლება ეძლევათ შეოლოდ პრესის სააბრეშუმო ინსტიტუტში კურს დამთავრებულთ; საფრანგეთში არსებობს განსაკუთრებული ინსპექცია თესლის დამზადების თვალშურის სადაცენებლად...

ჩვენში, საზოგადოება შეუგზებლობის გამო ითვ და ცუდი ჯიშის თესლს ეძებს და ხშირად ყიდულობს კიდეც. ამის კი საქმისათვის საშინელი ვნება მოაქვს, და ყოველივე ლონე უნდა იქნეს მიღებული, რათა ზალხში ცუდი თესლი არ გავრცელდეს.

საჭიროა ამასთანავე რიგორი თესლის დამზადება ადგილობრივ მოწყობა.

საღი თესლის შეძენასთან ერთად დიჭი მნიშვნელობა იქნას. სახლის დაწმენდას იმ მიზნით, რათა აბრეშუმის ჭიის რაიმე ევრიდყოთობა არ გადაედვას წინაპლერი ჭიებიდან: ამისათვის წყალში გახსნილი კირით შეათეთორეთ საჭირო სახლის კედლები, იატაკი. ჭირი: წყალში გახსნილი შაბიძანით დარეცხეთ ძეველი ჩელუტები, ჩაფრები, ცახები და კედლებსაც ასხურეთ. შემდეგ დაგმანეთ კარგად სახლის კედლები და შიგ შეუ ადგილის დასწერით 5—6 გირვანქა დაფავილი გოგირდი და ნახევარი გირვანქა გვარჯილა ერთად შერეული, გრგირდის კვამლმა იტრიალოს სახლში 24: სათოის განმავლობაში. შემდეგ გაალეთ კარგები, ჰაერი კარგად გასწმინდეთ და გადაიყვანეთ ხელად გამოსული ჭიები” ²²⁾.

ამის გარდა, აბრეშუმის ჭიის გაზოვისათვის და წესიერ განვითარებისათვის საჭიროა კვების, სუნთქვის, სისხლის შექცევის და გამოყოფის, პროცესები შასში. ნორმალურად სწარმოებდეს, რისთვისაც რუცილებელია:

ა. ჭიებს მიეცეს საჭმელად კარგი საკვები მასალა (დანამული, სველი ფოთოლი შევნებელია) და მისი საქმაო რაოდებობა, განსაკუთრებით პირველ ხანებში:

ბ. ჰაერი იყოს წმინდა კანგბაზურს ნორმალური შემცველობით და ნორმალური სიმშრალით;

გ. ტემპერატურა იყოს 17—18 %;

დ. ჭიები შეჯგუფებული არ იყოს და საქმაო სივრცე ეჭიროს;

ე. ჭიების ზევით ჰაერის სისქე 12—16 ვერშიკს უდრიდეს;

²²⁾ იოს. კაკაბაძე. მეაბრეშუმეთათვის უსაჭიროესი დარღვევაში, სახალხო განვთავის № 230, 1910 წ.

გ. ყოველი ნარჩენი, გადანაგდი და სხვ., როგორც ლპობის და სინესტის წარმომშობი, საქართვო გატანილ იყოს საჭიროდან (საზოგადოდ სისუფ-თავეს ამ საქმეში ღიღი მნიშვნელობა აქვს).

საჭირო ბინებში საჭიროა:

ა. კელლები ჭუჭრუტანებს. ორ შეიცავდნენ, მაგრამ ჰქონდეთ საჭირო ჰქონდეთ მოძრაობა და განიავება;

ბ. იატაკი მიწის დონეზე მაღლა იყოს და ამასთანავე მშრალი;

გ. სახურავი. საჭირო ბინას ძალიან ორ აცხელებლეს და იქ წვიმა ორ ჩამოდიოდეს;

დ. საჭირო მუდმივი ტემპერატურის დასაჭირად გაკეთდეს რამდენიმე ბუხარი;

ე. თითოულ მისხალზე მოდიოდეს 45—50 კუბიკური არშინი სიერ-ცე და სხვა ²³⁾.

სალი და რიგიანი ჯიშის თესლის ამორჩევას და აბრეშუმის ჭიის მოვლის რიგიან დონეზე დაყენებას შეუძლია მოსავლის ჯამი საგრძნობლად შესცვალოს.

საშუალო მოსავალი რუსეთში იყო მისხალზე 7—8 გირვანქა მაშინ, როდესაც საზღვარ-გარედ 15—16, ე. ი. ორჯერ მეტი. მაგრამ მოსავლის გადიდება ამანე კიდევ უფრო მეტად შეიძლება, ვინაიდან ფესლის ერთ მისხალ შეუძლია მოგვცეს:

ფრანგულ და იტალიურ ჯიშიდან . . . 20—32 გრ. პარკი.

ბალდადის „ . . . 22—32 „ „

იაპონიის და ჩინეთის „ . . . 14—20 „ „

ამნაირად, მებრეშუმეობისათვის საჭირო ხელის შეწყობით ჩვენ შეგვიძლია მოვიწიოთ პარკი ყოველ შემთხვევაში ორჯერ მეტი, ვიდრე ამდენს ვიწევდით. მაშინ: რასრკვირველია, ზემო მოყვანილი ანგარიშებიკ ორად გაიზრდება...

შემდეგ საჭირო საქმე ისე მოეწყოს, რომ მწარმოებელმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა ნახოს, და თავდაპირველიად მას საშუალება მიეცეს, რომ „სიმწრით“ მოწეული პარკი ორ გაუტუბდეს და მყიდველს ამიტომ მუქთად ხელში არ ჩაუგდოს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მწარმოებელთა შეამხანავებით, ნედლი პარკის ერთად გამოხრჩოლვით და პეპლად გამოსვლის, საფრთხის თავიდან აცილებით, შეერთებული ძალ-ლონით მისი გადამუშავებით, გასალებით და სხვ. ყოველივე კავშირი, ამხანაგობა ძალას წარმოადგენს, და რამდენად ძლიერი და ფართოა ის, იმდენად მწარმოებელნი უფრო ძლიერნი და უზრუნველყოფილნი არიან. ამის დასახასიათებლად მოვიყვან ერთ შემთხვევას,

1915 წელს ბაქოში მოიყარა თავი სპარსეთის და თურქესტნის პარკის დიდხალ რაოდენობამ. რომელიც საზღვარგარედ გაუტანელი დარჩა მსოფლიო ბაზრისთვის მიმწოდებელ სავაჭრო გზების შეკვრის გამო. ომთან დაკავშირებულ მიწეზების გამო ბანკებიც სახიფათოდ სთვლიდნენ საწინდრად პარკის მიღებას და კაკრედიტო დახმარებაზე უარს ამბობდნენ. ამნაირად, მიუხედავად საპარკო ცენტრებში გამოცხადებულ მაღალ ფასებისა და საზოგადოდ ხელსაყრელ კონიუნკტურისა, დაგილობრივ მძიმე პირობები

²³⁾ Н. Шавровъ. „Основныи правила выкорчевки и пелюсации деревьев“.

შეიქნა და ფასები საგრძნობლად დაეცა: საშუალო ფასები ამ წელს ნედლ პარკზე 12—13 მანეთს უდრიდა. მაგრამ, როდესაც შესყიდულ პარკის განაღებაზე მიღვა საქმე, ფასებმა საოცარი ზრდა იწყეს. წვრილ შემსყიდველებმა ფასების აწევას დიდხანს ვერ დაუცადეს და ხმელი პარკის ფუთი 60—68 მანეთად, ე. ი. ნედლი პარკი 20—23 მანეთის ანგარიშში გაანალდეს. დეკემბერში ფასები 100 მანეთამდე ავიდა და მებითუმებმა ცოტა ხნის შემდეგ ფუთი პარკი 150 მანეთად გაყიდეს.

ასეთი ხელსაყრელი პირობების გამოყენება შეუძლებელია ერთი მწარ მოებლისთვის, მხოლოდ ამხანაგობისთვის სავსებით შესაძლებელი, და ამას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს.

ალსანიშნავია ისიც, რომ ჩერენ ხალხს მეტად რთული საქმის შესრულება უხდება: არავითარ შრომის განაწილებას ადგილი არ აქვს: ძაფსაც იღებს, კიდეც რთავს, კიდეც ღებავს, კიდეც ქსოვს... რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა, რომ შრომა განაწილებული ყოფილიყო: ერთი ოჯახი, ოჯახთა ჯგუფი, სოფელი თუ მთელი ამხანაგობა რომ მხოლოდ ძაფს იღებდეს, მეორე — რთავდეს, მესამე — ღებავდეს, მეოთხე — ქსოვდეს, შეხუთე — ქსოვილს საბოლოო მოკაზმულობას და სილამაზეს აძლევდეს. ეჭვს გარეშეა, შრომის ასეთი, გონივრული განაწილებით და სპეციალიზაციის გატარებით ნაყოფი როგორც რაოდენობის, ისე ღირსების მხრივ უფრო მნიშვნელოვანი იქნება და სარგებლობაც მეტი აღმოჩნდება.

ყოველივე ეს კი მოსახერხებელია მხოლოდ მწარმოებელთა შეკვშირებით. რამდენიმე ასეთი შეამხანაგების მაგალითი ჩერენში კიდეც მოიპოვება. მაგალითად, ჯერ კიდევ 1895 წელს განსვენებულ ნესტორ წერეთლის თაოსნობით დაარსდა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა, რომლის უმთავრესი განყოფილება სოფ. კუხში იყო. ამხანაგობა ცდილობდა სალი და კარგი ჯიშის თესლის მიწოდებას, ჩარჩ-გაჭრების ალაგმეას, პარკის რიგიან ფასებში განალდებას, ნედლი პარკის ადგილობრივ გადამუშავებას; ხალხში ცოდნის გავრცელებას და ამ საქმისადმი ინტერესის გაღვიძებას. სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ ამ ამხანაგობის დაარსებამ საქმაოდ დიდი როლი ითამაშა აბრეშუმის წარმოების განვითარებაში დასავლეთ საქართველოში.

სამწუხაროდ, ჩერენს საზოგადოებაში საქმაო შეგნების უქონლობის, ასეთ საქმეებში მოუმზადებლობის და გამოუცდელობის, ჩერეულებრივი კინკლაბის და სხვა მიზეზების გამო,—ამხანაგობის საქმე ბოლოს და ბოლოს აიწერა და 1913 წელს კიდეც განისვენა.

მაგრამ დღეს ჩერენი გათვითცნობიერებული ხალხი, იშედი უნდა ვიქენიოთ, საქმაო მომზადებას, შეგნებას, წინდახედულობას და უნარს გამოიჩინს ასეთ საჭირო საქმეების სასურველად მოგვარებაში; დღეს ყოველი მოქალაქე შეეცდება მთელი პასუხისმგებლობით სამშობლოს წინაშე დამოუკიდებლივ არსებობის: საფუძვლების განმტკიცებას და მისთვის საჭირო საქმიანობას...

მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში ყურადღება უნდა მიექცეს საკვები მასალის საქმაო რაოდენობის მილებას; ჩერენში ძალიან აფერხებს ამ დარგის. სათანადო განვითარებას მოშენებულ ბუღლის-ხის სიმცირე. ბუღლის-ხიან სივრცეთა შესახებ, სამწუხაროდ, ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება. მთელ ამიერ-კავკასიაში 60.000 დესეტინას, მხოლოდ ქუთაისის

გუბერნიაში ბეოლის-ხით მოშენებულ 11.200 დესტრინა ალგილს ანგარძშობენ²⁴⁾: მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობები არავითარ საფუძველზე არ არის. დამყარებული და, მაშასადამე, არ შეიძლება უტუპარად ჩაითვალოს. ამნაირად ნამდგილი სტატისტიკური ცნობები ამ საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება და ვიტო მხოლოდ ის, რომ საკვები მასალის სიმცირეს აღვილი აქვს თითქმის ყველაზე და განსაკუთრებით კი ქართლში. კახეთში, ბორიჩალოს, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის და ბათუმის ოლქში.

რამდენად ჩამორჩენილი კართ ჩვენ ამ შერივ სხვა ქვეყნებთან შედარებით სჩანს თუნდაც იაპონიის მიწათ-მოქმედების და კაჭორბის დეპარტამენტის ცნობებიდან, საიდანაც ვტყობილობო, რომ 1915 წელს იაპონიაში ბეოლის-ხეს ეჭირა სივრცე 453.802 ხო (ცხი), რაც დაახლოვებით 420.000 დესტრინას უდრის.

ამ შემაფერხებელ მიზეზის მოსპობა, რასაკვირველია. შეტაც ხელს შეუწყობდა მეაბრეშუმეობის განვითარებას²⁵⁾: მისი მოსპობა და ყოველ შემთხვევაში შესუსტება ძნელ საქმეს არ წარმოადგენს სხვათა შორის იმიტომაც, რამდენიმე ჩვენში ბეოლის-ხეს, ეზობის და ყანების ირგვლივ რვავენ უმთავრესად და, მაშასადამე, მისი მოშენება სამუშაო აღილების სივრცის რაოდენობაზე თითქმის არავითარ გაფლენას არ ახდენს.

მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის აუცილებლად საჭიროა მოწყობის შელავათიან პირობებში კრედიტის მიცემის საქმე. ვერც მწარმოებელნი, ვერც თვით ამზანგობები ვერ შესძლებენ თავისი ძალ-ლონით მეაბრეშუმეობის გაფართოვებას და სასურველ კალაპოტში ჩაყენებას. ნედლი მასალის მიზანშეწონილად გადამუშავებას და გამოყენებას. თუ საკრედიტო დაწესებულებებმა მათ ამ საქმეში ფართო დახმარება არ აღმოაჩინეს.

საჭიროა აგრეთვე შესაფერისი სკოლების და კურსების მოწყობა, ინსტრუქტურათა საკმაო კონტრიგენტის მომზადება და ხალხში მეაბრეშუმეობის შესახებ სასარგებლო ცოდნის გავრცელება, ლუქურიების კითხვა, გამოსახდევ რჩევებით და საჭირო ლონისმიერებით შევსებული ბროშურების და ფურცლების დარიგება.

უტუპარი სტატისტიკური ცნობების შექრება ნაოლად გამოარკვევს წარმოების ავსა და კარგს. დაგვიხატავს დლევანდელ მდგომარეობის ნამდვილ სურათს: გამოაშეარავებს მის საჭიროებას და გადაგვიშლის თვალშინ მომავლის პერსპექტივებს. და ასეთი ცნობები საჭირო არის არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ სხვა ქვეყნების შესახებაც, რათა იმათ განვითარებასაც თვალყრის ვადევნოთ: გადმოვილოთ მათ მიერ შემოწმებული საშუალებანი და აცირჩიოთ ნაცალი გზები და შეთოდები.

შეტაც საჭიროა კიდევ ისეთი. დაწესებულების არსებობა, რომელიც პარკის, ძაფის და სხვა ნაწარმოების ღირსება-ნაკლულევანებას გამოიკვლევს, მეაბრეშუმეობის და საბაზუშუმრ მრეწველობის განვითარების პრობებს მეცნიერული თვალსაზრისით შეიმუშავებს და ჩვენში ამ დარგის აუვავების საუკეთესო გზებს/გამონახავს:

²⁴⁾ 1909 წლის სტატისტიკური ცნობები.

²⁵⁾ ბეოლის-ხის მოშენებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო მეაბრეშუმეობის განვითარების, არამედ/აგრეთვე სპირტის წარმოების, საქმეში; გიორგიან მისი ნაყოფილან — თურიდან, საქმაო კარგი ღირსების არავის და დაირტის დამსაცემა შეიძლება.

სააბრეშუმი მრეწველობის პროდუქტებისთვის რიგზან ბაზრის მომზება, მათი განაღდების საქმის სასურველად და ქვეყნის ინტერესებისადმი შეგუებულად მოგვარება,—ეს სახელმწიფოს მოვალეობად უნდა ჩაითვალოს.

მის მოვალეობასვე შეადგენს ისეთი გონივრული საბაჟო პოლიტიკის. შემუშავება, რომ ადგილობრივ მეურნეობის განვითარებას ხელი შეუწყოს, მაგრამ მომხმარეველიც მძიმე პირობებში არ ჩაყვინოს.

ტარიფების საკითხიც კოველმხრივ შეწონილი და მოსაზრებული უნდა იყოს.

ჩვენ კოველივე ამ ზომებს აუცილებლად უნდა მივმართოთ თუ გვინდა გამოვიყენოთ ის შესაძლებლობა, რომელიც ჩვენს ჭინ გარკვეულად იშლება. შესაძლებლობა კი ერთობ დიდია...

მიუხედავად ხულოვნური აპრეშუმის გამოვლენებისა და მრავალგვარ სხვა-და-სხვა სუროგატების გავრცელებისა, აბრეშუმის მოხმარება დედა-მიწაზე შეუჩერებლივ და შეთოდიურად იჩრდება, რასაც შემდეგი ცხრილი ნათლად გვიჩვენებს:

სამუალო გასავალი:	1876—1880 წლებში	8.854.000 კილო წლიურად
"	1881—1885	9.438.000 "
"	1886—1890	11.600.900 "
"	1891—1895	15.295.000 "
"	1896—1900	17.053.000 "
"	1901—1905	19.992.000 "
	1906 წელს	20.912.000 "

ამნაირად, აბრეშუმშე მოთხოვნილება აანდათან მატულობს... და მხედველობაში მივიღებთ ის გარემოება, რომ ზოგიერთ ქვეუნებმა, როგორც, მაგალითად, იაპონიამ, იტალიამ და საფრანგეთმა ამ წარმოებაში განვითარების მაქსიმუმს მიაღწიეს; მაშინ აშენარ შეიქნება, რომ გაზრდილ მოსახვენილების დაკამაყოფილება წილად უნდა ხედეს ისეთ ქვეუნებს, რომელთაც ჯერ-ჯერობით მთელი შესაძლებლობა ამ დარგში არ ამოუწურავთ. ასეთ ქვეყნებს უეპველად საქართველოც - ეკუთვნის, რომელმაც მეაპრეშუმების და სააბრეშუმო წარმოების განვითარებისათვის არავითარი ლონე არ უნდა დაზოგოს.

კოველივე ზემონათქვამიღაან გამომდინარეობს; რომ საჭიროა:

1. სააბრეშუმო წარმოების თანამედროვე მეთოდების შესწავლა;
2. მისი წინმსულელობისათვის თვალყურის დევნება და კოველგვარ გაუმჯობესებათა ადგილობრივ გაღმოარევა:

3. სააბრეშუმო საქმის მეცნიერული თვალსაზრისით გამოკვლევა და შესწავლა;

4. სააბრეშუმო სასწავლებლების გახსნა და კურსების მოწყობა;

5. ამ საკითხის შესახებ სპეციალური ლიტერატურის შექმნა, წიგნების გაფრცელება და ლექციების კითხვა:

6. ხალხში სათანადო ცოდნის გასავრცელებლად ინსტრუქტორების მომზადება და სოფლიად დაგზავნა:

7. საღი თესლის გავრცელება;

8. საღი თესლის ადგილობრივ დამზადება;

9. თესლის საუკეთესო ჯიშის გრძულებისუთვის ხელის შეწყობა;

10. საცდელი სადგურების მოწყობა;
 11. სავალდებულო კონტროლის დაწესება;
 12. ბეჭოლის-ხის კარგი ჯიშების გაურცელება და მისი საკმაო რაოდენობის მოშენება;
 13. მწარმოებელთათვის ყოველნაირად ხელის შეწყობა;
 14. მისთვის საკრედიტო დასმარებისა აღმოჩენა;
 15. სხვა-და-სხვა ადგილებში გაუმჯობესებულ იარაღთა და მანქანებთა საწყობების გამართვა და იქედან ხალხისთვის შეღავათიან პირობებში დარიგება;
 16. მწარმოებელთა შეკავშირება და სააბრეშუმო დარგში სხვა-და-სხვა საამსანაგო დაწესებულებათა დაარსება;
 17. საჩევნებელ მუხეუმების მოწყობა;
 18. აბრეშუმის მრეწველობის ნაწარმოებთაგან პერიოდულად გამოფენების მართვა;
 19. წასახალისებელი პრემიების დაწილება;
 20. წარმოებაში საჭირო მანქანების და ტეხნიკურ მოწყობილობათა შესაკეთებლად სარემონტო სახელოსნოების გამართვა;
 21. ჩარჩების ალგორიტმის ნაწარმოებთა განალდების საქმის მოწესრიგება;
 22. რიგიანი ბაზრების მოვლება;
 23. სტატისტიკური ცნობების შეკრება როგორც ჩერნიში, ისე უცხრესების შესახებ, მათი შესაფერისი დამუშავება და გამოყენება;
 24. ნედლი მასალის, პარკის, ადგილობრივ გადამუშავება;
 25. არსებულ ქარხნების და სახელოსნოების დაუყონებლივ ამოძრავება;
 26. სააბრეშუმო წარმოების განვითარებისათვის შემზადებულ ნიადაგით და პირობებით სარგებლობა;
 27. საზოგადო იმ წარმოების განვითარების საქმეში მთელი შესაძლებლობის ამოწურვა;
 28. წარმოებაში სპეციალიზაციის შემოწება და შრომის კონიურულად განაწილება;
 29. სალი საბაჟო პოლიტიკის შემუშავება;
 30. ტარიფების საკითხის მისანეშტონილად გადაჭრა და სხვა და სხვა.
- თუ ამ გზის დავადექით, ჩენ თვითონ მალე განცვილებაში მოვალოთ იმ შედეგებით, რომელსაც მივაღწევთ. საჭირო კია ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის დაწინაურებულ ქვეყნების მიერ ნაცად გზას არ ავცდეთ!..



II.

ბაშბის წარმოება:

ბაშბა ცნობილი იყო ძალიან შორეულ წარსულში; არის ცნობები იმის შესახებ, რომ 2.500 წლის წინედ ქრისტეს დაპადებამდე ჩინეთში უკვე შეხვდებოდით. ბაშბის ქსოვილებს, თუმცალა, მართალია, იშვიათად დიდიხანია გაჩნდა ეს მცენარე აგრეთვე ინდიუთში და ეგვიპტეში და, უნდა ვიფაქროთ, რომ ამერიკაშიც დიდი სწირ ადრე მის აღმოჩენამდე იქაურ მცხოვრებთათვის ის ცნობილი იყო. ყოველ შემთხვევაში, კორტეცის მოწმობით მექსიკის დაბყრობის დროს ადვილობრივ მცვიდრო ეცვას ბაშბისაგან დამზადებული სხვადასხვა ფერად შედებილი საუცხოვო ქსოვილები.

ჟეველაზე გვიან ამ მცენარეს ეცრობა გაცნობა თუმცალა ორასი წლით ადრე ქრისტეს დაბადებამდე საბერძნეთი ღებულობდა ბაშბის ქსოვილებს ინდოეთიდან და საშუალო საუკუნეებში დასავლეთ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებში ბაშბის დამუშავებამ ფართო ხასიათი მიიღო, შაგრამ მიუხედავად ამისა კიდევ რამდენიმე საუკუნეს განმავლობაში საბამბო მრეწველობამ მჭიდრო ნიადაგი ვერ მოიპოვა. მხოლოდ მე-18 საუკუნეს მიწურულში, როდესაც სასოფლო მანქანების დარგში შეტანილ იქნა დიადი გაფუძვლებსები და აქედან გამოწვეული გადატრიალება ბაშბის საქმის ტეხნიკაში,—საბამბო მრეწველობამ ჩქარი ნაბიჯით დაიწყო წინსულა და წარმატება²⁶⁾.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, ისტორიული ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მცხოვრებნი ბაშბის კულტივაციას დიდიხანია. შეუდგნენ; თუმცალა „ძნელი სათქმელია, თუ რა დროიდან დაიწყეს ამ მცენარის მოშენება“, ამბობს ამ საკითხის განხილვის დროს მებამბეობის ერთი პირებული ისტორიკოსთაგანი ი. ხატისოვი²⁷⁾. დამტკიცებულია მხოლოდ, რომ კავკასიაში ეს მცენარე შემოვიდა სპარსეთიდან და ამ უკანასკნელში კი გადმოინერგა ინდოეთიდან.

დარჩა აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, რომ ეხლანდელ ერევნის გუბერნიაში სპარსეთის მტლობელობის დროს იწევდნენ 90.000 ფუთ ბაშბას; რუსებმა ამ რაიონის დაბყრობის დროს აღმოაჩინეს ერევანში და მის ახლო-მახლო ადგილებში წმინდა ბაშბის დიდი რაოდენობა, რომელიც ეკუთხებოდა ჰუსინ-ხანს, ვაკერებს და ადგილობრივ მცხოვრებთ; შემდეგ გამოირკვა, რომ დიდი ბაშბა მათ ჩამარხული ჰქონდათ აგრეთვე თრონებში, რასაკერძოდ გადატრიალის მიზნით²⁸⁾.

წინედ ბაშბის ბლობად იწევდნენ აგრეთვე სხეკართველოში, ჩასაცნათლად მოწმობს ვაზუშტი თავის გეოგრაფიაში; ამ თხზულებიდან სჩანს, რომ ბაშბის კულტურს უმთავრესად ეტანებოდნენ ალაზნის ველზე, მდ.

²⁶⁾ Руководство по текаревъдѣнію, т.и. Москв. Практикъ А.В. Каммерч. науки. Инж.-техн. Влт. Выпъяжъсъ. „Волокнистые материалы и прядка изъ нихъ изготавляемая“.

²⁷⁾ Сборникъ материаловъ по изученію экономического быта. И. Хачиссовъ. „Хлопководство въ Закавказье“.

²⁸⁾ П. Петровичъ. „Хлопководство въ Закавказье“.

იფრის ხეობაში და ელისენში, ეხლანდელ ზაქათალის ოლქში. ჩვენში ბამბის „მრავალ ნაყოფიერების“ შესახებ სწერს ვახუშტი აგრეთვე თავის „საქართველოს ისტორია“-ში.

ლეხეკობიტოვის ცნობებით გასულ საუკუნეს მე-20 წლებში სიღნაღის მაზრაში ბამბას ეჭირა სივრცე 1000 დოლარი და თვითოვეულ დღიურზე მოდიოდა 50 გირვ. სულ, მაშააღამე, 50.000 გირვ. ²⁹⁾.

კახეთის მკვლევარი ა. არღუთინსკი-ღოლოვანუკოვი ამტკიცებს, რომ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც სიღნაღის მაზრის მცხოვრები ბამბის კულტურის ეჭირდნენ, მხოლოდ ბოლო დროს მას თავი დაანებეს ტყეების გაჩეხვის და ნიადაგის სისველის შემცირების გამო; ასე რომ ბამბას სთესავდნენ მცირე რაოდენობით, მხოლოდ თავისი საჭიროების დასაქმაყოფილებლად ³⁰⁾. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, მე-90 წლების დასაწყისში, ეს მცენარე ხელ-ახლად გაიხსენეს და მოინდომეს ძველი კულტურის აღდგენა. ამის შესახებ 1904 წელს ერევნის საბამბო ყრილობაზე აღვილობრივ ინსტრუქტორმა ი. ზემელმა მოხსენება გააკეთა, საღაც აღნიშნა, რომ ლაგოდებში შიმანოვსკიმ დესეტინაზე 24 ფუთი გაწმენდილი ბამბა მიიღო; 1896 წელს ენფენჯიანცის ცდამაც საუცხოვო შედეგები გამოიღო; 1901 წელს ჩილოყაზეილის მაპულში, „ჭიათურში“, ყაზახაშვილმა საცდელად ბამბა დათესა და მოსავალი სავსებით დამაკმაყოფილებელი მიიღო, საერთოდ ამ მომხსენებლის აზრით მებამბეობას კახეთში საუცხოვო ნიადაგი და თან ბრწყინვალე მომავალი აქვს. ყრილობამ მომხსენებლის დებულებანი სავსებით გაიზიარა და გამოსთქვა აზრი კახეთის სხვა ადგილებშიც ბამბის გავრცელების შესახებ გამოკვლევებისა და ცდების საჭიროებაზე ³¹⁾.

უკანასკნელი 20 წლის განმაჟლობაში მებამბეობას დაეტყო განვითარება ყარაიაზში და ბორჩალოს მაზრაში, მდ. ხრამის მიღამოებში.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, საქართველოს როგორც სხვა რაიონებში, ბამბის თესებას აქაც შორეულ წარსულში შეუდგნენ. მას თესავდნენ უმთავრესად ბორცვიან აღგილებზე და იმასც მხოლოდ საკუთარ საჭიროებისათვის. ამ წარმოების გაცხოველება გამოიწვია მხოლოდ ჩრდილოეთ-ამერიკის ომმა 1861—1865 წლებში, როდესაც ამერიკიდან ბამბის გატანა სავსებით შეწყდა და ფასებმა ფუთზე 20—21 ბანეთამდე აიწია. მაშინ აქ გაფაციცებით შეუდგნენ ბამბის მოყვანას და მისი მოსავალი (გაწმენდილი) წლიურად 50.000 ფუთამდე აიყვანეს. ფასების დაწევის შემდეგ ბამბის ნათესების სივრცე ხელ-ახლა შემცირდა და ფოთი-ტფილისის რკინი-გზის გაყვანამდე მან სამრეწველო მნიშვნელობა დაჭკარვა. ამ გზის გაყვანის შემდეგ (1876 წ.) სასოფლო მეურნეობას რამდენიმედ გამოცოცხლება დაეტყო და მე-90 წლების დასაწყისში ბამბის მოსავალი 15.000—20.000 ფუთამდე ავიდა. პირველი ბამბის-საწმენდი მანქანა („ჯინი“) მოეწყო ქუთაისში 1891 წელს, მეორე სოფ. ვანში 1892 წელს; მანამდის კი ბამბის გაწმენდა კურისაგან ხდებოდა პრიმიტიული მოწყობილობით, რომელსაც

²⁹⁾ Гулишамбировъ. „Обзоръ фабрикъ и заводовъ Тифлисской губ.“

³⁰⁾ Извѣдованіе быта государственныхъ крестьянъ. Т. IV.

³¹⁾ И. Петровицъ. „Къ вопросу о хлѣбномъ аукціонахъ въ Закавказье.“

„ჩიხრიხი“ ეწოდება. 1902 წელს ქუთაისში უკვე გაჩნდა ბამბის-საჭმენდი ქარხნები და ჭნებები ¹²⁾.

ასეთია ამ საქმის მოქლე ისტორია:

ამ ისტორიული ცნობების შემდეგ მე პირდაპირ არ გადავალ იმის გარჩევაზე, თუ რანაირად ამოწუროთ ჩვენ მთელი შესაძლებლობა ამ წარმოების განვითარების საქმეში, თუ რა ნაბიჯები გადავდგათ, რა ღონისძიებებს მიემართოთ. მე შეუდები ბამბის წარმოების განხილვას სხვა ქვეყნებში, რათა ნათელეყო როგორც ამ წარმოების უაღრესი მნიშვნელობა ჩვენთვის, ისე ის მეთოდები, საშუალებანი და წესები, რომელნიც საჭიროა გადმოინერგოს ჩვენს ნიადაგზე იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც უკვე ბრწყინვალედ გაიკაფეს გზა და ამ საქმეში განსაცვითებელ შედეგებს მიაღწიეს.

რასაკვირველია, ჩვენ ყველაზე მეტი ყურადღება ამერიკას უწდა მივაჭიოთ, რომელიც მოელ ქვეყნიერებაზე ბამბის მეუფედ ითვლება.

ბამბა არ არის დიდი მოთხოვნილების მცენარე და სეირობს ბევრ-გვარ ნიადაგზე. ფაქტიურად დამტკაცებულია, რომ ბამბა დიდიხანია ცნობილი ინდოეთში, ეგვიპტეში, კორეიაში, ჩინეთში, სამხრეთ-ამერიკაში და მცირე ანტილის კუნძულებზე. რასაკვირველია, ჩინეთის და ჩრდილოეთ-ამერიკის, ინდოეთის და ანტილის კუნძულების, ეგვიპტესა და კორეას შორის დიდი განსხვავებაა როგორც ნიადაგის შემადგენლობის, ისე ჰავის და ადგილთა საზოგადო ხასიათის მხრივ.

და ეს განსაკუთრებული პირობები ქმნიდენ ბამბის სხვადასხვა ჯიშებს და სახუცალეობას. თუ ადგილობრივი პირობები, რომელშიაც მცხარეს ზრდა-განვითარება უსდება, საერთოდ მასზე გავლენას ახდენს, ყველაზე მეტად ეს ბამბაზე ითქმის.

ის, მაგალითად, თავის ფესვების აგებულობის მეოხებით ძალიან ადგილად ეგუება ადგილობრივ პირობებს ნიადაგის სისველის მხრივ. მშრალ ნიადაგზე ის ღრმა ფესვებს იკეთებს სველ დონემდე დასვლის განზრახვით და გვერდებზე ქიმებს უშვებს რაც შეიძლება ბლობად მცენარესთვის. საჭირო წყლის მისაწვდენად. ნოტიო ადგილებში ფესვები და მისი ქიმები ასე ღრმად და ფართოდ არ არიან წასულნიაქედან სრულიად არ გამომდინარეობს, თითქოს ბამბას ნოტიო ადგილი უყვარდეს; პირიქით, მისთვის ის გადაჭრით მავნებელია, რადგან ასეთი ნიადაგი იწვევს მასში სხვადასხვა ავალყოფობებს. აგრეთვე მავნებელია მისთვის წვიმიანი ამინდები; დიდი ხნის უამინდობა, მზის სხივების უმოქმედობა იწვევს ამ მცენარის ზრდის შეჩერებას. მზის სხივები, ობილი, ზომიერად ნოტიო ატმოსფერა, — აი ბამბისთვის საუკეთესო პირობები!..

ზემონათქამიდან გამომდინარეობს, რომ ბამბა-პირობებთან ადგილად შემგუებელი და ბევრი რამტებს ამტანია, მაგრამ მისი სათანადო განვითარებისათვის და სასარგებლო გამოყენებისათვის აუცილებელია ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება. ბამბის წარმოების განხილვის და მისი გასავრცელებელ რაიონის შემოფარგვლის დროს, ამ გარემოების უეჭველად

¹²⁾ Труды съезда хлопководовъ въ г. Тифлисъ 1—6 ноября 1912 г. С. Тимофеевъ. „Статистика хлопководства въ Закавказскомъ краѣ за 1909—1911 г.“

ანგარიში უნდა გაეწიოს, რათა უნაყოფელ საქმეზე ღრო და ენერგია რა დაიხარჯოს.

ამნაირად, ყველა ქვეყნებს და ქვეყნების ყველა რაიონებს არ შეიძლება შეხვდეს წილად შესძლებლობა ამ საუცხოვო მცენარის კულტივაციისა. საბედნიეროდ ჩვენ იმ ქვეყნას ვეკუთვნით, რომელსაც შეუძლია საგრძნობი ნაწილი თავის ადგილ-მამულებისა „ოთორ თავთავებიან ჯეზლით“ მოჰყინოს, რაზედაც დაწერილებით ქვევით გვექნება ლაპარაკი.

ამ უამად კი შეერთებული შტატების სამხრეთის რაიონი, ოსტ-ინდოეთი, ეგვიპტე, ბრაზილია და რუსეთში უმთავრესად ფერგანის ოლქი,—აი ის ქვეყნები და ადგილები, რომელნიც აკმაყოფილებენ ბამბაზე ბაზრის მოთხოვნილებას.

	ბაზბის მსოფლიო წარმოება ³³⁾ .		
	1901—1902 წელი ცალებში ³⁴⁾ .	1904—1905 წელი ცალებში ³⁵⁾ .	1911—1912 წელი ცალებში ³⁶⁾ .
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებ. შტატები	10.380.380	13.420.440	19.724.575
ოსტ-ინდოეთი	2.475.230	2.960.000	3.763.636
ეგვიპტე	1.292.443	1.187.000	1.768.910
ბრაზილია და სხვ. ³⁷⁾	265.896	215.000	439.100

აქედან გამოდის:

	ბაზბის მსოფლიო წარმოება.		
	1901—1902 წელი ცალებში.	1904—1905 წელი ცალებში.	1911—1912 წელი ცალებში.
ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებ. შტატები	10.380.380	13.420.440	19.724.575
დანარჩენი ქვეყნები .	4.033.569	4.362.000	5.971.646

ამ ცხრილებიდან სჩანს ერთი ის, რომ ამერიკის ბაზბის წარმოებასთან შედარებით დანარჩენ ქვეყნების შეერთებული წარმოებანიც კი მეტად უმნიშვნელოა და მეორე ის, რომ დაწინაურება თვით წარმოებისა ამერიკაში ვაცილებით უფრო ჩატარი ტემპით ხდება, ვიდრე სხვა ქვეყნებში; კი-

³³⁾ ნიკოლეს ხლოიკოვაგი კომიტეთა, № 1; მხოლოდ ცხრილში 13,8 ფუთიანი ცალები. 11 ფუთიანზე მაქს გადარიცხული.

³⁴⁾ ცალი ნაწარიშევია 443 გორგ., დაახლოვებით 11. ფუთად.

³⁵⁾ რუსეთშე ცალკ. გვექნება ლაპარაკი.

დევ მეტი, ზოგიერთ ქვეყნებში წარმოება ერთ ჭერტილზე იყინება მაშინ, როდესაც ამერიკა თანდათან მსოფლიო ბაზარს იპურობს...

მაგრამ, ჩემის ფიქრით, ინტერესს მოკლებული არ იქნება - ს კიფრებიც, რომელიც დავვანახვებენ, თუ როგორი თანდათანობით მოაღწია ამერიკამ თანამედროვე მდგომარეობამდე:

წლები 35)	მოსავალი 36) ცალებში.	იღებილობრივი მოხმარება 35) ცალებში.	ექსპორტი 35) ცალებში 37).
1832—33	1.070.438	194.412	867.000
1842—43	2.378.875	325.129	2.010.000
1852—53	3.416.214	803.725	2.528.400
1862—63	— 8 6 5	6 5	
1872—73	3.930.508	1.201.127	2.679.986
1882—83	6.949.756	2.073.096	4.766.597
1892—93	6.700.365	2.431.134	4.410.524
1902—03	10.727.559	4.161.374	6.766.378 37)

ცნობები ომის წინა წლების შესახებ შემდეგ სურათს გვაძლევენ 38):

წლები	ნათესის სივრცე აკრებში 39).	მოსავალი ცალებში 40):	მოსავალი თვითონე- ულ აკრზე ინგლის, გირვანქებში 41).
1909	33.862.000	10.650.961	153
1910	33.379.000	12.132.332	168
1911	37.581.000	16.043.316	204

ზემომუცეანილი ციფრები ნათელ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, რომ ამერიკა საოცარის სისტრატიო ანვითარებდა ბამბის წარმოების საქმეს და, რასაცირველია, ამასთან ერთად ხალხი მატერიალურად თანდათან აუმჯობესებდა თავის მდგომარეობას. სახელმწიფო ეკონომიკური განმტკიცების ნიაღაგზე დგებოდა და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უმკველ და წინაურებას განიცდიდა.

³⁵⁾ Проф. Ч. Вэркеттъ. „Хлопокъ. Культура, торговля, промышленная обработка хлопка въ Северо-Американскихъ Соединенныхъ Штатахъ и задачи хлопководства“.

³⁶⁾ ამ ცხრილში ცალი უდრის 443 გირვ., მაშასადამე, დაათლოვებით 11 ფუთს.

³⁷⁾ ცხრილში ხანდისან აღვილობრივი მოხმარების და ექსპორტის ჯამი წლიურ მოსავალი არ უდრის; ეს აისნება მით, რომ ხან მთელი წლის მოსავალი არ იყიდვიდა ხან კი მასთან ერთად წინა წლების ნარჩენიც საღიეროდა.

³⁸⁾ Глаинко იუ. Упр. Землеустрой. и Землеведческаго Комитета, № 1.

³⁹⁾ ერთი აკრი 0,37 დესტრინას უდრის.

⁴⁰⁾ ცალი ამ ცხრილში 13,8 ფუთს უდრის.

⁴¹⁾ ერთი ინგლ. გირვ. ჩვენებურ 1,1 გირვანქეს უდრის.

20.000.000 ცალი ბამბა, რომელიც სულ მცირე უკანასკნელ წლებში შეერთებულ შტატებში მოყვალათ, უდრის 230.000.000 ფუთს და წარმოადგენს სულ ცოტა ფუთი 8 მანეთი. რომ ვიანგარიშოთ, ორ მილიარდ მანეთის ლირებულებას მშევიღობიანი დროის კურსით. მაგრამ ნამდვილი ლირებულება ამ წარმოებისა გაცილებით უფრო მეტია, ვინაიდან მთელ მილებულ ბამბას არ ასალებდნენ უცხოეთში, არამედ ნაწილს თვით ამუშავებდნენ.

შემდეგი ციფრები თვით ამერიკაში გადამუშავებულ ბამბის რაოდენობას გვიჩვენებს:

	1909—1910 წ. ცალებში ⁴²⁾ .	1910—1911 წ. ცალებში ⁴²⁾ .	1911—1912 წ. ცალებში ⁴²⁾ .
შეერთებულ შტატების ჩრდილოეთში	2.265.414	2.230.419	2.589.255
შეერთებულ შტატების სამხრეთში	2.267.358	2.254.625	2.622.056
მთლად შეერთ. შტატ. ⁴³⁾	4.532.772	4.485.044	5.211.311

ბამბა კი გადამუშავების შემდეგ ისე, როგორც ყოველივე საქონელი. ნედლ მასალასთან შედარებით მეტ ლირებულებას წარმოადგენს. საქონვი ბამბის ძაფი იყიდება გირვანქობით; ჩამდენად წვრილია ის, მიღენად გირვანქაში მეტი იარდები ⁴⁴⁾ იქნება. საქონლის ფასი განისაზღვრება როგორც მისი დამზადების ხასიათით და მასზე დახარჯულ შრომის რაოდენობით, ისე გირვანქა ძაფში მოთავსებულ იარდების რიცხვით.

პროფ. ბერკეტის გამოანგარიშებით ერთი გირვანქა ბამბიდან, რომლის ფასი 10 ცენტამდე ⁴⁵⁾ აღის, შეგვიძლია მივიღოთ:

1 1/2 იარდი ხამი ნაქსოვი	18	ცენტის. ლირებულებისა
4 " კობალა ზეწრისთვის	20	" "
4 " თეთრი მარმაში	32	" "
7 " მიტკალი	35	" "
6 " ინდოეთის ნაქსოვი (ჩითი)	45	" "
10 " საპერანვე	1 დოლ. 50 ცენტ.	" "
10 " წმინდა ტილო	2 " 50	" "
25 ცხვირსახოცი	2 " 50	" "
56 იარდი საკერავი კოჭა-ძაფი № 40	2 " 80	" "

ქარგაზე ნაკერი კი ერთი გირვანქა 20 დოლარი ლირს. საშუალოდ რომ ვიანგარიშოთ ერთი გირვანქა ბამბიდან დამზადებულ საქონლის ლირებულება სულ მცირე 35—50 ცენტი, მაშინაც კი მივიღებთ ამერიკაში

⁴²⁾ ცალი აქ 13,8 უდრის.

⁴³⁾ Бюллетень Хлопкового Комитета. „Мировой урожай хлопка в 1911 г. и его реализация в 1911—12 году“.

⁴⁴⁾ 1 იარდი 1,286 არშის უდრის.

⁴⁵⁾ 1 ცენტი 1,94 კაპეგია; 1 დოლარი = 100 ცენტი = 1 მან. 94 კაპ.

3 მილიარდ გირვანქა გადამუშავებულ ბაზბიდან 2—3 მილიარდად ლირებულ საქონელს.

ამნაირად; ამერიკის შეერთებული შტატების ბამბის წარმოება შევიღობიან დროის კურსითაც 4—5 მილიარდ მანეთის შემოსავალს აღემატება და საკვირველი არ არის, რომ სამხრეთ შტატებში რინი-გზის ქსელის შემოსავალი გაცილებით მეტი წამატებას იძლევა, ვიდრე რესპუბლიკის სხვა ნაწილებში; არ არის საკვირველი აგრეთვე ის, რომ კერძო საკუთრებაზე გადასახადი ამ შტატებში სწრაფად იზრდება, რომ აქ ბანკებში შენახულ ფულის ჯამი ყოველწლივ თითქმის 100 % მატულობს მაშინ; როდესაც სხვა შტატებში მატულობს მხოლოდ 50 % -ით; არ არის საკვირველი ისიც, რომ მამულებზე ფასი ყოველწლივ ერთი-ორად, ერთი-სამაც იზრდება... .

არ უნდა გაგვიკირდეს ამის შემდევ დ-რ ვალტერ პეჯის სიტყვები, რომ „მალე მივალწვევთ იმ დროს, როდესაც შტატების წინანდელი მონამებაზე გარდაიქცევა ქვეყნის ერებაზე ყველაზე მდიდარ მწარმოებლად“.

შართლაც, პროფ. ბერკეტის მოწმობით „ჩვენ ქხედავთ, რომ სამხრეთი საოცრად გამოიცვალა; ქარხნები, ბანკები, შეკოლები, ეკლესიები, გაზეთები, — ყველანი დიდ სარგებლობას ნახულობენ ბამბის წარმოების განვითარების გამო. ხუროთ-მოძღვარი გეტუებით, რომ წინანდელიან შედარებით ეხლა უფრო კარგი სახლების აშენება უხდება; ავეჯეულობით მოვაჭრე მოგახსენებოთ, რომ ეხლა უფრო მეტისა და კარგი საქონლის დამზადება უწევს; შანქანებისა და იარაღების მექანიზმებით, რომ ვერ აუდის განვითარებულ სამხრეთის მოთხოვნილებას; გაზეთებზე ხელი-მოწერა აცილდა გამომცემლის გადაქარბებულ ანგარიშებსაც-კი... .

„ყოველივე ამას არ შეუძლია დიდი დაწინაურება და წარმატება აო გამოიწვიოს საბრძოლ შტატების ცხოვრების ყოველივე დარგში“. ⁽⁴⁶⁾

მიუსედაგად ბამბის წარმოების ასეთი განვითარებისა და შისგან გამოწვეულ ხალხის უზრუნველყოფილ მდგრამარეობისა და წარმატებისა, ამერიკაში ამით მაინც არ კმაყოფილდებიან და წარმოების კიდევ უფრო მეტ გაფართოებაზე და გალრმავებაზე ფიქრობენ.

შეერთებულ შტატების მიწად-მოქმედების დეპარტამენტის ცნობებით „შეიძლება ჩაითვალოს, რომ მთელ ქვეყნიერებაზე $1\frac{1}{2}$ მილიარდ მცხოვრებთაგან 500 მილიონი ტანისამოსს ატარებს მუდმივად, 750 მილიონი მოსახლე მხოლოდ ნაწილობრივ და 250 მილიონი საკებით შიშველ-ტიტ-ველი დადის; იმისთვის, რომ მთელი კაცობრიობა შევმოსოთ საჭიროა 42 მილიონი 500 გირვანქიანი ცალი ბამბა. აქედან გამომდინარეობს, რომ ბამბის წარმოების საჭმე თანდათან უნდა განვითარდეს და გაფართოვდეს; და ეს მანამდის, სანამ მთელი კაცობრიობა საფეიქრო ჩარჩების ნაწარმოებით უ იქნება შემოსილი“.

ამერიკა დარწმუნებულია, რომ მოთხოვნილება ბამბაზე ყოველწლივ იძარებს.. „მარტო ჩინეთი თავისი 430 მილიონი მცხოვრებით ცივილიზაციის გზაზე დადგომის დროს შესძლებს ჩაპყლაპოს მთელი აანამედროვე მსოფლიო მოსავალი“, ამბობს გობსონი. „რომ ჩვენი ხალხი ბამბის ნაქსოვებს ისე ეტანებოდეს, როგორც ამერიკელები და რომ თვითოვეულმა ჩინელმა თავისი ტანთსაცმელი ერთი დიუმით წააგრძელოს, ამისთვის საჭირო შეიქ-

⁽⁴⁶⁾ ი. ი. ბერკეტ. „Хითიონ ა ვადაც ა ჰიონი ა სტან.“

ნებოდა სამხრეთ შტატების მთელი მოსავალი"-ი, სთქვა ერთ სენატორთან საუბრის დროს კუ-ტინგფანგმა.

ყოველივე ამის გამო ამერიკაში მუშაობას ეწევიან და საშუალებებს ექცევინ იმისათვის, რათა ბამბის მოსავალი ჯერ-ჯერობით 30 მილიონ ცალ-შე მაინც აიყვანონ.

ესლი მოკლედ განკიშილოთ, თუ რა ზომებით და საშუალებებით, როგორი ხელის-შეწყობით მიაღწია ამერიკაზ დღევანდელ ბრწყინვალე შედე-გებს და რა გზით სკრის მას მომავლისთვის კიდევ უფრო ბრწყინვალე მდგომარეობის შექმნა. ამის განხილვა ჩვენ გაგდიადვილებს საჭირო საქმია-ნობის გათვალისწინებას ამ დარღვევას.

ამერიკაში დიდ ყურადღებას აქცევენ ბამბის ჯიშის ამორჩევას. ჩვენ წინედ ვთქვით, რომ არსებობენ ბამბის ბევრგვარი ნაირობანი, და შეიძლება ჯიში, რომელიც კარგად ხეირობს ერთ ადგილას, სრულად უვარვი-სი გამოდგეს სხვა ნიაღაგზე და პავის სხვა პირობებში: რასაკვირველია: ამის ანგარიშის გაწევა უნდა. განსაზღვრულ ადგილას ამა თუ იმ ჯიშის ამორჩევის დროს ყურადღებას აქცევენ, რათა დაქმაყოფილებულ იქნეს შე-მდეგი პირობები:

1. საუკეთესო მოსავალი,
2. ბოჭკოს დიდი სიგრძე,
3. თანაბრობა ბოჭკოს სიგრძეში,
4. ბოჭკოს სიმტკიცე და სიმაგრე,
5. ბოჭკოს სიწვრილე,
6. ავადმყოფობასთან მედგრობის თვისება;
7. კურკის დიდიალი გმოსავალი,
8. მცენარის შეგუებულობა ადგილობრივ პირობებთან და სხვა.

თესლის ამორჩევა ბამბის კრეფის დროს ისეთ ჯირგვებიდან, რომელ-ნიც განვითარებიან როგორც მოსავლიანობით, ისე ზემოაღნიშნულ საჭირო-თვისებებით, არის მიჩნეული ბამბის წარმოების განვითარების ერთ საუკე-თესო საშუალებად.

ამერიკაში დაუ ყურადღებას აქცევენ კადევ ზეადაგის აგებულობას და მის სათანადო დამუშავებას. ზეადაგის საუცხოვო ლიტერატურის შეიძლება საგსებით მნიშვნელობა დაუკარგოს, თუ მისი პატოონი ერ არის რიგიანი მომცველი და საქმის ცურანე. როგორც შეკლა და ნიკი მხატვრისა ტი-ლოსე ჩნდება, ისე მაწარ ბამბის ქვეშ მისი პატოონის ნიჭა, ხელოვნებას და კოდნის მძლავნებს. იქ საჭიროდ სტელიან ზეადაგის სატუქლიან შეს-წავლას და მეს სათანადო გადამუშავებას და გაუმჯობესებას. საჭიროდ სთვლიან ნიაღაგს დაუბრუნდეს დამპალი-მიწა, თუ ის ამის მოკლებულია; დაემატოს მინერალური სასუჟი; მეწა დაიხნას კარგად და ლრჩად; ზეადაგის ნაყოფიერების შესანახად დრო გამოშევებით დაითესოს ლრმა ფესვებიანი მცენარეულობა, რომელიც ნიაღაგს აზოტიურ ნივთიერებებს შემატებენ და თან მიწას გააფხვერებენ; ასეთებად ითვლებინ: ალავრილა (alfalfa), „სამხრეთის ონჯა“ (Dolichos sinensis), უბრალო ონჯა და სხვ. განუ-ცვეტლივი ბამბის კულტურა მიჩნეულია არა სისურველად და შემოღებულია ნაყოფის-შეცვლის სისტემა.

შემდეგ ნუსხაში მოყვანილია ამის მაგალითი: ⁴⁷⁾

პირველი წელი	მეორე წელი	მესამე წელი
ზაფხულში	ზაფხულში	ზამთარში
სიმინდი „სამხრეთის იონჯა“	ბამბა	შერია ან ხორბალი „სამხრეთის იონჯა“
		ჭვავი ან-იონჯა

ასეთი შეცვლითი სისტემის წარმოებით ნიაღავი არასოდეს არ ვა-მოიფიტება და შედეგიც, ეჭვს გარეშეა, საუცხოვო იქნება.

ამერიკაში მეტად დიდ უურალებას აქცევენ აგრეთვე ნიაღავის გა-პოხიერების საქმეს. ბამბისათვის ყველაზე საჭირო ნივთიერებებს წარმოად-გენენ: ჰაისი (აზოტი), ციკინა (ფოსფორი) და ტეიტა (კალიუმი). ჰაისის სა-სუქად ხმარობენ — ჩილეთის გვარჯილას; გამშრალ სისხლს, სასაკლაოს გდე-ბის ნაწარმებს, ბამბის მარცვლების ფევილს და სხვ.; ციკინას სასუქად — ჭარბციცინას (სუპერფოსფატს), დანაყილ ძვალს, ძვლის ფევილს და სხვ.; ტეიტას სასუქად — მისი სხვადასხვა მარილებს, მაგალითად, კაინიტს. უურალებოდ არ სტოკებენ, რასაკეირველია, არც საქონლის პატივს. კი-დევ მეტი, ამერიკელები ისეთ ღროს, როდესაც პირუტყვი დასვენებულია, მაშასაღამე, უმთავრესად ზამთრობით. აგროვებენ მცენარეულ მასალას — ფო-თლებს, ნეშოს და სასუქად გამოსადევ ყოველივე ნივთიერებას და ამნაი-რად აჯანსაღებენ ნიაღავს, ზრდიან მოსავალს და აუმჯობესებენ წარმოე-ბის პირობებს. ამერიკელებმა ძალიან კარგად იციან, რომ ადგილის მო-ნაკვლა, გაპოხიერება საგრძნობლად ზრდის მებამბეობის შემოსავლიანობას და ამიტომ ამ საქმეში არავითარ ღონეს არ ზოგავენ. ისინი ზედმიწევნით უკეირდებიან თავის მიწას, სწავლობენ მის ბუნებას, მოთხოვნილებებს, აკე-თებენ ათასანირ ცდას და ნაბიჯებს ამისდა მიხედვით სდგამენ.

ლაპარაკს არ გავაგრძელებ ამერიკელების ცდაზე ხელის მუშაობის მანქანათა მუშაობით შეცვლის შესახებ, აგრეთვე მიწის დამუშავების წესე-ბის, ბამბის მოვლის, მისი სხვადასხვა ავადმყოფობასთან შებრძოლების, მოკრეფის და შენახვის შესახებ, — ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველივე ამას-სათანადო უურალება აქვს მიქცეული და მიღებულია კიდეც შესაფე-რისი ნაყოფი. არ ვილაპარაკებ აგრეთვე ბამბის გასაღების შესახებ და ვი-ტყვი, რომ ყოველივე ღონეს მიღებული იმისათვის, რომ ის ჩარჩებს და სპეციალიანტებს არ ჩაუგარდეს ხელში და რაც შეიძლება რიგიან პირო-ბებში იქნეს განაღდებული. არ შეუდგები ბამბის წარმოებაში დამატებით. ნაწარმთა უტილიზაციის საკითხის გარჩევასაც, ვინაიდან ამის შესახებ ქვე-ვით გვექნება ლაპარაკი, და გადავალ მებამბეთა შეკავშირების და მისი შედეგების მოკლე განხილვაზე.

.... „გამარჯვების დიადი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მზად ვიყოთ, როდესაც ღრო მოაღწევს“, სთქვა ლორდ ბიკონსფილმა; და ეს დრო დადგა 1904 წლის დეკემბერში, როდესაც მთავრობის ანგარიშით 12 მილიონი ცალი, საჭიროებაზე აღმატებული, ბამბის მოსავალი შეიქნა-მაშინვე ბამბის ფასმა საოცარი სისტრაფით დაიწყო კლება და მალე გირვან-

⁴⁷⁾ Пер. Л. Забылло, „Американское введение в хлопка“.

ქის ფასი 6—7 ცენტამდე დავიდა. სწორედ მაშინ იშოვა ღრო მებამბეთა წამხალისებელ საზოგადოების სულის ჩამდგმელმა, იორდანმა, და მიზნად დაისახა ბამბის მწარმოებელთა ორგანიზაციის შექმნა თავდაცვის მიზნით. ნიადაგის შემზადების შემდეგ, 1906 წელში 24—29 იანვარს ნიუ-ორლეანში გაიმართა დიდი ყრილობა, სადაც გადაწყდა ბამბის სათესავ ადგილების შემცირება წინა წლებთან შედარებით 20%-ით და დაარსდა საბამბო ასო-ციაცია, რომელსაც სხვათა შორის დაევალა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა.

მიუხედავად არსებულ მეტად არა-ხელსაყრელ კონიუნკტურისა და ნიუ-იორკის ბირების დაბეჯითებითი წინასწარმეტყველობისა, რომ ბამბის ფასი 5 ცენტამდე დაიწევს,—ბამბის მწარმოებლებმა დაადგინეს, რომ 1904 წლის მოსავლიდან დარჩენილი ბამბა არ გაჰყიდონ 10 ცენტზე ნაკლებად. და შეკავშირების ძალა სხვათა შორის იმაში გამოიხატა, რომ ეს სამართლიანი დადგენილება მაღლ ცხოვრებაში გატარდა.

საზოგადოდ, ამ ძლიერი კავშირის მიზანია: ერთი—ურთიერთ შეთანხმებით და წინასწარი გამოანგარიშებით ბამბით იმოდენა სივრცეთა მოთესვა, რომელიც შეფარდებულია ბაზრის მოთხოვნილებასთან; მეორე—ბამბის ხელსაყრელ პირობებში განაღლება სპეციალიანტების დაუხმარებლივ; მესამე—მოსავლის პირველ ორ-სამ თვეს ბაზარზე გამოტანის და დიდიალ წინადადების გამო ფასების დაწევისათვის ხელის შეწყობის მაგიერ, მისი თანდათანობითი განაღლება მთელი წლის განმავლობაში და, ამნაირად, რეგულირაზაცია მოთხოვნილებისა და წინადადებისა და სხვ.

ამერიკაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სტატისტიკური ცნობების შექრებას, სადაც ეს საქმე ჩაბარებული აქვს მიწად-მოქმედების დეპარტამენტს. ზოგად ხაზებში დასახული მიზნები შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

1. მწარმოებელთა, შემსყიდველთა და მომზარებელთათვის მოსავლის ფაქტური იღენობის შეტყობინება;

2. ცენტრალურ ბაზრისათვის განსაზღვრულ ფასების დაწესებით მოთხოვნილების და წინადადების შორის წინასწორობის დამყარების საშუალების მიცემა;

3. არსებულ პირობებში რამე ცვლილების შეტანის დროს ფასების ხტომასთან შებრძოლება და რაც შეიძლება დამდგარებული ფასების უზრუნველყოფა;

4. უტყუარი და ვრცელი ცნობების გამოქვეყნება იმ მიზნით, რათა დაინტერესებულთ არ შეეძლოთ თავისითვის სასარგებლო, მხოლოდ საქმისთვის საზიანო ცნობებით გამოსვლა და მათი გავრცელება;

5. მწარმოებლებში უტყუარი ცნობების მიწოდებით ფასებზე წარმოდგენის აღმგრა და მათი გაფრთხილება არახელსაყრელ წინასწარ ხელ-შეკრულებისაგან და სხვ.

სტატისტიკურ ცნობებს აგროვებენ:

ა. სტატების სტატისტიკის აგენტები და მათი თანაშემწენა;

ბ. სპეციალური საველე აგენტები;

გ. მიწად-მოქმედების დეპარტამენტის აგენტი-კორესპოდენტები პროგნოზიაში;

დ. ასეთივე აგენტები ქალაქებში და სხვ.

მათ მიერ შეგროვილ მასალას შემდეგ ამჟავებენ სტატისტიკურ ბიუროში და ხშირ-ხშირად აქვეყნებენ ბიულეტენების და უწყებების სახით; მნიშვნელობა და ნაყოფი ასეთი მუშაობისა ყოველწლიური ეჭვს გარეშე უნდა იყოს...

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამერიკაში მეტად მოფიქრებულ და ყოველმხრივ შეწონილ ნაბიჯებს სდგამენ, რომლის შედეგად უნდა ჩაითვალოს ხალხის გონიეროვი დაწინაურება და მატერიალური უზრუნველყოფა და ამათთან დაკავშირებული სახელმწიფოს სიძლიერე და მისი ეკონომიკური ცხოვრების სიმტკიცე.

ჩვენს ახლად-შობილ სახელმწიფოს ამერიკის ცხოვრებიდან შეუძლია ბევრი რამ ამოკრიბოს და შეისწავლოს!..

ეხლა მოკლედ განვიხილოთ რუსეთის ბამბის წარმოება, სადაც საუცხოვო პირობებია ამ დარგის განვითარებისათვის, რასაკვირველია, აქ ჩვენ ვერ შევამჩნევთ ისეთ საოცარ წინმსვლელობას და წარმატებას, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანი განცვითურებაში მოსულიყო ამერიკის საბამბო წარმოების განხილვის დროს.

რუსეთის ბამბის წარმოებაში როგორც მოთესილ სივრცეთა, ისე მოწეულ ბამბის რაოდენობით უმთავრესი ადგილი უჭირავს შუა-აზიის ოლქებს.

შემდეგი ცხრილიდან დავინახავთ ამ ოლქებში ბამბიან სივრცეზარ რაოდენობას ⁴⁸⁾:

წლები.	ბამბით მოთესილი სივრცე დესეტინებში.			
	ფერგანის ოლქი.	სამარკანდის ოლქი.	ზაკასპიის ოლქი.	სირ-დარიის ოლქი.
1907	199.913	23.323	21.816	44.407
1908	168.725	20.643	30.190	23.776
1909	208.053	31.269	26.035	33.463
1910	235.891	25.224	28.328	35.675
1911	267.347	28.666	24.888	67.839
1912	255.566	27.074	28.369 ⁴⁹⁾	59.550 ⁴⁹⁾

1912 წელში შუა-აზიის მოსავალს ანგარიშობდნენ, დესეტინიდან 100 ფუთი ნედლი ბამბის გარაუდით, 13,707.000 ფუთ გაწმენდილ ბამბას; კავკასიის მოსავლის 1.310.000 ფუთის მიმატებით შესდგებოდა რუსეთის მთელი მოსავლის ჯამი, 15.017.000 ფუთი წმინდა ბამბა.

⁴⁸⁾ „Бюллетень Хлопкового Комитета“, № 1; მხოლოდ ცხრილი ვადამუშავდული მაქს.

⁴⁹⁾ ეს რიცხვები დაახლოვებითია და ცოტად შემცირებული, რადგან ერთი აღგრძნების მოსავალი მასში შესული არ არის ნამდვილი ცნობების უქონლობის გამო.

რუსეთის საფეიქრო მრეწველობას, რომელსაც, უნდა ითქვას, საკ-
მარტო ფართო ხასიათი ჰქონდა, არ ყოფნიდა თავისი ქვეყნის მოსავალი და
იძულებული იყო ნედლი მასალა უცხო ქვეყნებიდან შემოეტანა.

ამის სურათს შემდეგი ცხრილი გვაძლევს ⁵⁰⁾:

წლები.	რუსეთში მოხმა- რებულ ბამბის რა- ოდენობა.	უცხოეთიდან შე- მოტანილ ბამბის რაოდენობა.	რუსეთის მთელი მოსავალი.
1899	16.155.000	11.126.000	5.029.000
1900	16.918.000	10.280.000	6.638.000
1901	16.014.000	10.375.000	5.639.000
1902	15.763.000	10.866.000	4.897.000

1903 წელს რუსეთში შემოტანილი იყო უკვე 14.055.000 ფუთი ბა-
მბა 107.096.000 მანეთის ღირებულებისა ⁵¹⁾.

ამის წინა წლებში რუსეთში შემოზიდული იყო:

	1910—1911 ⁵²⁾ .	1911—1912 ⁵²⁾ .
ევროპის საზღვრებიდან	10.127.000	10.515.000
აზიის საზღვრებიდან	1.814.000	1.920.000
სულ სეზონში. . .	11,941.000	12,435.000

1910 წლის 1 იანვრიდან შემდეგი წლის 1 იანვრამდე შემოტანი-
ლი იყო 12.106.000 ფუთი, მხოლოდ 1911 წელს — 12.388.000 ფუთი ბამ-
ბა. ასე რომ, როდესაც 1911 წელს რუსეთის საფეიქრო ქარხნებმა გადა-
ამუშავეს სულ 24.254.000 ფუთი, აქედან ნახევარზე მეტი სწავა ქვეყნები-
დან შემოზიდულ ბამბას ხდა წილად.

ამნაირად, რუსეთი მშვიდობიანი დროის კურსით ას მილიონებს ხარ-
ჯავდა ბამბის საყიდლად და ასეთ ვასალურ დამოკიდებულებაში იყო უც-
ხოეთის, განსაკუთრებით ამერიკის ბაზრიდან მაშინ, როდესაც მას სრული
შესაძლებლობა ჰქონდა მცირე ხელის შეწყობით ბამბის წარმოების. უალ-
რესი განვითარებისა. მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სა-
ზინისტროსთან დაარსებულ კომისიის ანგარიშებიდან სჩანს, რომ სამარკანდის

⁵⁰⁾ С. А. Меликесь-Саркисянъ. „Хлопковое дѣло въ Ферганской об-
ласти и мѣры къ его упорядоченію.“

⁵¹⁾ Вл. Вильямсъ. „Руководство по товаровѣдѣнію“.

⁵²⁾ აქ წლები ითვლება 1 ენერისთვიდან შემდეგი წლის 1 ენერისთვემდე.

ოლქში მდ. სირ-დარიის მარცხენა ნაპირებზე ბამბისთვის გამოსადეგ ველს უჭირავს 1.800.000 დესეტინა სივრცე; ამავე მდინარის მარჯვენა ნაპირებზე—40.000 დეს.; ზერავშანის ველში—40.000 დეს.; სირ-დარიის ოლქის ტაშკენტის მაზრაში—22.000 დეს.; ფერგანის ოლქში გარდა იმისა, რაც ეხლა გამოყენებულია,—120.000 დეს. და სხვ. დესეტინაზე 100 ფუთი მოსავალი რომ ვიანგარიშოთ, გამოდის, რომ რუსეთს დამატებით შეუძლია მიიღოს რამდენიმე ასი მილიონი ფუთი ბამბა.

მაგრამ რუსეთს ამ საქმეში მთელი შესაძლებლობაც რომ არ ამოეწურა, ეს წარმოება სხვა სახელმწიფოთათვის ნედლი მასალის მიწოდებამდე არ განვითარებინა და მხოლოდ თავისი საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილება დაექმაყოფილებინა,—მაშინაც ხალხის ჯიბეში ჩარჩენილ ასი მილიონებით ის საგრძნობლად ასწევდა მის ეკონომიურ კეთილდღეობას, გაზრდიდა მწარმოებელთა ყიდვითი უნარს და, ამნაირად, საერთო მრეწველობის განვითარებას ხელს შეუწყობდა. მაგრამ სინამდვილეში რამდენად არა-მჭიდრო ნიადაგზე იყო დაყენებული რუსეთში ბამბის წარმოება იქედან სჩანს, რომ, როდესაც ჩინეთის ომისაგან გამოწვეულ ბაჟის, ერთ-მანეთიან წამატების მოხსნა განიზრახეს შემდეგში, საშინელი ხმაურობა ატყდა და შიშიანობა შეიქნა ადგილობრივ ბამბის წარმოების მოსალოდნები დაქვეითების გამო.

საჭიროა ალინიშნოს, რომ რუსეთში მეოცე საუკუნის დასაწყისიდან თანდათან შეიგნეს ბამბის წარმოების ადგილობრივ განვითარების საჭიროება; ეს შეგნება გამოიწვია ამერიკაში გადადგმულ ნაბიჯებმა საუთარი საფეიქრო მრეწველობის შექმნის საქმეში და ბამბის ადგილობრივ გადამუშავების განზრახვამ.

მთავრობამ ამ დარგისადმი ხელის შეწყობის განზრახვით შეღავათიანი გადასახადები დააწესა ბამბიან ადგილებზე და ამჟრიკის ბამბაზე ბაჟი გაადიდა; ამ უკანასკნელ გარემოებამ თუმცალა ადგილობრივ ბამბაზე ფასები ასწია და მწარმოებელთა შემოსავალი გაზარდა, მაგრამ ამასთანავე ბამბის წარმოებასთან სრულიად დაუკავშირებელი ელემენტები—ჩითების და სხვა ბამბეულობის გამსალებელი, სახელმწიფოს ულარიბესი მომემარებელნი, —ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა.

შუა-აზიის რკინი-გზის გაყვანამ ბამბის გადასაზიდი ფასი შეამცირა, ხორბლეულობის მოზიდვა რამოდენიმედ გააიაფა და გაადვილა და, ამნაირად, თურქესტანის ოლქში ამ წარმოების განვითარებას ხელი შეუწყო; აქა-იქ იქნა გაყვანილი სარწყავი არხებიც, მაგრამ არა იმ ზომისადარით (მასშტაბით), როგორიც საჭირო და შესაძლებელი იყო...

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთში ბამბის წარმოების დასაწინაურებლად თითქოს რაღაც კეთდებოდა, მაგრამ მეტად მკრთალად. აქ მისი ნორმალურ განვითარებისათვის საჭირო ლონისძიებებად ითვლებოდა:

1. მორწყვა ახალ, ამ უამაღ ცარიელ, ადგილების.

ის, თუ რამდენი ადგილებია მოსარწყავი, შემოკლებით ზევით აღვნიშნეთ; მხოლოდ იმაში, თუ რამდენად ცუდად იყო დაყენებული ეს საქმე, შეგვიძლია თუნდაც ერთი მაგალითიდან დავრწმუნდეთ: ანდიუანის მაზრაში უჩ-ყურგანის ველის გეგმარი დიდიხნის დამტკიცებული; თანხა გადადებული და სამუშაოს საქმაო ნაწილი გაკეთებული იყო, როდესაც ადგილო-

ბრივ მკეიდრთა გასაოცრად მუშაობა ერთბაშად შეწყდა; მიზეზი აღმოჩნდა შეტყობა იმის, რომ ეს საჩრწყავი ადგილები სახელმწიფო ქონებას არ შეადგენდა და აქაურ მკეიდრთ ეკუთვნიდა. ს. მელიქ-სარქისიანის გამოანგარიშებით ეს ადგილები, რომელიც დაუბეგრავი იყო, სახელმწიფოს მისცემდა შევიდობიან დროში 56.000 მანეთის წლიურ შემოსავალს მიწის ლალის სახით და, ვინაიდან მთელი მუშაობის შესრულება სულ 176.000 მანეთს მოითხოვდა, სამი წლის განმავლობაში ხარჯები სახელმწიფოს გასტუმრებული იქნებოდა; შემდეგისთვის კი სახელმწიფოს დარჩებოდა როგორც შემოსავალი გადასახადისაგან, ისე წარმოების განვითარება და მცხოვრებთა ნივთიერი მოლონიერება.

2. პირველ საჭიროების საგნების და უმთავრესად ხორბლეულობის გაიაფება.

შემაერთებელ რეინი-გზების და საბორბლო გზების უქონლობის გამო სემირეჩინის ოლქში ხორბალი 40—45 კა. ფასობდა ფუთი მაშინ, როდესაც ფერგანის ოლქში მისი ფასი 1 მან. 40 კა. ⁵⁸⁾ აღწევდა; უგზოობის და აგრეთვე იმის გამო, რომ გადასავალი საულელტეხილო გზა ნახევარი წლის განმავლობაში შეკრული იყო, სიძნელეს წარმოადგენს როგორც ხორბლეულობის გადმოზიდვა, ისე საქონლის გადმორეკა. მაშასადამე, პირველ საჭიროების საგნების გასაიაფებლად და ბამბის მრეწველობისთვის ხელი შესაწყობად აუცილებელ საქმეს წარმოადგენდა საჭირო გზების გაყვანა.

3. წვრილი კრედიტის ორგანიზაცია.

მუშაობის დაწყების წინ ბამბის მწარმოებელს ესაჭიროება ფული თესლის, ხშირად საქონლის და სხვა საჭირო საგნების საყიდლად და აგრეთვე მუშაობის საწარმოებლად; საჭირო თანხას მათ სიამოვნებით აძლევენ ჩარჩები, რომელთა კლანჭებიდან დაძრომა შემდეგში თითქმის შეუძლებელი ხდება. სახელმწიფოს მიერ საჭირო დაბმარებით და კრედიტის რიგიან პირობებში მოწყობით საგრძნობლად დაწინაურდებოდა ბამბის წარმოების საქმე.

4. ქვა-ნახშირის დამუშავება.

რაღაც თურქესტანის ოლქში საჭიროადოდ და ფერგანში კერძოდ ტყეების ნაკლებობაა, ამიტომ სათბობ მასალად ბამბის-საწმენდ ქარხნებში და მცხოვრებიც ბამბის კურკას ხმარობენ; მარტო ფერგანში იხარჯება ამ მიზნით 1.000.000 ფუთი თესლი; მისგან ზეთსახდელ ქარხნებში გადამუშავების შემდეგ შეიძლებოდა მიგველო: 150.000 ფუთი ზეთი, რომელიც როგორც მეოჯახეობაში, ისე ტეხნიკაში მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს; 600.000 ფუთი ჩენხი, რომელიც სათბობ მასალად არის გამოსადეგი; 250.000 ფუთი წეწონი, რომელიც საქონლისთვის საუცხოვო საჭმელ მასალად ითვლება და 7.500 ფუთი ბოჭკო ხაოიანი ნაქსოვის დასამზადებლად. ამნაირად, ადგილობრივ ქვა-ნახშირის დამუშავებისთვის ხელის შეკიდების შემდეგ მარტო ფერგანში შეიძლება გაკეთდეს ეკონომია ბამბის თესლზე მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებისა.

5. ბამბის თესლის უტილიზაცია.

როგორც ზევით მოვიხსნიერ, ეს თესლი თითქმის ტყუილად იკარ-

⁵⁸⁾ ფასები, რასაკეირეგლია, მშვიდობიანობის დროიდან არის აღებული.

გება მაშინ, როდესაც აქ მოპოვებულ 6.000.000 ფუთ თესლს შეუძლია მოვცეს სულ მცირე:

ა.	900.000	ფუთი ზეთი	4.320.000	მან. ლირებულებისა
ბ.	45.000	" ბოჭკო	315.000	" "
გ.	2.022.000	" წეწონი	606.000	" "
დ.	3.033.000	" ჩენხო	454.950	" "
		სულ	5.696.550	" "

6. ბამბის გაყიდვის მოწესრიგება.

ფირმების აგენტები და ბამბის შემსყიდველები მწარმოებლებს ფულს აძლევენ ბედ მოსავლის ანგარიშში; სამაგიეროდ მწარმოებელი ვალდებულია ჩააბაროს ბამბა სეზონის დასაწყისში, როდესაც ნორმალური ფასები ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის და მაშინაც ფას-დაკლებით. თუ თვით მწარმოებელმა იმოდენა ბამბა ვერ მოიწია, რამდენზედაც გარიგებული იყო, ის ვალდებული ხდება სხვებისაგან შეისყიდოს, რასაკირველია, უფრო მეტი ფასებში; ზოგ მწარმოებლებს ბეს მიცემის დროს წინასწარ განსაზღვრულ ფასებში ურიგდებიან და ეს ფასები უშეტეს შემთხვევაში მაშანდის ნახევარსაც არ შეადგენს. ერთი სიტყვით, ამ ნიადაგზე ხდება დიდძალი ბოროტმოქმედება და ყოველ შემთხვევაში მომუშავე-მწარმოებელთა საშინელი ექსპლოატაცია.

7. საცდელ მინდვრების მოწყობა და მცხოვრებთათვის აგრძნომიული დახმარების აღმოჩენა.

თურქესტანის მხარეში არ არიან გაცნობილნი მიწის დამუშავების საუკეთესო პირობებთან და გაუმჯობესებულ იარაღებთან და მუშაობენ ძველი ტრადიციებით, სრულიად უანალიზოდ და უკრიტიკოდ. მაგალითად:

ა. მაშინ, როდესაც სარწყავ წყლების ეკონომიური და ზომიერი მოხმარება ბამბის სივრცეთა გაფართოვებას გამოიწვევდა და რიგიან მოსავალსაც ხელს შეუწყობდა, ადგილობრივი მკვიდრნი ბამბის-მცენარეს ოთხის მაგიერ ექვსჯერ და ხანდისხან ათჯერ რწყავენ, რითაც იწვევენ როგორც წყლების განიავებას, ისე მოსავლის დაზარალებას.

ბ. თურქესტანის ნიადაგს მეტი ნაყოფიერების და აგრძელვე მავნე ბალახებთან ბრძოლის გაადვილების მიზნით ლრმა დახნა ესაჭიროება მაშინ, როდესაც აქაური მცხოვრებნი მიწას ზეგიდან ფხაჭნიან და სხვა უარყოფით შედეგებთან ერთად ნიადაგის ფიზიკურ თვისებებსაც აქვეითებენ.

გ. ნიადაგის გასაპოხიერებლად საქონლის პატივი საკმაოდ არ მოჰკვება, ამასთანავე ძვირი ჯდება და ადგილობრივი მცხოვრებნი შორი-მანძილიდან ეზიდებიან ნეშარ-მიწას მაშინ, როდესაც ფერგანი საოცრად მდიდარია გვარჯილიანი მიწებით, რომლითაც აქ თითქმის სრულიად არ სარგებლობენ.

დ. ადგილობრივი მწარმოებელნი არ აქცევენ არავითარ ყურადღებას თესლის ლირსება-ნაკლულევანებას და ერთგვარობას, არ იცნობენ თესლის-შეცვლის და სასოფლო-მეურნეობის სხვა რაციონალურ წესებს, არ აკეთებენ არავითარ ცდას ამა თუ იმ ჯიშის. უპირატესობის გამოსარკვევად მაშინ, როდესაც ყოველივე ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ბამბის წარმოების საქმეში და სხვა და სხვა.

ყოველიავე ზემონათქვამის შემდეგ საკვირველი არ უნდა იყოს, თუ შედეგები არ არის მიღებული ისეთი, როგორიც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო რუსეთის ბუნებრივი პირობების და ამ დარგში მისი შესაძლებლობის გაცნობის დროს.

ჩრდილო-ამერიკის და რუსეთის ბამბის წარმოების მოქლე განხილვის შემდეგ აღარ შევეხები სხვა ქვეყნებს, რომელნიც ზევით იყვნენ მოხსენებულნი და რომელთაც ბამბის წარმოებაში საქამაოდ მნიშვნელოვანი აღგილი უჭირავთ, და შეუდგები ჩვენში ამ დარგის განვითარების საკითხის გარჩევას.

როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, საქართველოში ბამბას დიდი ხანია გაეცვნეს. როგორც ჩვენში, ისე ამერ-კავკასიის სხვა ადგილებში წინედ თვითოული გლეხი, თუ ნიადაგი და ჰავა ამის საშუალებას იძლეოდა, აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა თავის ოჯახის საჭიროებისათვის მოეთესა ბამბით მიწის თუნდაც პატარა ნაჭერი და ამნაირად „თვითოული გლეხი იცვამდა თავისივე ოჯახის წევრთა ხელებით და საკუთარი ბამბით შოქსოვილ ტანთსაცმელს“⁵⁴⁾. კველა ჩვენებანსაც ალბად სმენია, რომ ჩვენი წინაპრები თჯახური წესით დამზადებულ ხამის საცვლებს და ბამბისა-გან მოქსოვილ ტანთსაცმელს ატარებდნენ.

მაგრამ შემდეგში ბამბის წარმოება თანდათან დაეცა და ზოგიერთ ადგილებში სავსებით ჩაკვდა. ამის მიზეზად ზოგნი ასახელებენ. ბამბის მცირე მოსავალს და მასთან დაკავშირებულ მცირე შემოსავალს მასზე დახარჯულ შრომასთან შედარებით, ზოგნი შემოზიდულ ჩითეულობის და სხვა ბამბის ქსოვილების მეტოქეობას, ხორბლეულობის გაძვირებას და სხვ. მაგრამ საერთოდ ეს საკითხი ჯერ-ჯერობით სათანადოდ შესწავლული და გამოკვლეული არ არის.

ასეა თუ ისე, ბამბის წარმოება დაქვეითების გზაზე დადგა და ცოტა გამოცოცხლება დაეტყო მხოლოდ მე-40 წლებში, როდესაც მეტის მოადგილეს ვორონცოვის ინიციატივით ბამბის თესლის შემოტანა დაიწყეს ამერიკიდან და ეგვიპტელან. თუმცალა მიღებული თესლი ჩვენი ჰავისთვის. შეუგუებელი აღმოჩნდა და დიდი ხნის განმავლობაში ხალხი უარყოფით ეპყრობოდა უცხოეთის თესლის ჯიშებს, რამაც ბამბის წარმოების განვითარებაში ერთგვარი შემაფერხებელი როლი ითამაშა, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მე-40 წლებმა ამერ-კავკასიის და კერძოდ საქართველოს მებამბეობის ისტორიაში მაინც დააჩინეს ერთგვარი კვალი; საქმარისია აღვინშნოთ, რომ ბევრ რაიონებში ხწორედ ამ ღროიდან შეუდგენებამბის კულტურას.⁵⁵⁾

ამნაირად, მე-40 წლებში ბამბის წარმოებას ცოტა წინსვლა დაეტყო, მაგრამ მაინც მე-50 წლების ბოლოში მთელ ამერ-კავკასიაში მოწეული ბამბის რაოდენობა არ აღემატებოდა 36.000—40.000 ფუთს, რომლიდანაც 75—85% ე. ი 30.000 ფუთი ერევნის გუბერნიის წილზე მოდიოდა⁵⁶⁾.

⁵⁴⁾ „Обзоръ производительныхъ силъ Кавказскаго Намѣстничества за 1879 г.“

⁵⁵⁾ П. Петровичъ, „Хлопководство въ Закавказье (по даннымъ анкеты 1912 г.)“

⁵⁶⁾ И. Хатисовъ, „О развитіи культуры и торговли хлопкомъ въ Закавказскомъ краѣ.“

აღმინისტრაციის მოლვაწეობაზე გაცილებით დიდი როლი მებამბეობის განვითარების საქმეში ითამაშეს მე-60 წლების დასაწყისში მომხდარ ამბებმა, ჩრდილო-ამერიკაში ამტყდარ ომმა, რომელმაც ეგრედწოდებული „საბამბო შიმშილი“ გამოიწვია. ევროპის ბაზარზე ამერიკის ბამბის მიწოდება საკებებით შეტყდა და საკირველი არ არის, თუ ფასებმა საოცარი ნახტომები გააკეთა; ასე 1861 წლის ბოლოში და 1862 წლის დასაწყისში ლივერპულში, მაგალითად, ფუთი ბამბა 18—20 მანეთად იყიდებოდა. თვით ამერიკაში, სადაც ომამდის, 1859—1860 წელს, გირვანქა ბამბის ფასი 31,37 კაპ. არ ასცილებია, ომის დროს. შემდეგი ფასები დაწესდა.

1861—1862 წელში 60,80 კაპ.

1862—1863 " 130,58 "

1863—1864 " 197,21 "

1864—1865 " 162,01 " ⁵⁷⁾

პირველ ხანებში რუსეთის საფეიქრო მრეწველობამ ამ „შიმშილს“ და მდგომარეობას ანგარიში არ გაუწია უმთავრესად იმიტომ, რომ ბატონ-ყმობის მოსპობის და უფასო ან ნახევრად-უფასო მუშა-ხელის დაკარგვის გამო ის ისედაც კრიზისს განიცდიდა. მაგრამ, როდესაც 1863 წლისთვის ცენტრალურ გუბერნიებში 57 სართველების მაგიერ—35 და 659 საფეიქრო ქარხნების ნაცვლად მხოლოდ 338 დარჩა, რამაც მრეწველობის საშინელი დაცემა გამოიწვია, იძულებული შეიქნენ ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექციათ.

კახეთში 1862 წლის დასაწყისში ფუთი ბამბა ფასობდა 3—3 მ. 50 კ.; წლის ბოლოში კი 19 მან. 50 კაპ.—20 მან.; იმერეთში, სადაც მექანიზებულება მოწმობით ბამბა თავის ლირსებით არ ჩამოუვარდებოდა ამერიკის New-Orleans-ს, 4—5 მანეთიდან ფასებმა 20—22 მანეთიმდე აიწია.

1862 წლის ბოლოში ამერ-კავკასიიდან სტამბოლში გატანილი იყო ბამბის პირველი პარტია, დაახლოებით 6.000 ფუთი, რომელიც გაყიდული იყო ი. ხატისოვის ცნობით „ძალიან დიდის მოგებით, და ამის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ჩაება ევროპის საბამბო ვაჭრობის ფერხულში“.

ასეთი საზღაპრო ფასების და თანდათან გაზრდილ მოთხოვნილების გამო ხალხი გულმოდგინედ შეუდგა ბამბის პლანტაციების გაფართოვებას ხორბლეულობის ხარჯზე, ხშირად ტყეების გაჩერებას და დიდალი ბამბის მოწევისათვის ყოველნაირ ცდას და ლონისძიებას. ქუთაისის გუბერნიაში დაიწყეს მისი თესვა ყოველგვარ ნიადაგზე—„ქვიშნარზე; თიხნარზე და ხანდისხან სილაზედაც... ბამბის ჯეჯილებს ნახავდით როგორც ბარში; ისე განურჩევლად სამხრეთით, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით დაქანებულ მთის ფერდობებზე“, სწერდა ამის შესახებ ი. ხატისოვი 1865 წელს.

ამის გამო იმერეთში, სადაც ამ ხელის-შემწყობ გარემოებამდის მოდიოდა მხოლოდ 3.000 ფუთი ბამბა, 1863 წელს მოსავალმა 10.000 ფუთად მდე აიწია და შემდეგ წლებში კი 50.000 ფუთს მიაღწია. ⁵⁸⁾

მაგრამ ამერიკის ომის ლიკვიდაციის შემდეგ ბამბის წარმოება ჩეენში, სამწუხაროდ, საშინალად დაეცა. ამის მიზეზები უნდა ვეძებოდ იმდენად

⁵⁷⁾ Проф. Бэркеттъ. „Хлопокъ“.

⁵⁸⁾ Гулишамбировъ. „Обзоръ фабрикъ и заводовъ Тифлисской губ.“

არა ფასების დაწევაში, ვინაიდან უფრო ნაკლებ ფასებმა მე-80 წლების ბოლოში და მე-90 წლების დასაჭყისში ხელი არ შეუშალეს ბამბის წარმოქმნის აღორძინებას, არამედ უფრო აუიოტაუში, სპეცულიაციაში, ყიდვა-გაყიდვის დროს მოტყუილებაში, ფალსიფიკაციაში და სხვა უარყოფითი და არა-ნორმალურ პირობებში. რასაკეირველია, აქ მცირე როლი არ უთამაშნია მცენარის არა-რაციონალურ კულტურას, თესლის უვარგისობას, მცხოვრებთა საზოგადო გაუნათლებლობას, უვიცობას და სხვ.

ამის შესახებ აი რას ამბობს კავკასიაში აესტრიიდან სპეციალურად ჩამოსული პახერ ფონ-ტეინბურგი⁵⁹⁾. „ შემიძლია დანამდვილებით ვსოქვა, რომ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში მოწეულ ბამბამ ბაზარზე არა თუ ვერ მოიპოვა ის მდგომარეობა, რომლისაც ღირსი იყო ის შედარებით სხვა ქვეყნების ნაწარმოებთან, არამედ იმ მცირე ხნის განმავლობაში, როდესაც ბამბა საგარეო ვაჭრობის საგნად გადიქცა, შეიქმნა კიდევ უფრო ცუდი პირობები: მდგომარეობა გაუმჯობესების მაგიერ გაუარესდა „...“.

ძირითად მიზეზებად ამ არა-ნორმალურ მდგომარეობის შექმნაში ავტორი სთვლის დამუშავების უვარგის წესებს, თესლის მდარე ღირსებას, პლანტაციების ცუდ მოვლას, ბამბის აღმაშევოთებელ გაწმენდას და კიდევ უფრო აღმაშევოთებელ განაღლებას ბაზარზე და სხვ.

„სახელწოდება ხშირად არ უდრის წარმოების ადგილს, არ ექვემდებარება არავითარ კლასიფიკაციას ან ეწინააღმდეგება ბამბის ნამდვილ ღირსებას, თვით საქონლის ვარგისობა მეტად საეჭვო ხდება, რადგან სხვადასხვა ხარისხები ერთმანეთში არეული არიან და აღებულ ნიმუშით არ შეეგილიათ სწორი წარმოდგენის შედეგნა“. ბამბა არ იწმინდება დაახლოვებით მაინც ისე, როგორც რიგი და წესია, და უცხოეთიდან ჩამოსულ მკვლევარის უნახავს ქუთაისში თითქოს გაწმენდილი „საუცხოვო ბამბა“, რომელიც გაუწმენდელისაგან მით განიჩრეოდა, რომ სათესლე მარცვლები მასში გაჰყულებული იყო; და ასეთი „ბარბაროსობის“ გამო თავის-თავად მშვენიერი ნაწარმი ჰკარგავდა ღირებულებას $40-50\%$ -ით. გამყიდველი მწარმოებელი ცდილობდა ყოველნაირად შემსყიდველის მოტყუილებას, რომელიც თავის მხრივ წონაში უსირცხვილოდ აკლებდა და ყოველივე ღონეს ხმარობდა საქონლის იაფად ხელში ჩაგდების მიზნით; ბამბას ასველებდნენ, ურევდნენ ზოგიერთ ადგილებში ბრინჯის მტვერს და მარილს, ზევით ათავსებდნენ კარგ ბამბას, შუაში—ცუდი ღირსებისას,—და ამ სახით ღებულობდნენ საქონელს საფეიქრო ქარხნები. მოგებაში რჩებოდა შუამავლები, წვრილი და მსხვილი შემსყიდველები, დაზარალებული გამოღიოდა საფეიქრო მრეწველობა და გლეხი-მწარმოებელი. და პახერ ფონ-ტეინბურგი წინასწარმეტყველობდა, რომ, თუ დაუყონებლივ არ იქნა მიღებული სათანადო ზომები შექმნილ მეტად არა-ნორმალურ პირობების გამოსასწორებლად, ბამბის წარმოებას აუცილებლად „კრახი“ მოელისო. და მართლაც, მე-70 წლების მეორე ნახევარში და მე-80-ს პირველ ნახევარში ეს წარმოება ამიერ-კავკასიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ მეტად ჩამოქვეითდა.

⁵⁹⁾ Пахеръ фонъ-Тейнбургъ. „Хлопчатобумажное производство за Кавказомъ.“

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ ხანამ ჩვენს სა-
სოფლო მეურნეობაში საერთოდ წარუშლელი კვალი დასტოვა, ვინაიდან სპე-
კულიაციასთან, ურთიერთ მოტყუილებასთან და სხვა უარყოფითი მხარეებთან
მას ბევრი კარგი მხარეებიც თან ახლდა. ერთი ის, რომ ამ ხანამ დამტკიცა
ჩვენში ბამბის კულტურის შესაძლებლობა ძალიან ფართო ზომისადარით (მას-
შტაბით); მეორე, უფრო რიგიანად, ვიღრე წინედ, გააცნო მწარმოებლებს
ამერიკული ბამბის თესლი; მესამე, გააცნო ხალხს სამრეწველო მცენარის
წარმოების საჭიროება და სარგებლიანობა მაშინ, როდესაც წინედ ის უმე-
ტესად მხოლოდ საშინაო მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ საგნად ით-
ვლებოდა ⁶⁰⁾.

ამ ეპოქის ზედგავლენით ბამბის წარმოებას აქა-იქ დაუწყეს ყურება.
არა როგორც შემთხვევითი და სასხვათა შორის საქმეს, არამედ როგორც
დიდმნიშვნელოვანს და პირველხარისხოვანს. მაგრამ ასე თუ ისე შემდეგში.
მებამბეობამ სამრეწველო ხასიათი მიიღო მხოლოდ მე-80 წლების ბოლო-
დან, როდესაც სცენაზე გამოჩდნენ მსხვილი საფეიქრო ფირმების წარმო-
მადგენელნი მოსკოვიდან, ივანოვო-ვოჭნესენსკიდან, ლომიდან და სხვა
ადგილებიდან. ყველა ესენი თანასწორ საქმიანობას არ ეწეოდნენ, მაგრამ
საერთოდ ბამბის წარმოების განვითარების საქმეში დადებითი როლს თა-
მაშობდნენ, ვინაიდან ამერიკული ჯიშის საცდელ პლანტაციებს აწყობდ-
ნენ, ხანდასხან თესლს უფასოდ არიგებდნენ, ადგილობრივი მებამბეობის
განვითარების პირობებს სწავლობდნენ, აცნობდნენ ხალხს ბამბის რა-
ციონალურ კულტურას, მის რიგიან გაწმენდას, შეფუთვას და სხვ. ⁶¹⁾

ასეთ საქმიანობისაგან გამოწვეულ ყოველივე ხარჯს ფირმები ეწე-
ოდნენ, რასაკირველია, არა იმიტომ, რომ მათ თავის-თავად ძალიან აინ-
ტერესებდათ სამშობლოში საბამბო წარმოების განვითარება, არამედ უმთავ-
რესად იაფასიან. ბოჭკოს მონახვის განზრახვით, რომელიც შეიძლებოდა
მიღებულ ყოფილოყო მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებში, რაღაც უცხოე-
თქს საქონელზე ბაჟი თანდათან მატულობდა...

ეხლა გავეცნოთ, ბამბის წარმოების მდგომარეობას ჩვენში უკანასკნე-
ლი ხნის განმავლობაში. წინედ გვქონდა აღნიშნული, რომ მებამბეობამ ამ
15—20 წლის წინ დაიწყო განვითარება ყარაიაზში და ბორჩალოს მაზრა-
ში მდ. ხრამის მიდამოებში. აღმინისტრაციის ცნობებით 1911 წელს ტბი-
ლისის გუბერნიაში ბამბის ნახევებს ეჭირა სივრცე 2,529 დესეტინა, რომ-
ლიდანაც 479 დეს. ტბილისის და 2,050 ბორჩალოს მაზრაზე მიღიოდა.

ინსტრუქტორ ი. ზევლის ცნობებით ბორჩალოს მაზრაში ბამბის ნა-
თესის სივრცე უდრიდა: ⁶²⁾

1909 წელს	400 დეს.
1910 "	1.100 "
1911 "	4.000 "

⁶⁰⁾ П. Петровичъ. „Хлопководство въ Закавказьѣ“.

⁶¹⁾ „Кавказскій календарь за 1913 г.“.

⁶²⁾ Труды съѣзда хлопководовъ въ гор. Тифлисъ 1—6 ноября 1912 г.
С. Тимофеевъ. „Статистика хлопководства въ Закавказскомъ краѣ за
1910—1911 г.г.“.

ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორის ცნობებით 1912 წელში ბამბით მოთვ-
სილი იყო სულ 2.340 დღეს.⁶⁸⁾

ყარაიაზის ჰავა, ნიადაგი და საერთოდ პირობები ბამბის წარმოები-
სათვის საქმაოდ დამაკმაყოფილებელია. გაზაფხული მშრალი და ქარიანია;
ზაფხულის პირველ ნახევარში წვიმები უფრო ხშირია, ვიდრე გაზაფხულზე,
მეორე ნახევარი—მშრალი და სიცხიანია; შემოდგომა დასაწყისში მშრალი,
წყნარი და თბილია, მიწურულში კი—ქარიანი, ცივი და შედარებით ნოტიო.
ბამბის მეურნეობა მეტად პირიტიული და არა-რაციონალური წესით წარ-
მოებს. მიწის დამუშავება ხდება გუთნით, უმთავრესად გაზაფხულზე; თესვა
შემოდგებულია მობნევით და თესლის ლირსება-ნაკლულევანებას დიდი ყუ-
რადლება მიქცეული არ აქვს; მოვლა მდგომარეობს ყანის გათოხნაში და
მორწყაში, რომლის რიცხვი ორიდან ექვსამდე იცვლება; ნიადაგის გაპო-
ზიერება მიღებული არ არის...

ბორჩალოს მაზრაშიც მიწის დამუშავება ხდება ერთხელ, გაზაფხულ-
ზე 3—4 ვერშოვის სილრმით; და მხოლოდ მანთაშევის და არამიანცის მამუ-
ლებში ხვა წარმოებდა ტრაქტორებით შემოდგომაზე, ზამთარში და გა-
ზაფხულზე; რწყავენ 2—3-ჯერ; ფარცხვენ ხშირად ორჯელ; ნიადაგის გა-
პოზიერებას ჯერ-ჯერობით არც აქვს ადგილი.

ბამბის თესვა ხდება 10 აპრილიდან მაისის შუამდე, მოკრეფა—ენკე-
ნისთვის შუა რიცხვებიდან.

ყარაიაზის რაიონში ბამბას არ ახარისხებენ, პირიქით ცდილობენ უკა-
ნასკნელი დროის ნაკრეფი, მდარე ლირსების ბამბა, კარგს შეურიონ. ბორჩა-
ლოს მაზრაშიც ცოტად თუ ბევრად წესიერ დახარისხებას აწარმოებენ მხო-
ლოდ მემამულენი და შეძლებული გლეხები; წვრილი მწარმოებელნი კი პირ-
ველსა და მეორე ნაკრეფს მესამეში ურევენ, ვინაიდან ამ უკანასკნელს მყიდვე-
ლები ან სულ არ ყიდულობენ ან იძლევიან მეტად დაბალ ფასებს. რასაკვი-
რველია, ბამბის სხვადასხვა ხარისხის ასე ერთმანეთში არევა უარყოფით
და საჭმისთვის საზიანო მოვლენას წარმოადგენს... საბამბო რაიონებში წვრი-
ლი კრედიტის დაწესებულებანი არ არსებობენ, სახელმწიფო მწარმოებ-
ლებს საჭიროების დროს დახმარებას ვერ უწევს და ამიტომ დიდი გასავა-
ლი აქვთ ჩარჩ-გაჭრებს, რომელნიც ავანსების შემწეობით მათ უმოწყალოდ
ტყავს აძრობენ...

მებამბეობის შემოსავლიანობას ტფილისის გუბერნიაში შემდეგი ცხრი-
ლიდან დავინახავთ ⁶⁹⁾:

რაიონი.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	საერთო შემოსავალი მანეთებში.	გასავალი მანეთებში.	წმინდა შე- მოსავალი მანეთებში.
ყარაიაზი	60	192	80—140	52—112
ბორჩალოს მაზრა .	50	160	80—100	60— 80.

მთავარი საქართვო ინსპექტორის ცნობებით ტფილისის გუბერნიაში
სულ არის 7 ბამბის-საწმენდი ქარხანა, რომლიდანაც ნამდვილ ქარხანას
წარმოადგენს მხოლოდ 4:

⁶⁸⁾ სტატისტიკური ცნობების შეკრეფის საქმე ძალიან ცუდად იყო მოწყობილი და
შეიტომ სხვა-და-სხვა წყაროებიდან მიღებული ცნობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

⁶⁹⁾ С. Тимофеевъ. „Статистика хлопководства“.

ყარაიაზში	1	ქარხანა ორი „ჯინით“ და წნევები;
ტფილისში	2	წნევებით და
ბორჩალოს მაზრაში	1	წნევით.

ამის გარდა უკანასკნელ დროს ააგეს ტფილისში მესამე ქარხანა; მცირე ქარხნების ან უკეთ „ჯინები“ მოწყობლი არიან კიდევ ზოგიერთ მა-მულებში. მაგრამ ეს ქარხნები ვერ ასწრებენ მთელი მიღებულ ბამბის გაწმენ-დას და დაახლოვებით ნახევარი მოსავალი აქედან გაუწმენდელი იგზვნება. მაშასადამე, ჩვენ არა თუ ვერ ვახერხებთ ბამბისაგან ქსოვილების დამზა-დებას, არამედ გაწმენდასაც კი...

საერთო მოსავალს ტფილისის გუბერნიაში ს. ტიმოფეევის ანგარი-შით, რომელსაც შეკრებილ სტატისტიკურ ცნობებში საჭირო შესწორებანზ შეაქვს, მივიღებთ შემდეგ ცხრილიდან.⁶⁵⁾:

წლები	ბამბით მოთე-სილი სიერტი დასერტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
1909	521	15	7.815.
1910	1.579	17	26.843.
1911	5.040	13,5	68.040

ზაქათალის ოლქის ოლქის უფროსის ცნობებით 1911 წელს იყო მოთესილი დაახლოვებით 22 დესეტინა 160 ფუთის მოსავლით.

რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიას, მებამბეობის უმთავრეს ცენტრე-ბად აქ ითვლებიან ქუთაისის და სენაკის მაზრები; ბამბის მეურნეობას უფ-რო ნაკლებად ეტანებიან შორაპნის, ზუგდიდის და ოზურგეთის მაზრებში; მებამბეობის უმთავრეს კუნძრებად ითვლებიან: ფარცხანაყანევი, ინაშაური, მალლაკი, ეწერი, ჯიხაიში, ტობანიერი, ვანი, სიმონეთი, აბაშა, ზოგრეთი, კოკი, ნიგოითი და სხვ.

დამახასიათებელი განსაკუთრებულება. აქაური მებამბეობისა იმაში მდგომარეობს, რომ ბამბას აქ სთესვენ მიწის მცირე ნაკრებზე და მხო-ლოდ იშვიათ შემთხვევაში ბამბიან-ადგილების სივრცე 1,5—2 ქლევან-ალწებს.

ზემოდასახელებულ რაიონებში თბილი და კოტითი ნოტით ჰავა არის; ტემპერატურა იშვიათად იწევს—10-მდე, უკანასკნელი გაზაფხულის წაყინვა მხოლოდ ხანდისხან აღწევს მარტის ბოლოს და პირველი შემოდ-გომის ყინვები—შეუ რქეტობებრს. აღსანიშნავია, რომ სხვა-და-სხვა წლებში ამინდების სიავ-კრებები ერთგვარობა არ არის დაცული და ხანდისხან ყა-ნები, მაგალითად, გვალვისავან იტანჯებიან, ხანდისხან კი შემოდგომაზე ხშირი წვიმების და სიცივების გამო ბამბა დამწიფებას ვერ ასწრებს; და ამის გამო მოსავალი ქუთაისის გუბერნიაში ყოველთვის ერთნაირი არ

⁶⁵⁾ ცხრილში გაწმენდილი ბამბის ოდენობაა მოყვანილი, რომელიც დაახლოვებით გაუწმენდელის 30% შეადგენს.

არის. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ პირობები აქ ბამბის მეურნეობისათვის საქმაოდ დამაკმაყოფილებელია და მცირე ხელის-შეწყობით შეიძლება კარგი ნაკოფი მოიტანოს.

ქუთაისის გუბერნიაში სთესვენ ეგვიპტეს ჯიშის რამოდენიმედ გადასხვაფერებულ თესლს, რომელიც ამერიკულ ჯიშე ადრე მწიფდება და დამწიფებული კარგი ლირსების ბამბას იძლევა. მხოლოდ აქაური ბამბა დაუხარისხებლობის და ბოლონდელ ნაკრეფებთან შერევის გამო ლირებულებას საგრძნობლად ჰყარგავს.

ბამბის კულტურას აქაც პრიმიტიული ხასიათი აქვს; ბამბას და სიმინდას უმეტეს შემთხვევაში მორიგეობით ბორესვენ ან ორივეს ერთად; დახვნას ეწევიან გაზაფხულზე ადგილობრივი სახნისით, რომელიც ზეადაგს აფხვიერებს მხოლოდ ორი ვერშოკის სიღრმით; ყანებზე ნიადაგის გაპონიერებას ადგილი არა აქვს; თესვა იწყება უმთავრესად აპრილის დასაწყისში და გრძელდება ხშირად მაისის შუამდის; სთესვენ თესლს მობნევით რომელიც მისი ლირსების მიხედვით დესეტინაზე 3-5 ფუთი მიღის; კრეფა იწყება სექტემბრის შუა ან ბოლო რიცხვებში და გრძელდება რიგიან ამინდებში დეკემბრამდის...

საშუალო შემოსავალს ბამბით მოუტესილ დესეტინაზე ამ რაიონებში ანგარიშობენ: ⁽⁶⁾

მოსავალი	შემოსავალი	გასავალი	წმინდა შემოსავ.
50 ფუტი.	სულ 140 მან.	80 მან.	60 მან.

თუმცალა საგლეხო მეურნეობაში, სადაც იშვიათად აქვს ადგილი და-ქირავებულ შრომას, საერთო შემოსავალი, 140 მანეთი, რასაკვირველია. მშეილობიანი დროის კურსით, შეიძლება ამასთანავე ჩაითვალოს წმინდა შემოსავლად.

მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამმართველოს ცნობებით ქუთაისის გუბერნიაში ბამბის-საწმენდ კარხნების რიცხვი უდრის სულ 12; ამათვან:

	ნავთის.	ორთქლის.	ხელური.	ს უ ლ.
ქუთაისში	3	2	2	7
სამტრედიაში	2	—	1	3
ხონში	2	—	—	2
ჯუმლი	7	2	3	12

ხელის „ჯინი“ მოწყობილია კიდევ კულაშში საცდელ მინდორზე: საბამბო წნევები სდგანან აგრეთვე ქუთაისში და სხვ.

ბამბის შესყიდვას აწარმოებენ უმთავრესად ბამბის-საწმენდ კარხნე-

⁽⁶⁾) С. Тимофеевъ. „Статистика хлопководства.“

ბის აგენტები და წვრილი ვაჭრები. ქუთაისის გუბერნიაში არსებობს წვრილი კრედიტის დაწესებულებანი: დიდ-ჯიხაიშში, ხონში, სამტრედიაში, ვანში, კუხში, ნახახულევში, ლანირ-ქვიტირში, გოჩა-ჯიხაიშში, ფარცხანა-ყანევში, ივანდიდში, კულაშში, იანეთში და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი მებაშბეობას ვანსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს, და ამ დარგში ცოტა საქმიანობა გამოიჩინა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდამ“ კუხის შეაბრეშუმებთა ამხანაგობასთან ერთად.

ქუთაისის გუბერნიაში ბამბის მოსავალი, სხვა-და-სხვა წყაროებიდან მიღებულ ცნობების სათანადო შესწორებით, შემდეგ სურათს იძლევა 6):

წლები.	ბამბით მოთესილი სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
1909	833	10	8.330
1910	1.911	15	28.665
1911	2.756	8	22,048

რაც შეეხება სოხუმის ოლქს, ბამბას სთესვენ სამურზაყანოს, კოლორის და გუდაუთის რაიონებში უმთავრესად საკუთარ მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად. ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორის ცნობებით 1911 წელში აქ მოყვანილი იყო სულ 500 ფუთი ბამბა. რამდენად სწორია ეს ცნობები ძნელი სათქმელია, მაგრამ ასეა თუ ისე ბამბის წარმოებას ამ ოლქში სამრეწველო ხასიათი არ აქვს.

ამნაირად, განხილულ პერიოდის უკანასკნელ 1911 წელს მთელ საქართველოში ბამბით მოთესილი იყო სულ დაახლოვებით 7.800 დესეტინა და მოწეული 91.000-მდე ფუთი ბამბა. შემდეგ წლებში ეს წარმოება თანდათან განვითარდა, რასაც შემდეგი ცხრილები ამტკიცებს:

წლები.	ტფილ. გუბ. ბამბით მოთესილი სივრცე დესეტინებში.	ქუთაის. გუბ. ბამბით მოთესილი სივრცე დესეტინებში.	მთელ საქართველოში ბამბ. მოთეს. სივრცე დესეტინებში.
1912	5.370	2.780	8.150
1913	5.100	2.400	7.500
1914	8.200	3.700	11.900

6) ცხრილში გაწმენდილი ბაშბის რაოდენობაა მოყვანილი.

წლები.	ტფილისის გუბერნ. ბამბის მოსავალი ფუთებში.	ქუთაისის გუბერნ. ბამბის მოსავალი ფუთებში.	მთელ საქართველოში ბამბის მოსავალი ფუთებში.
1912	80.600	17.500	98.100
1913	91.400	11.500	102.900
1914	122.600	29.500	152.100

ასე რომ 1914 წელს საქართველოში ბამბით მოზესილი იყო 12.000 დესეტინამდე და მოსავალი 150.000 ფუთ გაწმენდილ ბამბას აღემატებოდა. მართალია, „როგორც მეურნეობის სხვა დარგებიც, ისე მებამბეობაც ომმა და ანარქიამ დაანგრია, სასურსათო კრიზისმა კი ხალხს ამ კულტურაზე სავსებით ხელი ააღებინა“, მაგრამ „სალი, ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რომ მებამბეობის ასაღორძინებლად და განსავითარებლად საჭირო ზომები იქნას მიღებული“ ⁶⁸⁾.

სამწუხაროდ, „ბამბის წარმოება ჩევნში სრულიად პრიმიტიულად სწარმოებს. ჩევნში ბამბას სხვა სათესურთან ერთად სთესვენ: სიმინდში, ბოსტნეულობაში, ხეხილის ძირში; სპეციალურად ბამბისთვის მიჩნეული ფართო არე საქართველოში არ არსებობს, თუმცა ჰავის მხრივ საქართველო სხვა ქვეყნებს არ ჩამოუვარდება; თუ კი ბამბას საჭირო კულტივაცია ექნა... არავითარი კურადღება ამ საგანს მიქცეული არ ჰქონია არც რუსეთისა და არც ეხლანდელ მხრუნველებისაგან. არც მიწის დამუშავება და გამარგვლა, არც დამწიფებისა და გამოშუშების ღროს შერჩევა, არც არავითარი ტეხნიკური ხელსაწყო ჩვენი გლეხებისთვის ცნობილი არ არის და ამ ცნობებს არც არავინ აწვდის“ ⁶⁹⁾). და თუ ასეთ პირობებშიც კი 150.000 ფუთზე მეტი მოსავალი მივიღეთ, რაღაც იქნება სათანადო ყურადღების მიქცევით და მცირე ხელის შეწყობით. მაგრამ ამის შესახებ ცოტა ქვევით მექნება ლაპარაკი; ეხლა კი მივიღოთ, რომ საქართველო შემდეგშიაც 1914 წლის მოსავლით დაკმაყოფილდება: არც უკან. დაიხევს და არც წინ წაიწევს...

საინტერესოა გავიგოთ, რა ბედს, რა ცვლილებას, რა გადამუშავებას განიცდიდა ჩვენს ადგილ-მამულში მოწეული ბამბა?!

საქართველოში არ არსებობდა არც ერთი ქარხანა, რომელსაც რიგი-ანი ბამბეულობის დამზადება შესძლებოდა; ტფილისში არსებული ორი პატარა ქარხანა მახმუდ-ბეგოვისა და მასტან-ზადესი მხოლოდ სახარაზო ძაფებს ამზადებდა, და ამასთანავე უცხოეთის ბამბით სარგებლობდა. ასე, მაგალითად, მახმუდ-ბეგოვის ქარხანამ 1910 წელს გადამუშავებულ 2.814 ფუთიდან ამიერ-კავკასიის მხოლოდ 300 ფუთი გაიხმარა; 1912 წელში 4.200 ფუთიდან — მხოლოდ 1.800 ფუთი და სხვ. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ მცირე ნაწილი ბამბისა (სამწუხაროდ, ნამდვილი სტატისტიკური ცნობები

⁶⁸⁾ 6. ხომერიკი. „აგრარული რეფორმა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა“.

⁶⁹⁾ ტიტ მარგელაშვილი. „კავკასიის ქალაქი“, № 18—19, 1919 წ.

ამის შესახებ არ მოიპოება!) ადგილობრივ რჩებოდა „შინაური მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლად, უმთავრესად ძაფების დასართველად და ზოგიერთ შემთხვევაში ბამბის ქსოვილის ან ბამბა-ნარევ შალის დასამზადებლად. დიდი ნაწილი კი მოწეულ ბამბისა იგზავნებოდა ბალაჯარით ცენტრალურ რუსეთში ან ფოთით და ბათუმით აღესაში, სევასტოპოლში და ოერდო-სიაში მოსკოვისა და ლონდის სამრეწველო რაიონებში გადასაგზავნად.

რაც შეეხება ბამბის კურკას, ქუთაისის გუბერნიის საზღვრებიდან მისი მთელი მოსავალი გადიოდა, მხოლოდ ტფილისის გუბერნიის მოსავლი-დან დაახლოვებით ნახევარი ადგილობრივ მუშავდებოდა აქაურ უბრალო ზეთ-სახდელ ქარხნებში; მეორე ნახევარი კი ფოთით და ბათუმით აღესა-ში იგზავნებოდა როგორც აქაურ ქარხნებში გადასამუშავებლად, ისე უცხოეთში—ჰამბურგში, ლონდონში, მარსელში და სხვ.—გადასაგზავნად. კურკის გამოსავალი დამოკიდებულია ბამბის მოსავალზე, მის სიავ-კარგებზე და ჯიშზე; მაგრამ დაახლოვებით შეგვიძლია ვიანგარიშოთ ქუთაისის გუბერ-ნიაში 1914 წელს სათესლედ საჭირო რაოდენობის გამოკლებით 60.000 ფუთი, მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში— 240.000 ფუთი. აქედან ტფილი-სის გუბერნიაში გადამუშავებულ ნახევარი მოსავლის გამოკლებით მივიღებთ, რომ თვით საქართველოში 180.000 ფუთი კურკა გამოყენებული არ იყო. თვით გადამუშავებულ კურკიდან მიღებულ ზეთის ოანამდე ნაწარმი, წეწონი, ადგილობრივ გამოყენებული არ იყო და ბათუმით უცხოეთში იგ-ზავნებოდა, უმთავრესად ჰამბურგში.

ეხლა შევიტყოთ რა ლირებულებას უდრიდა საქართველოს ბამბის წარმოება. სამწუხაროდ, ჩვენში ბამბის კულტურის რაციონალური წესების უცოდინარობის გამო, ცუდი ჯიშის გავრცელების, მოუვლელობის, არა-სა-თანადო გაწმენდის და სხვ. გამო, ბამბას კარგი ლირსებისას ვერ ვლებუ-ლობდით და ამიტომ გაწმენდილი ფუთი ბამბის ფასი უნდა/ვიანგარიშოთ მხოლოდ 10—12 მანეთი, რასაკვირველია, მშვიდობიანი დოკოის კურსით. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ნაწილი ამ ბამბისა ადგილობ-რივ მუშავდებოდა შაფად როგორც ზემოდ დასახელებულ ქარხნებში, ისე ოჯახებში,—დიდად არ შევცდებით, თუ ვიანგარიშებთ ფუთი ბამბის ლირე-ბულებას 15 მანეთად. მაშინ საქართველოს მთელი მოსავალი, 150.000 ფუ-თი მოგვცემს $15 \times 150.000 = 2.250.000$ მანეთს.

კურკაზე ადგილობრივი ფასები იცვლება 50—70 კაპ. ფარგლებში; ასე რომ საშუალოდ 60 კაპ. ანგარიშით მივიღებთ ტფილისის და ქუთაი-სის გუბერნიების მიერ გასალებულ კურკის ლირებულებას 60 კ. $\times 180.000 = 108.000$ მანეთს.

ტფილისის გუბერნიის მოსავლიდან ზეტად გადამუშავებულ ⁷⁰⁾ 120.000 ფუთ კურკას შეეძლია მოგვცეს დაახლოვებით 18.000 ფუთი ზეთი და 40.000 ფუთი წეწონი, რომელთა ლირებულება უდრის დაახლოვებით: $(4 \text{ მ.} \times 18.000) + (75 \text{ კ.} \times 40.000) = 102.000$ მან.

ამნაირად, საქართველოში ბამბის მთელი მოსავლიდან მისი გადამუ-შავების ძეველი წესების დატოვებით და ისეთი გამოყენებით, რომელიც

⁷⁰⁾ ტფილისში არსებობენ ზეთსახდელი ქარხნები: „ზეთსახდელ, საპნის და სანთ-ლის ქარხნების სააკეიო საზოგადოების“, მმ. ზ. რა ა. კარლონსკების და ბასენცოვის სა-ვაჭრო სახლის.

ამდეხანს არსებობდა, შეიძლებოდა ღარჩენილიყო 2.250.000 გ. + 108.000 გ.
+ 102.000 გ. = 2.435.000 მან., ყოველ შემთხვევაში არა უმეტეს
2.500.000 მანეთისა.

შევიდობიან დროის ორ მილიონ ნაცევარი მანეთი ჩვენისთანა პატარა
სახელმწიფოს ეკონომიკური მოლონიერების საქმეში საქმიოდ დიდ როლს
ითამაშებს; მაგრამ საინტერესოა შევადაროთ და გავიგოთ, თუ როგორ გა-
მოიყენებდნენ ჩვენ მიერ მიღებულ მასალას მოწინავე ქვეყნებში.

გამზისაგან, როგორც ყველას მოეხსენება, შეიძლება დამზადება ბევრ-
გვარ ქსოვილების: ნარმის, მიტკლის, მაღდეპალამის, ფლანელის, ბატისტის,
სატინის, პიკეს, ლასტიკის, პლისის, ატლასის, ბამბა-ხავერდის, ტრიკოს,
მაულის, გაზის, წინდების, ხელთაომანების, ცხვირსახოცის, ხელსახოცის,
საბნების და ავეჯეულობათა ქსოვილების, საკერავ და საქსოვ ძაფების და-
სხვა და სხვა.

ქსოვილის გამოსავალი დამოკიდებულია ნართის სიმსხოზე, რომელიც
ნომრობით ხასიათდება ⁷¹⁾; ამ მხრივ ის განიყოფება: № 20-მდე, № 20—№ 60
და № 60 ზევით—დაბალ, საშუალო და მაღალ ნართად (ნომრები 2.000-ზე
ზევითაც ადის). ქსოვილის გამოსავალი დამოკიდებულია ნართის სიმსხოს
გარდა კიდევ ქსოვის ხასიათზე, ქსოვილის აგებულობაზე, სიმჭიდროობებზე და
სხვ., მაგრამ საერთოდ ურთ და იგივე წონიდან წერილ ნართს მეტი ქსო-
ვილის მოცემა შეუძლია.

მაგალითად, ნარმისთვის ხმარობენ ქვეშაქსოვად № 22—24. და მი-
საქსოვად № № 16—20 და გირვანქიდან გამოდის 5,2—5,7 ოთხ. არშინი;
მიტკლისთვის—ქვეშაქსოვად № 32—38 და მისაქსოვად № 38—48 და
გირვანქა იძლევა 6,5—7,5—10,0 ოთხ. არშ. ამნაირად, ნომრების აქცევას-
თან ერთად იწევს ქსოვილის გამოსავალიც; მაგრამ ჩვენ რომ შექვეცით
ვიანგარიშოთ ფუთ ბამბიდან 30 გირვ. ნართი, გირვანქა ნართიდან 6 არ-
შინი ქსოვილი და არშინის საშუალო ფასი 50 კ., მაშინაც საქართველოს
მოსავალი მოგვცდს 6 არ. $\times 30 \times 150.000 = 27.000.000$ არშინი, 13.500.000
მანეთად ღირებულს.

ქსოვილების და ძაფების გარდა ბამბის წარმოება გვაძლევს, როგორც
ზევით ალვნიშნეთ, დღდალ კურკას, რომელიც შეიძლება გადამუშავებულ იქ-
ნეს ფრიად სასარგებლო საგნებად. სულ რამდენიმე ათეული წინ, მე-
30 და მე-40 წლებში ბამბის კურკა ზედმეტ ბარგად ითვლებოდა და ბამბის
საწმენდი მოწყობილობანი წყლის პირად შენდებოდა დარჩენილ უსიამო-
ვნო ტვირთის თავიდან. მოშორების გაადვილების მიზნით. მაგრამ ეხლა
ბამბის კურკას დაწინაურებულ ქვეყნებში მეტად აფასებენ და ყოველივე
ლინეს ხმარობენ მისი ზედმიწვნით გამოსაყენებლად. ეხლა უკვე დამტკი-
ცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზეთის გამოხდის დროს არა მარტო
მარცვლების დანაყვა-დაჟიგმატება ხდება და, ამნაირად, უფრო ადვილდება
მისი შეთვისება და გამოყენება როგორც სასუქის და საკვები ნივთიერების,
არაშედ ამასთანავე მას შორდება ისეთი შემაღებელი ნაწილები, რომელ-
ნიც ამ მიზნებისთვის უფრო საზიანოდ ითვლებიან, ვიდრე სასარგებლოდ.

⁷¹⁾ თუ გირვანქა ბამბა დართულია 840 იარდის სიგრძის ძაფად, მაშინ ის პირვე-
ლი ნომერია; თუ დართულია $2 \times 840 = 1.680$ იარდად,—მეორე ნომერია; თუ დართულია
 $20 \times 840 = 16.800$ იარდად,—მეორე ნომერია და სხვ.

და ეს იმიტომ, რომ კურკაში ზეთის შემცველობა საქონელია მოსანელებელ ორგანოებზე ცუდად იმოქმედებდა, ნიადაგისთვის სრულიად ფარგებლო იქნებოდა და ვერც მცენარეულობას გამოადგებოდა. ამნაირად, გამოდის, რომ კურკისაგან ზეთის გამოხდას ყოველწლიურად მოითხოვს საქმის ინტერესები.

ზეთის გამოხდის საქმეში საზარალო და არა-სასიამოვნო მხარეებს შეადგენენ: კურკის შორ-მანძილიდან გადაზიდვის ხარჯები და ფართო ზომისადარით (მასშტაბით) დაყენებულ წარმოებაში ვერებერთელა საწყობების ავების აუცილებლობა. ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად საჭიროა მოწყოს სხვა-და-სხვა ადგილებში საამზანავო ნიადაგზე პატარა ზეთსახლელი ქარხნები. ამ ქარხნებს შინამრეწველური ხასიათი ექნებათ. მათი მოწყობა საქმაოდ ადგილია, და აუცილებელია ამ გზას დაფადგეთ მით უმეტეს, როდესაც დამტკიცებულია, რომ ასეთი უბრალო საამზანავო ზეთსახლელი მოწყობილობანი ისევე ეკონომიურად და კარგად მუშაობენ, როგორც დიდი ქარხნები.

ბაბბის ზეთი გაწმენდის შემდეგ საქმაოდ კარგ მასალას წარმოადგენს ქონ-ერბოს (მარგარინი), სასალათი და, „ზეითუნის“ ზეთის და სხვათა მოსამზადებლად: მისგან ამზადებენ აგრეთვე ხელოვნურ ქონს და მისივე სახელწოდების ზეთი; მას ხმარობენ კიდევ სამკურნალო მზადის (პრეპარატების), სანათ ზეთების, საპნის დამზადების და სხვ. საქმეებში.

ზეთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი წეწონი და ჩენჩხო არ უნდა უბრუნდებოდეს ნიადაგს სასუქად უშუალოდ, არამედ, როგორც გამოკვლევები ამტკიცებს, უნდა გაიაროს საქონელთა მოსანელებელი ორგანოები, მათი შიგნითური „საქარხნო მოწყობილობანი“. ის რაც გამოსადევია ცხოველისთვის, მცენარესავის უვარებისა, ამიტომ სრული უაზრობა იქნება ნიადაგში ტყუილად ისეთი ნივთიერება მოვათავსოთ, რომელიც მისთვის სრულიად უტრივნელოდ შეგვექლო საქონლისთვის დაგვეტოვებინა; კიდევ მეტი, მცენარესთვის უჯრებელი მიწოდება ისეთი ნივთიერების, რომელიც უფრო ადვილად შესავისებელი არის, რომელსაც ჩამოშორებული აქვს მისთვის გამოუსადები მასალა.

ამნაირად, ზეთის გამოხდის შემდეგ კურკისაგან მიღებული ფქვილი ან დაწენეული წეწონი და ჩენჩხო აუცილებლად საქონლის საკვებ მასალად უნდა იქნეს გამოყენებული და მაშინ ის ორმაგ სარგებლობას მოიტანს. პროფ. ბერკეტის გამოანგარიშებით ამერიკის პარობებში ბამბის კურკის ერთი ტონის ლირებულება უდრის 1²⁾:

როგორც საკვები მასალის	25,00	დოლ.
„ სასუქი „	18,75	„

სულ 43.7

ძებედან გამოდის, თუ მასალა პირდაპირ გასაპოხიერებელ ნივთიერებად მიღის, მაშინ იკარგება თითქმის ნახევარი მისი გამოყენებითი მნიშვნელობა და ლირებულება და, მაშასადამე, აშკარაა საკითხს თუ რამდენად ლრმა ჩაკვირება და ყოველმხრივ მოფიქრება უნდა.

ამასთანავე დამტკიცებულია, რომ მეწველ ძროხებისთვის ბამბის წეწონი გაცილებით მაღლა სდგას ყველა დანარჩენ საკვებ მასალებზე; ხორბლის ქატოსთან შედარებით, რომელიც ყველგან ძვირფას საკვებ მასალად

¹²⁾ ი. პროფ. ბერკეტ. „Хлопок“.

არის მიჩნეული, წეწონი რძის გამოსავალს $\frac{1}{3}$ -ად ზრდის. ასეთ საუცხოვო ლიტერატურის მისი ფასი დაახლოვებით ორჯერ მცირეა. ვიდრე ისეთი უხევ საკვებ მასალის ფასები, როგორც ქერი და ბზე, ორმლებზედაც ფასები 1 გ. — 1 გ. 20 კ. აღწევს. საცდელ სადაურებზე წარმოებულ ცდებმა დაამტკიცეს, რომ 1 გირვ. ბამბის წეწონი თავისი სარგებლიანობით უდრის 1,73 გირვ. სიმინდის ფექილს ⁷⁸⁾ და სხვ.

ამნაირად, ბამბის კურკის მიზანშეწონილი გამოყენება საშუალებას მოგვცემს გავიჩინოთ საქმნელი ბლომად და თან გაუმჯობესებული ჯიშების; უკანასკნელი კი ხელს შეუწყობს ნიაღაგის გაპონიერებას, ერთის მხრით, და საკუთარი რძის, ხორცის, ყველის და კარაქის წარმოებათა შექმნას, მეორეს მხრით. მაშასაღამე, გონივრული ლონისძიებანი ამ საქმეში როგორც მცნარეულობის, ისე მესაჭინლეობის მეურნეობას დაწინაურების და წარმატების გზაზე დააყენებენ...

მაგრამ მიუხედავად ამ საუცხოვო შედეგებისა და საუცხოვო პერსპექტივებისა, გამოვიანგარიშოთ ბამბის კურკისავან მიღებულ ნაწარმთა ლირებულება.

კურკიდან შეიძლება ვიანგარიშოთ დაახლოვებით შემდეგი გამოსავალი:

ზეთი 15 %

მეორე ხარისხოვანი ბოკვო . . . 0,75 %

წეწონი 33,7 %

ჩენჩო 50,55 %

სულ 100 %

საქართველოში მოწეულ მთელ კურკიდან ამ ანგარიშით მივიღებთ:

ზეთს 45.000 ფუთს . . . 216.000 მან. ლირებულებისა

მეორე-ხარისხოვ. ბოკვოს 2.250 " . . . 18.750 "

წეწონს 101.100 " . . . 76.000 "

ჩენჩოს 151.650 " . . . 45.500 "

სულ 300.000 " . . . 356.250 "

ეს თუ მიუმატეთ ბამბის ქსოვილების ლირებულებას და მხედველობაში მივიღეთ წეწონის და ჩენჩოს საქმნელთა კუპში გატარების შემდეგ მიღებულ სასუქის ფასი, მაშინ შედგება ჯამი არა ნაკლებ 14.000.000.— 15.000.000 მანეთისა

ამნაირად, 1914 წლის საქართველოს ბამბის წარმოება უდრიდა 2.500.000 მანეთს. მაშინ, ოოდესაც დაწინაურებულ ქვეყნებში ამ თანხას სულ მცირე 14.000.000 მანეთად გადააჭცევდნენ. ეპეს გარეშეა, 5—6-ჯერ მეტი ლირებულების შექმნის დროს ხალხი ვაკილებით მეტ სარგებლობას ნახავდა; და თუ ამას ისიც დაურთებ, რომ ამნაირად საქმის დაყენების დროს დაწინაურდებოდა როგორც სასოფლო-მეურნეობის, ისე მრეწველობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი დარგები, მაშინ აშკარა შეიქნება, რომ ასეთი საქმიანობა სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობის განმტკიცებაზე და გაუმჯობესებაზე მეტად სასურველ გავლენას მოახდენდა...

⁷⁸⁾ როდესაც წეწონთან ერთად საკვებ მასალად ჩენჩო ახმარება, მაშინ საჭიროა ისინი ერთმანეთში აურით 1: 4 შეეცრდებით; საჭიროად რამდენად შეერეული საკვები მასალის მიწოდება ხერხდება საქონლისთვის, იმდენად უფრო კარგი ნაყოფის მიღება შეიძლება.

ეხლა თვალი გადავაკლოთ, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა ჩვენში: ბამბის წარმოება ომის დროს. ზევით გვქონდა მოხსენებული, რომ მებამ-ბეობა ბოლო წლებში ძალიან დაქვეითდა. სამწუხაროდ, რიგიანად დამუ-შავებული სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოვება იმ წარმოების შესახებ, ⁽¹⁾ მაგრამ ის ცნობები, რომელიც ხელთა გვაქვს, ამას მაინც საქმაონთლად ასასიათებს.

დესეტინაზე მოწეული ბამბა კარგ მოსავლიან წლების ანგარიშით რომ ავილოთ, 1917 წელს ტფილისის გუბერნია მოგვცემს ⁽²⁾):

მაზრები.	ბამბით მოთე- სილი სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
ტფილისის . . .	52,87	15	793,05
ბორჩალოს . . .	59,39	"	890,85
სიღნალის . . .	67,37	"	1.010,55
გორის	4,60	"	69,00
დუშეთის . . .	0,75	"	11,25
ახალქალაქის .	0,72	"	10,80
ახალციხის . .	0,50	"	7,50
სულ . . .	186,20		2.793,00

ქუთაისის გუბერნია იმავე წელს იმავე ანგარიშით მოგვცემს:

მაზრები.	ბამბით მოთე- სილი სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
ქუთაისის . .	109,67	10	1.096,70
შორაპნის . .	38,26	"	382,60
ზუგდიდის . .	2,38	"	23,80
სენაკის . . .	1,00	"	10,00
ლეჩეუმის . .	0,19	"	1,90
ოზურგეთის	—	"	—
რაჭის	—	"	—
სულ . . .	151,50		1.515,00

⁽¹⁾) სტატისტიკურ ცნობების დოკუმენტ დონეზე დაყრდნობას დაწინაურებულ ქვეყნებში სახელმწიფოს არსებობის და მისი წარმატების ერთ უმნიშვნელოვანებს ფაქტორად სთვლიან და ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ. ჩვენში, სამწუხარითდ, ეს ასე არის... მე ამით არ მინდა საყვედური გამოუტაცო სტატისტიკურ კომიტეტს, —შეიძლება მას პრაშა არავითარი დანაშაული არ მიუძღვის; მთლიან იმუდა მინდა გამოვსტევა, რომ აპლა მომავალშა ეს საქმე განსაკუთრებული ყურადღების საგნად გახდება და მციდრო საფუძველზე დადგება.

⁽²⁾) ცნობები ბამბით მოთესილ სივრცეთა შესახებ მიწა-მოქმედების სამინისტროს სტატისტიკურ კომიტეტში მაქს მიღებული.

სოხუმის ოლქი იმავ წელს იმავე ანგარიშით მოგვცემს:

უბნები	ბამბით მოთე- სილი სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
სამურჩაყანოს .	0,50	10	5,00
კოდორის .	—	"	—
გუდაუთის .	0,50	"	5,00
გუმისტინის .	0,25	"	2,50
სულ	1,25		12,50

მაშასაღამე:

გუბერნიები	ბამბით მოთე- სილი სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინაზე ფუთებში.	მთელი მოსავალი ფუთებში.
ტფილისის .	186,20	15	2.793,00
ქუთაისის .	151,50	10	1.515,00
სოხუმის .	1,25	10	12,50
სულ საქართვე	338,95		4.320,50

ეს ცხრილები ჩვენს წინ მეტად დამაფიქრებელ სულათს შლის. 1914 წელს, ომვორუ ზევით დავინახეთ, საქართველოში მოთესილი იყო 12.000 დესეტინა და მოწევული 150.000 ფუთზე მეტი ბამბა; სამი წლის შემდეგ კი ბამბინ სივრცეთა რაოდენობა 338 დესეტინამდე დაეცა და საერთო მო-
სავალი გადიდებულ ანგარიშითაც 4.320 ფუთს ვერ აშორდა. ბამბის წარ-
მოების ასეთი დაჭვებითება პირდაპირ წარმოუდგენელია, მავრამ სურათი
კიდევ უფრო წარმოუდგენელი და დამაფიქრებელი შეიქნება, თუ 1917 წელს 1919-ს შევადარებთ და მოსავალსაც ნამდვილს ავიღებთ და არა
გადაჭარბებულს

მაშინ ქუთაისის გუბერნაზი მივიღებთ ზ):

მაზრები.	1917 წ. ბამბით მოთეს. სივრცე დესეტინებში.	1919 წ. ბამბით მოთეს. სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინ. ფუთებში.		
			საშუალო	მაქსიმ.	მინიმ.
ქუთაისის .	109,67	66,42	8,90	22	2
ზორაპნის .	38,26	—	3,16	5	2
ზუგდიდის .	2,38	—	—	—	—
სენაკის .	1,00	1,10	3,00	5	1

სოხუმის ოლქში 16):

უბნები.	1917 წ. ბამბით მოთეს. სივრცე დესეტინებში.	1919 წ. ბამბით მოთეს. სივრცე დესეტინებში.	მოსავალი დესეტინ. ფუთებში.			საშუალო ჩაქინე. მინმ.
			სამურზაყანოს	კოდორის	საშუალო ჩაქინე. მინმ.	
სამურზაყანოს	0,5	0,72	4,72	8	2	
კოდორის	—	—	10	15	5	

სამწუხაროდ, ტფილისის გუბერნაის შესახებ ასეთი ცნობები არ მოიკვება, მაგრამ აქედანაც აშკარაა, რომ შედარებით 1917 წელთან 1919-ში გაცილებით ნაკლები ადგილი იყო ბამბით მოთესილი და გაცილებით ნაკლები მოსავალი მიღებული. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ: ბამბის წარმოება ჩვენში დღეს სრულ განადგურებამდე არის მისული.

და ეხლა უნდა დაისგას საკითხი: შეიძლება თუ არა ეს მოვლენა ჩავთვალოთ ნორმალურად, მას შეურიგდეთ და ზომები არ მივიღოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?! რასაკვირველია არა!

მას შემდეგ, რაც რუსეთიდან პურის შემოტანა შეწყდა, თავის უზრუნველსაყოფად ხორბლეულობის კულტურას დავეწაფეთ და მას მსხვერპლად უფრო მაღალი კულტურის მცნარეულობა შეცემირეთ. ჩვენი პურით საკუთარი მოთხოვნილების დაქმაყოფილება, — ეს თითქმის ჩვენი ლოგუნგრ შეიქნა, და სწორედ ამით კულტობრივი გავამართლოთ ზოგიერთ მნიშვნელოვან დარგების დაქვეითება. მაგრამ ასეთი გამართლება კიდეც რომ გავიზიაროთ, რით შეგვიძლია ავხსნათ 1914-დან 1917 წლიდე მებამბეობის საშინელი დაცემა მაშინ, როდესაც რუსეთის პურითაც უზრუნველყოფილი ვიზუალი და რუსეთის საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილებაც ბაზარზე თანდათან იზრდებოდა უცხოეთიდან ამ მასალის შემოტანის შეუძლებლობისა ან ყოველ შემთხვევაში შემცირების და გაძნელების გამო?!

უმთავრესად მხოლოდ ჩვენი უვიცობით და დაუდევრობდთ!

ნამდვილად ყოველი ქვეყანა უნდა ანვითარებდეს მრეწველობის და მეურნეობის იმ დარგებს, რომელთაც მეტი ლირებულების წარმოშობა, ქვეყნისთვის მეტი ნაყოფის მოტანა შეუძლია. სახელმწიფო იმდენად უფრო მდიდარია, რამდენად მეტი საქონლის დამზადებას ახერხებს, მეტი „რეალური სიკეთის“ შექმნას როგორც თავის მოთხოვნილების დასაქმიყოფილებლად, ისე სხვებისთვის მისაწვდენად. ჩვენთვის ძნელი არ იქნება მივიღოთ ხორბლეულობა არგენტინიდან, კანადიდან, თურქაც იმავე იტალიიდან, თუ ჩვენ, მაგალითად, ქვა-ნახშირის გატანის საშუალება გვექნა. ასე-

¹⁶⁾ დაწარჩენი ცნობები არ მოიპოვება.

Үү ითქმის ბამბაზე/ და უცხოელებისთვის ყოველივე სხვა საჭირო საქონე-ლზე⁷⁾.

ისე კი რამდენად სასარგებლოა ბამბის წარმოება სხვებთან შედარებით, ამისთვის ბევრი ანგარიში საჭირო არ იქნება. საკმარისია გავისხენოთ მხოლოდ, რომ ომამდის ჩვენში დესეტინაზე 50—60; საშუალოდ 55 ფუთი გაუწმენდელი ბამბა მოდიოდა. თუ ჩვენ ფუთი გაუწმენდელი ბამბის ფასი ვიანგარიშეთ 3 მან. 50 კაპ.⁸⁾, რაც დაახლოვებით უდრის ჩვენ მიერ წინედ წარმოებულ ანგარიშებს, მივიღებთ ბამბით მოთესილ დესეტინის საერთო შემოსავალს 3 მან. 50 კაპ. $\times 55 = 192$ მ. 25 კ. დესეტინა მიწა ჩვენში იძლეოდა გადაჭარბებულ ანგარიშითაც არა უმეტეს 120 ფუთ სიმინდისა, რაც შეადგენს 70 კაპ. $\times 120 = 84$ მანეთის ლირებულებას, და არა უმეტეს 70 ფუთ—1 მან. 20 კაპ. $\times 70 = 84$ მანეთად ლირებულ ხორბლისა. აქედან გამოდის, რომ ბამბის წარმოება სულ მცირე 2—2,5-ჯერ უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ხორბლეულობისა. თუ ბამბის წარმოებაში დესეტინაზე დარჩენილ ზემოდ მოყვანილ წმინდა შემოსავალს გაფიხსენებთ, აღმოჩნდება, რომ ეს შემოსავალი (საერთო შემოსავლიდან ხარჯების გამოკლებით), — 52—112 და 60—80 მან., — ხორბლეულობის საერთო შემოსავალს (ხარჯების გამოკლებლივ) არ ჩამოუვარდება.

მაგრამ ბამბის კულტურის უპირატესობა ხორბლეულობასთან შედარებით სხვა მხრივადაც აშკარა ხდება. პროფ. მაკ-ბრაიდის გამოკვლევით საშუალოდ:

ბამბის მცენარის ცალკე ნაწილები	რაოდენობა დესეტინაზე გირვანქებში.	საჭირო საკვები მასალა დესეტინაზე გირვანქებში.		
		ჰარე	ცაცინა (ფოსფორი).	ტვიტა (კალიუმი).
ბოჭკო . . .	568	1,93	0,56	2,60
ლერები . . .	1.260	18,18	7,32	17,82
ფესვები . . .	469	4,30	2,42	6,01
ფოთლები . . .	1.088	34,98	12,95	19,84
კოლოფები . . .	765	19,46	7,38	13,87
თესლი . . .	1.238	38,75	15,73	14,47
სულ		117,60	46,36	74,61

⁷⁾ უკანასკნელ დროს ცნობები იყო, რომ უცხოებში ბამბაზე ფასები თითქოს დაკავა: მაგრამ ეს, რასაცირველია. არ გვეძნება, რომ ბამბის კულტურის ზელი ავილოთ. სახელმწიფოს არ შეუძლია თავისი მეურნეობა და მრეწველობა შემთხვევითი მოვლენებს დაუკვებდებარის და თავისი ეკონომიკური პოლიტიკა დროებითი და სწრაფად წარმავალ ელემენტებს შეუტარდოს მით უმეტეს, როდესაც საქონელზე ფასების დაწევა საერთო მოვლენა და არა მარტო ბამბაზე. ვიზიარებ იმ აზრს, რომ ამ უამავ ყოველივე მოვლოდნელობას და უსიამოვნების თავიდან ასცილებლად ხორბლეულობის კულტურას დიდი ყურადღება უნდა მივაკიოთ, მაგრამ არა საჭირო დარგების გზით: თესლის შეცალითი სასტემის წარმოებით და მეურნეობაში ზოგიერთ სხვა კარი მხარეების შემოტებით ჩვენ შევძლებდით დღევანდვლოთან შედარებით მეტი ხორბლეულობის და მასთან ერთად მეტი სხვა მაღალი ლირებულების საქონლის მიღებასაც...

⁸⁾ „Экономическая записка къ проекту железной дороги Сигнахи-Баку“.

ამნაირად, ერთ დესეტინაზე მოთესილ ბამბას ზეადაგიდან გამოაქვს 117,60 გირვ. ჰაისი (აზოტი), 46,36 გირვ. ციცინა (ფოსფორი) და 74,61 გირვ. ტვიტა (კალიუმი). მაგრამ ბამბის მეურნეობაში ლერები, ფესვები, ფოთლები და კოლოფები ზეადაგს ხელახლად უბრუნდება და, მაშასადმე, მას ერთმევა მხოლოდ ის მასალა, რომელიც ბოჭკოში და თესლში შედის. ამიტომ საინტერესოა შევიტყოთ, ბამბის კულტურა ნამდვილად რას ართ- მევს ზეადაგს და ამავე პირობებში რას ართმევს მას სიმინდი და ხორბა- ლი ერთ დესეტინაზე⁷⁹⁾:

	მოსავალი გირვანქებში.	საჭირო ჰაისი გირვანქებში.	საჭირო ციცინა გირვანქებში.	საჭირო ტვიტა გირვანქებში.	სულ.
ბამბა	568 ბოჭკო	1,93	0,56	2,60	5,09
	1.238 თესლი	38,75	15,73	14,47	68,95
ჯუმლი	.. .	40,68	16,29	17,07	74,04

	მოსავალი.	საჭირო ჰაისი	საჭირო ციცინა	საჭირო ტვიტა	სულ.
	გირვანქებში.	გირვანქებში.	გირვანქებში.	გირვანქებში.	
სიმი- ნდი	110 ჩეტვერ. მარცვ.	96,11	36,95	21,11	154,17
	11.960 გირვ. ჩალა.	124,39	34,69	167,45	326,53
ჯუმლი	.. .	220,50	71,64	188,56	480,70

	მოსავალი.	საჭირო ჰაისი გირვანქებში.	საჭირო ციცინა გირვანქებში.	საჭირო ტვიტა გირვანქებში.	სულ.
ხორ- ბალი	52,18 ჩეტვ. მარცვ.	59,05	22,22	15,25	96,52
	6.870 გირვ. ჩალა.	40,57	8,25	35,07	83,89
ჯუმლი	.. .	99,62	30,47	50,32	180,41

ეს ცხრილები წათელჰყოფს შეტად საგულისხმიერო ფაქტებს; უმთავ- რესი ის გახლავთ, რომ ბამბა სხვა მცენარეულობასთან შეღარებით გაცი-

⁷⁹⁾ ეს ცნობები ამოღებული მაქებს პროფ. ბერკეტის ცნობილ წიგნიდან.

ლებით უფრო ნაკლებად აღარიბებს ზეადაგს და რომ ხორბალი საჭიროებს საკვებ მასალას 2,5-ჯერ, მხოლოდ სიმინდი 6,5-ჯერ მეტს. მაგრამ ეს კიდევ არ შლის ჩევნს წინაშე განსხვავების მთელ სურათს. ჩევნ შეგვიძლია ჩაისთვალოთ, რომ ბამბის თესლი, ხორბლის და სიმინდის ჩალა საჭირო-სათვის საკვებ მასალად გამოყენების შემდეგ ზეადაგს უკანვე უბრუნდება სასუქ ნივთიერების სახით და მაშინ კიდევ უფრო საოცარ განსხვავებას მივიღებთ.

მოსავალი დესეტინაზე..	საჭირო ჰაისი	საჭირო ციცინა	საჭირო ტვიტა	სულ.
გირვანქებში.	გირვანქებში.	გირვანქებში.	გირვანქებში.	
568 ბამბის ბოჭკო	1,93	0,56	2,60	5,09
110 ჩეტვ. სიმინდი	96,11	36,95	21,11	154,17
52,18. ჩეტვ. ხორბ.	59,05	22,22	15,25	96,52

ამნაირად გამოდის რომ თუ ხორბლის, სიმინდის და ბამბის მხოლოდ ნაყოფი მივიღეთ მხედველობაში და დანარჩენი უკანვე ნიადაგს დაუბრუნეთ, რაც ასეც უნდა ხდებოდეს, მაშინ ხორბალი ამოიღებს ზეადაგი დან ბამბასთან შედარებით 19-ჯერ და სიმინდი 30-ჯერ მეტ ჰაისს, ციცინას და ტვიტას, რომელნიც მცენარეთათვის უმთავრეს საკვებ მასალად ითვლებიან. მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ კიდევ ერთი ცხრილი, რომელიც სხვა მცენარეთა მიერ საკვებ მასალის შეკვისებას დაგვანახვებს. და ამასთანავე გამოაშკარავებს უმეტეს შემთხვევაში კიდევ უფრო დიდ განსხვავებას: ⁽⁸⁰⁾)

ნივთიერებანი.	მცენარეთა მიერ შეთვისებულ საკვებ ნივთიერებაზა რაოდენობა დესეტინაზე გირვანქებში.					
	საჭმელი- ჟარბალი.	შაქრის ჭარბალი.	თამბაჭო.	კარტო- ფილი.	იონ ჯ. ა.	ბაზა.
ჰაისი	278	119	248	160	—	81
ციცინას ჭანგი	84	56	64	77	65	25
ტვიტა	560	250	288	260	203	41
კირი	87	42	271	61	220	—
ნუკარი	1.248	564	868	532	630	233

აშკარაა, რომ ზემოდ ჩამოთვლილ გარემოებებს დიდი ყურადღება უნდა მიეცეციოთ და მეტამბეობის განვითარების საქმეს დიდის ინტერესით მოვეკიდოთ მით უმეტეს, როდესაც ამ დარგის განვითარების სრული შესაძლებლობა გვაქვს. მებამბეობის ცველა მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ საჭარბოელოში ჰაისი, ნიადაგის და სხვა პირობების მხრივ კარგი ნიადაგია.

⁽⁸⁰⁾) ეს ცხრილი შედგენილია ქ. ვოლფის და პროფ. პრიანიშნიკივის მოცემულებით.

შექმნილი როგორც რიგიანი ლირსების ბამბის მისაღებად, ისე საზოგადოდ მებამბეობის განსავითარებლად. ⁸¹⁾

გავარჩიოთ, რამდენად მართალია ასეთი შეხედულება ჩვენი პირობების მიხედვით. მცენარეულობის ნაყოფიერება პროფ. ფორტუნატოვის, პრიანიშვილოვის და სხვა სწავლულთა გამოკვლევებით უმთავრესად განისაზღვრება: ზეადაგის მდგომარეობით, ტემპერატურით, სინოტიეთ, მიწის დამუშავებით და მისი გაპოხიერებით, ნათესის მოვლით და სხვ. უკანასკნელნი საკსებით ჩვენს უნარზე, ცოდნაზე და სიყოჩაღებზე არიან. დამოკიდებულნი, მხოლოდ პირველნი უმთავრესად ადგილობრივ ბუნებრივ პირობებზე, თუმცალა აქაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ამ საქმეში თვით ადამიანი რა მონაწილეობას ღებულობს.

ბამბისთვის საუკეთესო ზეადაგად ითვლება—მსუბუქი, თბილი, ფხვიერი და ბალაბ-ბულახისაგან რაც შეიძლება თავისუფალი; კარგია, თუ მას საქმაო სილა ურევია და ცოტა წვრილი ქვა, რადგან ისინი ნიადაგს ფხვიერად და თბილად ხდიან; კარგია აგრეთვე კირით და მიწაშავით მდიდარი ზეადაგი. მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბამბა ადვილად ეგუება ადგილობრივ პირობებს და მისთვის რომელიმე განსაზღვრული ტიპი ზეადაგისა არ არსებობს; ამის დასამტკიცებლად საქმარისია აღვნიშნოთ, რომ, მაგალითად, შეერთებულ შტატების სამხრეთ რაიონში მას სთხოვენ როგორც ჭვიშნარზე, ისე თიხნარზე, მოთიხნარე და ჭაობიან ზეადაგზე-დაც კი... ზეალაგის ეს სხვადასხვაობანი საგრძნობლად განირჩევიან ერთი-მეორესაგან წარმოშობით, შემადგენლობით და ნაყოფიერებით; სათანადო დამუშავებით მათში შეიძლება საჭირო ცვლილებათა შეტანა; მათზე გავლენას ახდენს როგორც კარვი მოვლა, ისე უყურადღებო მოპყრობა...

როგორც ზევით გვქონდა აღნიშნული, საუცხოვო ზეადაგი შეიძლება ფუჭი აღმოჩენდეს, თუ მისი პატრონი და მომვლელი ცუდი მეურნე არის. კარგად დაყენებულ მეურნეობის საუკეთესო მოწმობად უნდა მივიჩნიოთ მისი პატრონის ამა თუ იმ ზეადაგზე დიდი ნაყოფის მიღების უნარი. საჭიროა ზეადაგის შესწავლა და მიღებულ ცოდნის მეობებით მისდამი შესაფერი მოპყრობა. ბამბის მეურნე უნდა ცდილობდეს მიწის განსაზღვრულ რაოდენობაზე ერთი გირვანქის მაგიერ მოიყვანოს ორი, ხუთი...

ეს კი მოხერხდება მიწის სათანადო დამუშავებით, თანამედროვე შეცნიერების მიერ წარმოშობილ წესების და შემუშავებულ მეთოდების მოხარებით. ბამბისათვის ზეადაგის სიავეჯვე, და მისი სათანადო დამუშავება,—დაკავშირებულია კლიმატიურ პირობებთან. იმ ადგილებში, სადაც საქმაო სითბო მოიპოვება, შეიძლება ამ მცენარის კულტივაცია ყოველივე ზეადაგზე, ძალიან მკვრივზედაც კი, ვინაიდან ხანგრძლივ თბილ ამინდებში ბამბა მაინც ასწრებს დამწიფებას და რიგიან მოსავალს გვაძლევს. პირიქით, სადაც სითბო ცოტაა, კარი ხშირი და ძლიერი, წვიმები დიდძალი და უცარი,—მებამბეობა შეიძლება მხოლოდ ფხვიერ და თბილ ზეადაგზე და ისეთ ადგილებზე, რომელთაც დაქანებული ფერდობები აქვთ ან, თუ ბამბის მორწყვა ხდება, ხელოვნურად მოწყობილი წრიტნარები. ყოველ შემ-

⁸¹⁾ ზევით დასახლებულ მკვლევართა გარდა ამ აზრს იჩიარებს აგრეთვე ს. კანოპა, „კავკავი (Съперниш კავკავა և ვაკავება)“.

ოხვევაში „ბაშბისთვის მიწის დამუშავება უნდა მოხდეს შემოდგომაზე გურიათ, რათა ზეადაგს გაფხვიერების საშუალება მიეცეს და ამასთანავე გაადვილებულ იქნება ბალახ-ბულახთა თავიდან მოშორება. საზოგადო წესია,—ადგილი რამდენად ცხელია და სმელი, და ამასთან ერთად ნაკლებად მოსალოდნელი შემოდგომის წვიმები, —იმდენად მეტია საჭირო ხვნის სილრმე; პირიქით, რაიონი რამდენად ცივია და ნაკლებად საიმედო ბამბის სრული დამწიფება, რამდენად მცენარის ზრდის ხანა მცირეა და შემოდგომის წვიმები მოსალოდნელი, —იმდენად ხვნის სილრმე მეტი უნდა იყოს. ამნაირადვე უნდა იყოს მხედველობაში მიღებული ზეადაგის ფიზიკური და ქიმიური შემადგენლობა: ზეადაგი მჭირხნე და, მაშასადამე, მდიდარი, ცივი, თიხა ან სილა-ნარევი, —სხვა ერთგვარ პირობებთან მცირედ უნდა იხვნებოდეს; პირიქით, ზეადაგი ფხვიერი, თბილი, ნაკლებად ნაყოფიერი, ფერდობებით მით უმეტეს, თუ ისინი სამხრეთით არიან, —ლრმა დამუშავებას საჭიროებს. ნორმალურ საშუალო სილრძედ ჩვენში შეიძლება ჩაითვალოს 4 ვერშოკი, რადგან ნაკლებ სილრძეში ფეხების მთავარი ლერო მალე აღწევს მჭირხნე დაუხევნელ ფეხს და ქვევით შევეულად წასვლის საშუალებას მოკლებული, ის მართობ კუთხით შემრუდული თარზულ მიმართულებით იწყებს განვითარებას. ეს ხან მეტად ხან ნაკლებად, მაგრამ ყოველთვის ცუდად მოქმედობს მოსავალზე და ამცირებს ასეთი ეგზემპლიარის გვალვის. ამტანიანობას, რაც თავის მხრივ მის ნაყოფიერებაზე მოქმედობს. ასეთი მცენარე ჩვეულებრივად მალალი იზრდება, გვერდის ტოტებს კი ცოტას იძლევა მაშინ, როდესაც ბამბის მოსავალი უმთავრესად უკანასკნელზე არის: დამოკიდებული. მაგრამ მეორეს მხრივ, 4 ვერშოკზე ლრმა დახნა ზედმეტია, რადგან ამ შემთხვევაში მთავარი ლერო ნიადაგში ლრმად წავა, მცენარე საუცხოვოდ განვითარდება, ბუქე 5—6 ფუტის სიმაღლის შეიქნება და საშიშია, რომ ასეთ პირობებში ბამბა საესებით დამწიფებას ვერ მოასწრებს. მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას: რამდენად ფხვიერად იქნება დამუშავებული ზეადაგი და გაწმენდილი ბალახ-ბულახისაგან, იმდენად უმჯობესია და ყოველ შემთხვევაში უფრო საიმედო კარგი ნაყოფის მიღება“: 82)

ნათქვამიდან გამოდის, რომ ბამბის წარმოებისათვის ზეადაგს შესწავლა უნდა, ადგილობრივ პირობების მიხედვით სათანადო დამუშავება და, თუ ამას ისიც დაურთეთ, რომ საქართველოში ბამბისთვის ბევრი აბსოლუტურადაც საუცხოვო ზეადაგი მოიპოვება, —მაშინ აშკარა გახდება, რომ ამ მხრივ ჩვენში ბამბის წარმოების განვითარებას არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება. მაგრამ შეიძლება ამ დარგის განვითარების საქმეში სხვა მხრივ გადაგველობოს წინ რაიმე დაბრკოლება?!

ბამბისთვის, როგორც ზევით აღნიშნეთ, საჭიროა მზის სხვები, თბილი და ზომიერად ნოტიო ატმოსფერა. ტემპერატურის სწრაფი ცვალება-დობა, უეცრად დაწყებული სიცივეები ხელს უშლის მცენარის ზრდა-განვითარებას, ბამბის დამწიფებას და მოსავალზეც, რასაკვირველია, ცუდ გავლენას ახდენს. მისი კულტურა შესაძლებელია მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ეჭვისი თვის განმავლობაში მაინც (უმჯობესი კი არის, თუ 7—8 თვის განმავლობაში!) უყინვო ამინდები სუფეცს; იდეალურ პირობებად შეიძლება ჩაი-

82) Н. Таратыновъ. „Хлопчатникъ“: Энциклопедический словарь Ерокгаязъ и Ефронъ, т. 73.

тვაღოს, თუ აპრილიდან ნოემბრამდე ყინვები არ არის. სითბოსთან ერთად ბამბისთვის საჭიროა მზე; ტყუილად არ ეძახიან მას „მზის შვილს“. ლრუბლიანი ამინდი, ბამბის ჩრდილში ან ისეთ ადგილებში დათესვა, სადაც მზე იშვიათად ანაოებს, მასზე ცუდად მოქმედობს. ბამბის წარმოებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნაწვიმის რაოდენობას და იმას, თუ რა დროს მოდის ეს წვიმები. ბამბის ზრდისათვის უმჯობესია ის ღამ-ღამობით მოდიოდეს და დღე მზის სხივების ფრქვევას ხელს არ უშლიოდეს. საერთოდ წვიმა ზომიერად და თავის დროზე უნდა მოდიოდეს. ხშირი წვიმები მავნებელია, რადგან ეს მზის სხივების მოქმედების შეჩერებასთან და მცენარის ნორმალურ განვითარების შეფერხებასთან ერთად ხელს უწყობს ბალაბულახის გაჩენას. დამწიფების დროს საჭიროა მშრალი ამინდი, რადგან ამ ხანაში ხშირი წვიმებმა შესაძლებელია იმდენად შეაფერხოს და დააგვიანოს ნაყოფის დამწიფება, რომ: შემოდგომის ყინვებმა მოუსწროს, რაც დააზიანებს ბამბის მოსავალს როგორც რაოდენობით, ისე ღირსებით.

ეხლა გავაჩინოთ საკითხი, თუ რამდენად აგრძელებს ამ მოთხოვნილებებს საქართველოს ბუნებრივი პირობები. ამისთვის საჭიროა მოვიყვანოთ მრავალწლების განმავლობაში შემუშავებული საშუალო ტემპერატურები ⁸⁸⁾:

ტფილისის გუბერნ.	მარტი.	აპრი- ლი.	მაისი.	ივნისი.	ივლი- სი.	აგვის- ტო.	სექტე- მბერი.	ოქტო- მბერი.	ნოემ- ბერი.	დეკემ- ბერი.
სურამი .	3,2	10,0	14,3	18,1	19,6	22,1	17,0	11,3	6,0	1,9
გორი . .	5,2	10,7	16,3	19,4	22,6	22,8	17,9	12,6	6,0	0,9
წინონდ. .	6,6	11,2	17,1	20,7	23,2	22,8	18,5	13,7	7,8	2,9
ტფილისი	6,8	12,0	17,7	21,3	24,5	24,3	19,5	14,1	7,7	2,7
ზაქათალი	7,1	12,0	17,7	22,3	24,9	23,6	19,3	14,6	8,1	3,7
ალბულახი	2,6	7,7	13,3	17,0	19,8	19,5	15,4	10,3	5,5	1,0
ყარაიაზი	7,0	12,4	18,4	22,3	25,6	25,5	20,3	14,4	7,9	2,4
ახალქალ.	-0,5	5,2	10,8	13,6	16,5	17,2	12,4	7,8	0,7	-3,3

ქუთაისის გუბერნ.	მარტი.	აპრი- ლი.	მაისი.	ივნისი.	ივლი- სი.	აგვის- ტო.	სექტე- მბერი.	ოქტო- მბერი.	ნოემ- ბერი.	დეკემ- ბერი.
სოხუმი .	9,2	12,8	16,9	20,6	23,4	23,8	20,0	16,7	11,7	8,5
ტყიბული	6,8	11,2	16,3	18,7	21,4	21,6	18,0	14,9	8,8	5,4
ლაილაში	4,7	8,9	13,7	17,5	19,1	20,1	15,8	11,9	6,7	1,6
ჭიათურა	7,4	12,2	17,3	20,4	23,4	23,5	19,4	15,8	8,8	5,0
ქუთაისი .	9,4	13,4	18,3	21,2	23,6	24,1	20,1	17,0	11,0	7,6
ფოთი . .	9,0	12,2	16,7	20,3	22,9	23,7	20,5	16,9	12,5	8,4
ოზურგეთი	8,3	12,0	16,5	20,2	22,4	22,4	18,9	16,4	10,5	7,2

⁸⁸⁾ И. Фигуровский. „Опытъ изслѣдованія климатовъ Кавказа.“

ბათუმის ოლქი.	მარტი.	აპრი-ლი.	მაისი.	ივნისი.	ივლი-სი.	ავგუს-ტო.	სექტე-მბრი.	ოქტო-მბრი.	ნოემ-ბრი.	დეკემ-ბრი.
ბათუმი .	8,3	11,6	16,3	20,5	23,2	23,8	20,5	17,0	13,1	9,9
ართვინი .	6,8	11,4	15,4	20,4	22,5	22,2	18,2	14,3	6,2	2,8

ბამბა მოითხოვს სულ 3.000—4.000 გრადუს სითბოს. თუ მივიღეთ, რომ დათესეა მისი შუა აპრილში ხდება, მხოლოდ მოკრეფის მოთავება ოქტომბრის ბოლოში, ე. ი. ბამბის სეზონი სულ $6\frac{1}{2}$ თვე ვიანგარიშეთ, მაშინ ძნელი არ იქნება თვითოულ რაიონისთვის ცხრილების მიხედვით ამ ხნის განმავლობაში მთელი დაგროვილი სითბოს გამოანგარიშება, მაგალითად, ყარაიაზისათვის მივიღებთ: $(12,4 \times 30):2 + (18,4 \times 31) + (22,3 \times 30) + (25,6 \times 31) + (25,5 \times 31) + (20,3 \times 30) + (14,4 \times 31) = 4.066,9^{\circ}$; ტფილისისათვის — 3.912,6^o; სურამისათვის — 3.289,3^o; ახალქალაქისათვის — 2.483,9^o და სხვ. აქედან გამოდის, რომ ტემპერატურის მხრივ ახალქალაქის რაიონი უკარგისია, სურამის რაიონს — ტფილისის სჯობია, ტფილისისას კი — ყარაიაზის და სხვ.

აქ მხედველობაშია შისალები აგრეთვე ტემპერატურის თანდათანობითი ცვალებადობა — კლება თუ მატება. რამდენად ზომიერი ჰავაა და მცირებულები ტემპერატურის შორის, ბამბის წარმოებისათვის იმდენად უმჯობესია. ყოველ შემთხვევაში ცხრილებიდან სჩანს, რომ საქართველოში ამ წარმოებისათვის ბევრი გამოსადეგი ადგილები მოიპოვება.

მაგრამ საქმარისი არ არის, რომ მებამბეობის რაიონში სითბოს რაოდენობა იყოს დამაკაუჭილებელი, — საჭიროა, რომ ბამბის დათესვიდან მის შოკრეფამდე ყინვებს ადგილი არ ჰქონდეს, ვინაიდან წაყინვას დიდი ვნება მოაქვს როგორც მცენარესთვის, ისე ნაყოფისთვის. რათა გამოვერკვიოთ ამ მხრივ ჩვენს შვიგომარეობაში, მოვიყვანოთ ცხრილი ბამბის წარმოებისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილის, ფერგანის ოლქში მდებარე, ახალ მარგელანის შესახებ: ⁸⁴⁾

ვაზაფხულის უკანასკნელი წაყინვა.				შემოდგომის პირველი წაყინვა.			
წელი.	რიცხვი.	თ ვ. ე.	ტემპე-რატურა.	წელი.	რიცხვი.	თ ვ. ე.	ტემპე-რატურა.
1891	2	მარტი . . .	—0,6	1891	24	ოქტომბერი	—1,6
1897	11	" . . .	—1,8	1894	29	სექტემბერი	—1,3
1898	18	" . . .	—0,0	1897	22		—0,2
1901	9	" . . .	—0,9	1899	22	ოქტომბერი	—1,6

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, წაყინვას ადგილი ჰქონია მარტის და უკენისათვის თვეებში. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარე-

⁸⁴⁾ ცნობები ამოღებულია: ი. მელიქ-სარკისიან, „Хлопковое дѣло въ Ферганской области и мѣры къ его упорядоченію“.

მოება, რომ ცნობები აღებულია დილის 7 საათისა და საღამოს 9 საათის შესახებ; საღამოს 9 საათიდან დილის 7 საათამდე დაკვირვება წარმოებული არ ყოფილა და ამ პერიოდში ტემპერატურა ხანდისხან უფრო დაბლა დაიწვედა და ამასთან ერთად გაზაფხულის წაყინვა უფრო გვიან რიცხვებში, მხოლოდ შემოდგომის—უფრო აღრე იქნებოდა. თუ აյ მოყვანილ ცნობებს შევადარებთ ჩევნ პირობებს, შეგვიძლია ესთევათ, რომ ჩევნ, ყოველ შემთხვევაში, უფრო ცუდ მდგომარეობაში არ ვიმყოფებით. დასავლეთ საქართველოში იშვიათად არის გაზაფხულის წაყინვა მარტის შუა ან ბოლო რიცხვებში და შემოდგომის—შუა ოქტომბერში 8⁶⁵⁾. აღმოსავლეთ საქართველოში გაზაფხულის წაყინვა ხანდისხან აპრილშიაც გადადის და შემოდგომის—შუა ოქტომბერში, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში—ენკენისთვის შუა რიცხვებში, მაგრამ ასეთ გამონაკლისშიდან დაზღვეული არავინ არის, თვით ამერიკის შეერთებული შტატების „საბამბო ზოლიც“ კი... საერთოდ კი ყოველივე შემონათქეამის შემდეგ აშკარა უნდა იყოს, რომ ჩევნი მდგომარეობა აშ მხრივ სავსებით უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება ბამბის მოთხოვნილებას შხის სხივების სიუხვის მხრივ, საქართველოს ბევრი ადგილები ზედმიწევნით აემაყოფილებენ აშ პირობას.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს, — ეს ნაწვიმის რაოდენობა. ჩევნ ზევით გვქონდა მოხსენებული, რომ ხშირი წვიმებს და ზედმეტად ნოტიო ჰავას მაშბისათვის ვხება მაქეს. ამატომ საინტერესოა ვიცოდეთ სხვადასხვა ადგილებში ნაწვიმის საშუალო რაოდენობა მილიმეტრებში: 8⁶⁶⁾

ტფილისის გუბ.	აპრილი.	მაისი.	ივნისი.	ივლისი.	აგვისტო.	სექტემბერი.	ოქტომბერი.	წლიური.
დუშეთი	62	131	91	50	38	43	42	614
სურამი	41	49	43	48	30	49	59	621
ზოქათალი	106	137	114	73	95	137	61	956
ტფილისი	54	80	70	49	41	50	36	496
სილნაღი	96	104	40	23	27	60	41	589
ლაგოდეხი	57	180	89	101	95	27	96	856
ნაფარეული	122	204	97	34	51	117	64	880
ყარაიაზი	50	87	57	22	42	38	42	431

ქუთაისის გუბ.	აპრილი.	მაისი.	ივნისი.	ივლისი.	აგვისტო.	სექტემბერი.	ოქტომბერი.	წლიური.
სოხუმი	109	86	113	107	99	116	102	1.276
ზუგდიდი	110	115	149	151	165	174	121	1.588
ქუთაისი	84	82	144	97	91	110	115	1.374
კიათურა	78	75	86	52	66	76	102	1.002
წიფა	80	94	93	48	62	52	68	900
ოზურგეთი	92	80	125	158	167	250	210	2.077

⁶⁵⁾ „Труды съезда хлопководовъ“. Т. II, часть I.

⁶⁶⁾ И. Фигуровский. „Опытъ изслѣдованія климатовъ Кавказа“.

ბათუმის ოლქი.	აპრი-ლი.	მაისი.	ივნისი.	ივლი-სი.	აგვის-ტო.	სექტე-მბერი.	ოქტო-მბერი.	წლიური.
ქობულეთი . . .	101	102	175	169	186	280	265	2.175
ბათუმი . . .	148	87	172	160	235	303	241	2.529
ართვინი . . .	31	56	30	19	13	29	59	493

ამ ცხრილებიდან სჩანს, რომ საქართველოს ადგილები წვიმიანობის მხრივ საგრძნობლად განიჩევიან ერთი მეორესაგან. ამერიკის შტატების საბამბო რაიონში, საღაც. სხვათა შორის ადგილების მორწყვას არ აწარ-მოებენ, წლიური ნაწილის რაოდენობა 40 დიუმს, ე. ი. 1.044 მილიმეტრს უდრის. ზემომოყვანილ რიცხვებს თუ თვალი გადავაულეთ, დავინახავთ, რომ ამერიკის პირობებს ცოტად თუ ბევრად უახლოვდება ზაქათალის ოლქი, კახეთი, იმერეთი და რამოდენიმედ სამეგრელო. დანარჩენ რაიონებში ან საჭიროა ადგილების მორწყვა წვიმის სიმცირის გამო, როგორც, მა-გალითად, ყარაიაზში, ტფილისის და სურამის რაიონში ან ბამბის წარ-მოებას რიგიანი ნიადაგი არ აქვს გადაჭარბებული სინოტის გამო, რო-გორც, მაგალითად, ბათუმის, ქობულეთის და ოზურგეთის რაიონში. მაშასადამე, ზოგიერთ რაიონების გარდა ჩვენში ბამბის წარმოების განვი-თარება ამ მხრივადაც სავსებით შესაძლებელია, თუმცალა, როგორც ზევით აღვიჩნეთ, ზოგიერთ ადგილებში არხების გაყვანა და წყლით სარგებლო-ბა არის საჭირო. ⁸⁷⁾

ასეა თუ ისე, რა მხრითაც არ უნდა მიუღეთ. საკითხს, დასკვნა მხო-ლოდ ერთი შევიძლია მივიღოთ: მებამბეობას საქართველოში კარგი ნია-დაგი აქვს და ხელის შეწყობით ის შეიძლება გადაიქცეს ჩვენი მეურნეო-ბის ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად. მაგრამ ზედმეტი არ იქნება ვიკით-ხოთ: საჭიროა თუ არა მისი განვითარებისათვის ვიზუალოთ და სათანადო ნაბიჯები გადავდგათ?

აუცილებლად!.. საქართველოს გავიხსენოთ, რომ საჭმელ-სასმელის შემ-დეგ ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება ტანთსაცმელიარის. ბიბლიიდან ხომ ვიცით, რომ პირველ ადამიანთა პირველი ნაბიჯი შეცოდების შემდეგ ტანის შემოსევაში გამოიხატა! ველურს არ აქვს მოთხოვნილება გარეშე საჭ-მელია, მხოლოდ ცივილიზაციის პირველი მოთხოვნილება ტანისამოსში. მდგომარეობს... და რამდენად წინ მიდის კაცობრიობა, იმდენად იზრდება ფართლეულობის საჭიროება და მისი დამზადების რაოდენობა. ფართლე-ულობის მრეწველობაში კი მთავარი როლი ბამბეულობას უკუთვნის.

ბამბეულობის წარმოების მდგომარეობის საზომად საქართველო ტიბუ-რების რიცხვი ითვლება, რომელიც ყოველწლივ მატულობს:

მთელ ქვეყნიერებაზე	1908	1910	1912
ტიბურების რიცხვი . . .	128.172.131	135.337.069	140.266.929

⁸⁷⁾ უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავი არხების გაყვანა შეღმეტი. არ არის იმ ადგილებშიაც, სადაც საშუალო წლიური ანგარიშით წვიმების საქმაო რაოდენობა მოდის, ვინაიდან შეიძლება წვიმა იმ დროს არ მოვიდეს, როდესაც ნათესისთვის არის საჭირო.

აშერიკის შტატების საბამბო რაიონში 1911—1912 წელს ათი ახალი ქარხანა გაიხსნა და წინა წელთან შედარებით ბამბა 183,715,749 ინგლ. გირვანქით მეტი იქნა გადამუშავებული.

ინგლისმა გაზიდა:

	1909—1910 წ.	1910—1911 წ.	1911—1912 წ.
ნართი გირვანქებში . .	178,886,000	194,706,000	222,318,000
ნაკეთი იარღებში . .	5,367,707,000	5,856,580,000	6,200,477,000

უკანასკნელ დროსაც სახელმწიფონი ერთმანეთი ეჯიბრებიან ბამბის დაწინაურების საქმეში. მაგალითად, ინგლისმა შეისწავლა ბამბილან ხელთათმანების დამზადება, რომელიც წინედ გერმანიის მონოპოლიას შეადგენდა. ეხლა ინგლისში ხელთათმანები ისე მზადდება, რომ ძნელია ტყავისაგან მათი გამორჩევა; ფიქრობენ, რომ ინგლისელები შესძლებენ კონკურენცია გაუწიონ თვით იაპონელებსაც, რომელთაც თავის მხრივ აავსეს იაფი ნაწარმოებით ინგლისის ბაზარი. 1913 წელს ინგლისს შემოჭერნდა 2,500,000 წყვილი ბამბის ხელთათმანი. 1918 წელს კი მან თვით დაამზადა 80%, ამ საქონლის საჭირო რაოდენობისა. ამნაირადვე ანვითარებენ საბამბო მრეწველობას სხვა დაწინაურებული ქვეყნები და ყოველნაირად ცდილობენ როგორც საქარხნო ნაწარმოებთა გამრავლებას, ისე მებამბეობის განვითარებას. და ამ საქმეში ისინი ხშირად ისეთ ზომებს მიმართავენ, ისეთ ნაბიჯებს სდგამენ, რომ უნდათ „შეუძლებელი“ შესაძლებლად გახადონ..

ამერიკა, ამდეხანს ბამბით მთელი კაცობრიობის დაშაკმაყოფილებელი, ცდილობს თავის ადგილ-მამულში მოწეული ბამბა თვით გადაამუშაოს, და, ამნაირად, სამრეწველო ქვეყნებს. მალე მისი ძებნა სხვა მიმართულებით მოუწევთ.

საჭიროა ამას ანგარიში გაუწიოთ და მომზადებული დავხვდეთ!.. ჩვენ შეგვეძლო მიგველო იმ 12,000 დღესტინაზე, რომელიც 1914 წელს იყო მოთესილი, ბამბის კულტურის სათანალო ღონებები დაყრენებით არა ნაკლებ 1,000,000 ფუთ ნედლი ბამბისა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ბამბის კულტურის ინტენსიფიკაციის გარდა, შესაძლებელია საბამბო ადგილების გადიდება ბორჩალოს, სიღნალის და ქუთაისის მაზრებში, აგრეთვე ზაქათალის ოლქში და სხვა რაიონებში, მაშინ აშკარა შეიქნება, რომ ჩვენ საშუალება გვაძეს წლიურად რამდენიმე ნილიონი ფუთი ბამბა მოვიწიოთ. და თუ რა დიდ ლირებულების შექმნას შესძლებს ამოდენა ბამბა და ეკონომიკურად რამდენად დააწინაურებს ის ქართველ ხალხს, ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, ვფიქრობ, ყველასათვის ნათელი იქნება.

დაბოლოს მოკლედ აღვნესხოთ, თუ რა არის საჭირო ჩვენში ბამბის წარმოების განვითარებისათვის.

1. ბამბის კულტურისათვის სავარგისი ადგილების ამორჩევა და შესწავლა;

2. ჩვენი ქვეყნისათვის ბამბის საუკეთესო ჯიშის ამორჩევა;

3. ამორჩეულ ჯიშიდან საუკეთესო თესლის დამზადება და ხალხში გავრცელება; ⁵⁸⁾
4. ზეადაგის შესწავლა და მისი სათანადო დამუშავება;
5. ზეადაგის გაპონერება სხვადასხვა სასუქ მასალით ⁵⁹⁾;
6. ბამბის რიგობით და ჩაყრით მოთესვა და არა მობნევით და უსის-ტემოდ;
7. თესლშეცვლითი სისტემის წარმოება;
8. ნათესის რიგიანი დამუშავება და მოვლა;
9. გვალვის დროს ყანების-მორწყევა, მხოლოდ სარწყავ წყლების ზომიერი და ეკონომიური მოხმარება;
10. ბამბის აფარმუტობასთან და სხვადასხვა მაცნებლებთან შებრძოლება;
11. ხელური მუშაობის მანქანათა მუშაობით შეცვლა;
12. ბამბის თავის დროზე მოკრევა, რიგიანი შენახვა და გაშრობა;
13. ბამბის დახარისხება და სხვადასხვა ნაკრეფთა ცალ-ცალკე დაზროვება;
14. ბამბის სათანადო გაწმენდა და შეფუთვა;
15. კომპერატიულ ბამბის-საწმენდ ქარხნების მოწყობა;
16. წარმოებაში ყოველგვარ ფალიფიკაციასთან შებრძოლება;
17. შეცადება ბამბის ადგილობრივ გადამუშავებისა მეტი ღირებულების საგნად, ვიდრე ნედლი მასალა;
18. ნაყოფისთვის რიგიანი ბაზრის მოპოება;
19. ნაყოფის სასურველ პირობებში გასაღება და სპეციალიანტებისა და ჩარჩებისაგან მწარმოებელთა განთავისუფლება;
20. წარმოებაში მოტყუილების მოსპობა, საიდანაც არ უნდა წარმომდინარეობდეს ის;
21. ბამბის თესლის რაციონალური უტილიზაცია;
22. კომპერატიულ ზეოსახდელ ქარხნების მოწყობა;
23. საქონლის მომრავლება, საკვებ მასალად წერტინის და ჩენჩხს გამოყენება და მათი პატივით ზეადაგის გაპონერება;
24. ბამბის კურკის, წერტინის და სხვ. მასალების უცხოეთში გაზიდვის უარისყოფა;
25. სარწყავი არხების გაყვანა განსაკუთრებული იმ რაიონებში, სადაც ნაწვემის რაოდენობა მცირეა; ⁶⁰⁾

⁵⁸⁾ პროფ. ბერკეტის გამრკვლევით რიგიან თესლს შეუძლია მოსავალი 30—50 % გაზიარდოს.

⁵⁹⁾ პროფ. ფორტუნატოვის მოწმობით საქონლის პატივით ზეადაგის გაპონერება ზრდის, მაგალითად, ჭვევის მოსავლიანობას 62—98 %. ით.

⁶⁰⁾ ა. დემიტრიევის ანგარიშით, ერთი დესტრინა მორწყული მიწა, მაგალითად, მულტი-იძლევა წმინდა შემოსავალს 200 მანეთს მაშინ, როდესაც სარწყავი არხის გაყვანის ხანები ერთ დესტრინაზე რამდენიმე თოვლა მანეთს უდრის. რომ ავილოთ არხის გაყვანის ხანები დესტრინაზე მაქსიმალურად 200 მანეთი, მაშინაც ის ერთი წლის განმავლობაში დახახარჯს აანაზღაურებს და შემდევ აუარელელი შემოსავალი თითქმის ტყუილად დაგვრჩება. მორწყვების საკითხს ეხება აგრესოვ „Докладъ Тифлисскаго Биржеваго комитета съездзу хлопководовъ въ г. Тифлисѣ 1—6 ноября 1912 г.“

26. გზების გაყვანა როგორც ჩორბლეულობის და სხვა საჭირო საგნების ადგილობრივ მიწვდენის, ისე იქედან ბაშბის წარმოებათა გაზიდვის გასაადვილებლად;
27. ხალხისთვის გაუმჯობესებული და საჭირო იარაღების მიწოდება;
28. მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში იარაღთა და მანქანათა საწყობების გახსნა;
29. ბაშბის მწარმოებელთა შეკავშირება;
30. წვრილი კრედიტის ორგანიზაცია და მწარმოებელთათვის საჭიროების დროს დახმარების აღმოჩენა;
31. ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება და უვიცობასთან შებრძოლება;
32. მცხოვრიებთათვის კურსების, ლექციების და საუბრების მოწყობა შაშბის რაციონალური კულტურის გასაცნობად;
33. ბაშბის წარმოების შესახებ წიგნების და ბროშურების გამოცემა და საწილების დათვის ლიტერატურის შექმნა და გავრცელება;
34. ინსტრუქტორების მომზადება და ხალხისთვის საინსტრუქტორო ღამების აღმოჩენა;
35. საცდელ სადგურების, საჩვენებელ მინდვრების და მუშეფების მოწყობა;
36. ბაშბის მრეწველობის ნაწარმოებთაგან პერიოდიულად გამოფენების მართვა;
37. ბაშბის წარმოების მეცნიერულად შესწავლა ადგილობრივ პირობების მიხედვით;
38. სტატისტიკური ცნობების შექმება და დამუშავება;
39. მწარმოებელთათვის ბაზრის მდგომარეობის გაცნობა; ზოგინზე, თესლზე და სხვა საქონელზე ფასების შესახებ ცნობების მიწოდება;
40. მისამშეწონილი ტარიფების შემუშავება და საღი საბაჟო პოლიტიკის წარმოება და სხვა და სხვა.

ამ ზომების ცხოვრებაში გატარებით ჩვენი ერი, უკავებელია, ეკონომიკურად შოღლინიერდება და თავისი წარმატებით განცვილებაში მოიყვანს ყველას სწორედ ისე, როგორც განცვილებაში მოღიან თვით ამერიკელები თავიანთ შტატების საბაზო რაიონის წარმოულენელი. წინმსვლელობით და დაწინაურებით, ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ საჭიროა ხელი შეუწყოთ ბაშბის წარმოების განვითარებას, რათა მან ბრწყინვალედ გზა გაიკაფოს საუცხოვი მომავლისაკენ...

ଏବାରୁତ୍ସବିଦତୀ ଶବ୍ଦରେଷ୍ଟନ୍ତି.

1. მე-6 და მე-7 გვერდის ანგარიშები ჩვენში მარცვლეულობის დეფიციტის შესახებ ეყრდნობოდა სტატისტიკურ კომიტეტის ცნობებს; მაგრამ ნასყიდ ხორბლეულობის რაოდენობის მიხედვით მომარავების სამინისტრომ და სხვ. ეს ცნობები გადაჭარბებულად მიიჩნიეს და ყოველწლიური დეფიციტი $4.000.000 - 6.000.000$ ფუთად ჩასთვალეს. ეს კიდევ აგრეთვა აუკის, ყოველ შემთხვევაში აშეარაა, რომ ნორმალურ პირობებში საქართველოს საკუთარი ხორბლეულობით თავის გამოკვება არ შეედლია და, მაშეასადამე, სურარია ის დასკვნები, რომელიც აქედან გამომჟავდა.

2. მე-8 გვ. უნდა ჩაემატოს: „1913 წელს მარტში პეტროგრადში გაიხსნა სრულიად რუსეთის შინამძრეწველობის გამოფენა. კავკასიის შინამძრეწველობის კომიტეტის თაოსნობით იქ გამოფენილი იყო ადვილობრივი: ნაკეთი: ხალიჩები, შალები, ნაბუები, ჩულები, ხუჯინები, მაფრაშები, ნაბრის-ჭუდები, ჭილობები, კალათები, წნულები, ჭურჭლეულობა და სხვ. პრესა და საზოგადოება ქება-დიდებით იხსენიებდა ამ განყოფილებას, რომლის ექსპონენტებს მიუსაჯეს: ერთი საპატიო დიპლომი; მედალი—ორი აქ-როს, 9 ცერტიფიკატის დიდი და 24 პატარა და 40 ბრინჯაოს; 76 ქების ფურცელი და 14 საჩუქარი ფულით. ეს კიდევ ერთხელ მატკიცებს, რომ შინამძრეწველობას ჩვენში საქმაოდ კარგი ნიადაგი აქვს“.

3. №-8 ვვ. შეცდომით ას არის მოხსენებული, რომ ვსარგებლობდი
ა. ფიზილოვის შრამით: „Братки! очеркъ кустарныхъ промысловъ
Кавказа.“

4. იმის გასაგებად, თუ ოპონირ უყურებს რესერტის სოც. საბჭ. რეს-
პუბლიკა შინამრეწველობას, მოვიყვანოთ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბ-
ჭოს პრომიუროს სავალდებულო დადგენილება: „1919 წლის 26 აპრილის
დეკრეტის თანახმად წერილი შინა ან სასახელისნო მრეწველობის და სა-
რეწაო კომპერატივის წამოწყებების ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია და
კონფისკაცია არ შეიძლება; არ შეიძლება ამასთანავე რეკვიზიცია და კონ-
ფისკაცია ნედლ მასალათა მარაგის, აგრეთვე მასალის, საობობ ნივთიერ-
ების და სხვა საგნების, რომელნიც შინამრეწველობისათვის არიან და-
ნიშნულნი. ამ დეკრეტის § 1-ის თანახმად ნაციონალიზაცია, მუნიციპა-
ლიზაცია და კონფისკაცია შეიძლება შპოლოდ რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო
მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სპეციალური დადგენილებით და ისიც გლავ-
კუსტრომის წარდგენით“...

5. მე-23 გვ. უნდა ჩაემატოს: „მოწინავე სახელმწიფობს ამ დარღვი
უკანასკნელ დროსაც დიდი დაწინაურება ეტყობათ. ასე, 1920 წელს
საფრანგეთის საპარტეშემო წარმოებამ 1918 წელსაც კი გადააქარბა, რო-
დესაც შილდებული იყო 45.335.330 ფრანკად ლირებული 3.202.904 კილო-
გრამი აბჩეშები. საფრანგეთის მიწად-მოქმედების სამინისტროს ცნობე-
ბით 1920 წელს წინა წელთან შედარებით მეურნეთა რიცხვი 52.401-ითან
65.592-მდე ავიდა: საქსოვად გაყიდულ ნედლი პარკის ლირებულება
17.216.322 ფრანკითან 44.913.004 ფრანკამდე აიწია, სათესლედ გაყიდულ
პარკის — 223.000-ითან 1.422.326-მდე და სხვ.“.

6. მე-64 გვ. უნდა ჩაემატოს: „ჩვენში მოსარწყავი აღვილებია: შირა-
ქში დაახლოებით 60.000 დესტრინა, ყარაიაზში—20.000, ტირიფონის
ველზე—15.000, მდ. იორის ნაპირებზე—31.000 და სხვ.“

გამოსულია კიდევ ძეგლები წიგნები:

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების საცენტრო სექციის.
რუსულ-ქართული ტეხნიკური ლექსიკონი (სიტყვარი).

ინჟ. ვ. კაკაბაძის. მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში.

ინჟ. ბ. ჭიჭინაძის. პირველდაწყებითი პრაქტიკული პიღრავლიკ
(სახელმძღვანელო და საცნობო წიგნაკი).

Инж. И. А. Кипшидзе. Краткія свѣдѣнія о горныхъ богат-
ствахъ Грузии.